პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 14 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 83 (1838)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ი უ რ ი

- ბელორუსიის ცაკი-ს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ჩერვიაკოვი.
- მწერალი დიუამელი გაემგზავრა საზღვარგარეთ.
- გაიხსნა კომკავშირის სრულიად გერმანიის ყრილობა.
- იაპონიამ 4 კრეისერი გაგზავნა ჩინეთში.
- ჩინეთის წყლებში ამჟამად უცხოელებს ჰყავთ 171 სამხედრო გემი.
- ჩან-ძო-ლინის მიერ შეპყრობილი პროფ. ლი-ტაო-ჩაო სიკვდილით დასჯილი არ იქნება.

## პროვოკაციამ ვერ გასჭრა

ჩვენთვის იმთავითვე ცხადი იყო და ეხლა ყველასათვის უფრო ნათელი უნდა იყოს, რომ ბანდიტური თავდასხმა საბჭოთა წარმომადგენლობაზე პეკინში, აგრეთვე შანხაიში და ტიან-ძინში, არ არის მარტო ჩან-ძო-ლინის საქმე; უკანასკნელი, რომელიც თავის მხრივ გამსჭვალულია სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, იარაღის როლს თამაშობს ინგლისის იმპერიალიზმის ხელში. თავდასხმის გეგმა წინასწარ იყო გამომუშავებული ლონდონის მიერ და მის განხორციელებაში ინგლისი უშუალო მონაწილეობასაც იღებს, მაგ., შანხაიში. ჩემბერლენი ამართლებს ჩან-ძო-ლინის ხულიგნურ გამოსვლას; ის, სხვათა შორის, ცინიკურად აცხადებს, რომ „საბჭოთა წარმომადგენლობის უფლებები არ ყოფილა დარღვეული“-ო. ის სავსებით იწონებს მუკდენელ ავაზაკის, ჩან-ძო-ლინის ნაბიჯს. და ეს გასაგებია: ინგლისის იმპერიალიზმისათვის ჩან-ძო-ლინი ერთ-ერთი იმედია თავის ბატონობის შესანარჩუნებლად ჩინეთში და ამავე დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კამპანიის გასაძლიერებლად.

ჩინეთში ინგლისი იბრძვის ორი მიმართულებით: ის ცდილობს ჩინეთის რევოლიუცია გამოიყენოს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გასართულებლად და მის წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შესაქმნელად. ამავე დროს, თავის-თავად ცხადია, მის პირდაპირ ამოცანას შეადგენს ჩინეთის განმათავისუფლებელ ბრძოლის განადგურება, ბრძოლის, რომელიც სასიკვდილო ლახვარს სცემს ინგლისის იმპერიალიზმს არა მარტო ჩინეთში, არამედ საერთოდ.

როგორც ვიცით, ინგლისის მთავრობა სულ იმას გაიძახის, თითქო საბჭოთა ხელისუფლება ყველგან, პირველ ყოვლისა ჩინეთში, ანტიბრიტანულ პროპაგანდას ეწეოდეს და ამით ანგრევდეს ბრიტანეთის იმპერიას. ჩემბერლენის ცნობილი სკანდალური ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი სწორედ ასეთ ბრალდებას შეიცავდა. მაგრამ ლონდონის მთავრობას არასოდეს არ მოუყვანია არც ერთი ნამდვილი საბუთი ამ ბრალდების დასამტკიცებლად; სიყალბე „ზინოვიევის წერილისა“, რომელიც ყველაზე უფრო დიდ საბუთად მოქონდა ჩემბერლენს, მისდა სამწუხაროდ, გამოაშკარავებულ იქნა.

ეხლა ჩემბერლენი ჩინეთში დაეძებს საბჭოთა ანტიბრიტანულ პროპაგანდის მორიგ „დოკუმენტებს“. საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ეს იყო. მაგრამ ინგლისის მთავრობას ეჭვი შეეპარა, თუ საბჭოთა საელჩოს გაჩხრეკამ ამ მხრივ არაფერი აღმოაჩინოსო. ამიტომაც იყო, რომ ეს გაჩხრეკა მოახდინეს საბჭოთა წარმომადგენლის დაუსწრებლად და რაიმე სარწმუნო ოფიციალური აქტის შეუდგენლად წაღებულ ნივთების შესახებ, რომ საშუალება მიეცათ ჭორების შესათხზავად „ინგლისის, იაპონიის და პეკინში არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობაზე საბუთების აღმოჩენის შესახებ“. ეტყობა, „ზინოვიევის წერილის“ გაკვეთილს არაფერი უსწავლებია ჩემბერლენისათვის. მაგრამ საეჭვოა, რომ ისეთივე ღირებულების ყალბმა დოკუმენტებმა, რომლებიც შეიძლება შეკოწიწებულ იქნენ, რაიმე შემატოს ინგლისის დიპლომატიას, რომლის ოინებში საკმაოდ გარკვეულია მშრომელი მასა.

ჩემბერლენის მეორე ზრახვა ისაა, რომ ჩვენი უფლებების უხეში დარღვევის გზით საბჭოთა მთავრობა ჩარიოს ჩინეთის სამოქალაქო ბრძოლაში. ეს მის საბაბს მისცემდა შეიარაღებული ინტერვენციისათვის ჩინეთში—რევოლიუციის მოსასპობად. ამავე დროს ამით გააძლიერებოდა იმპერიალისტების ერთიანი ფრონტის განხორციელება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ ინგლისის დიპლომატიის პროვოკაცია თეთრი ძაფითაა ნაკერი და მაზე საბჭოთა მთავრობა, რა თქმა უნდა, არ წამოეგებოდა. ჩინეთის ნაციონალური განთავისუფლების ინტერესები, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის ინტერესები, მსოფლიო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესები ჩვენი პოლიტიკის გამოსავალი წერტილია, და ისინი განსაზღვრავენ ჩვენს მოქმედებას; ისინი მოითხოვენ ნერვების გამძლეობას და სიმტკიცეს და არა გრძნობების აყოლიებას. რისი იმედი ჩემბერლენებს ჰქონდათ. ჩვენი დამოკიდებულებით პეკინის ანტისაბჭოთა პროვოკაციისადმი ერთხელ კიდევ საჯაროდ მოვახდინეთ ჩვენი სამშვიდობო მისწრაფებების დემონსტრაცია.

თავის-თავად ცხადია, რომ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქო საბჭოთა მთავრობა ვინმეს ნებას მისცემს მისი უფლებების შელახვისას, მაგრამ ეს უფლებები დაცული იქნებიან ისეთი საშუალებებით, რომელნიც ხელს შეუწყობენ საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეს და იმპერიალისტებს საბაბს არ მისცემენ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის დასაწყებად. ეს კარგად აქვს შეგნებული საერთაშორისო პროლეტარიატს და ყველა მშრომელთ, რომელთა აქტიური სიმპატიები საბჭოთა მთავრობისადმი სულ უფრო იზრდება.

## ბ-ნი ოტო ბაუერი და „დემოკრატია“

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

უკანასკნელი წლების მსოფლიო ამბებმა. განსაკუთრებით უკანასკნელი წლის ამბებმა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის წინაშე დასვეს მთელი რიგი მწვავე პრინციპიალურ საკითხებისა. ამ საკითხების გადაჭრას სავსებით გვერდი ვერ აუხვიეს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატების ბელადებმაც, თუმცა ისინი ყოველთვის გაურბოდენ ისეთი „უხერხული“ პრობლემების პრინციპიალურ სიმაღლეზე დაყენებას, რომელიც არის პოლიტიკის და ეკონომიკის ურთიერთ დამოკიდებულება, საყოველთაო გაფიცვა, დემოკრატია, დიქტატურა, ერთიანი პროლეტარული ფრონტი, აღმოსავლეთის რევოლიუცია, ომის საფრთხე და სხვ. ისინი, რასაკვირველია, არ ღალატობენ თავიანთ სოციალურ ბუნებას და ამ საკითხებს სწყვეტდენ და სწყვეტენ ისევე, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: თანამედროვე სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მთავარი საზოგადოებრივი ფუნქცია ხომ იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა მასებში ისინი „საქონლის—ბურჟუაზიულ იდეურ საქონლის გამტარებელ არხს“ წარმოადგენდენ, რომ მოაღუნონ კლასიური ბრძოლის გაქანება, რომ შეალამაზონ კაპიტალისტურ დაწესებულებების შინაარსი, რომ გააყალბონ მარქსიზმის მოძღვრება.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის, მისი „აზროვნების ჩვეულების“ და სოციალ-დემოკ. სიცრუის ახალი ხერხების მეტად საგულისხმო დახასიათებას გვაძლევს ოტო ბაუერი, რომელიც ცდილობს მოგვცეს ერთგვარი თეორიული დებულებები დემოკრატიისა და დიქტატურის საკითხში. ეს საკითხი ირჩეოდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელ ყრილობაზე ლინცში. ოტო ბაუერი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს თავის წერილში „ლინცი და არჩევნები“, რომელიც დაიბეჭდა ვენის ყოველთვიურ სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ „დერ კამფ“-ის აპრილის ნომერში.

ოტო ბაუერი იძულებულია აღიაროს, ანუ ნახევრად აღიაროს მთელი რიგი უტყუარ ფაქტებისა.

ბაუერი იძულებულია აღიაროს პირველ ყოვლისა ის ფაქტი, რომ საკითხი დემოკრატიისა და დიქტატურის შესახებ პროლეტარული მოძრაობის ძირითად თეორიულ საკითხს წარმოადგენდა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში.

„მსოფლიოში არ არის არც ერთი მუშათა პარტია, არც ერთი სოციალისტი, რომ ამ ათი წლის განმავლობაში მის წინაშე არ ყოფილიყო დასმული ეს პრობლემა—დემოკრატია თუ დიქტატურა? დემოკრატია თუ დიქტატურა, ეს საკითხი ეხლაც რჩება ისეთ პრობლემად, რომელიც გაბატონებულია საერთაშორისო სოციალიზმის გონებრივ ცხოვრებაში“.

დიახ, ეს ასეა. ბაუერს „დაავიწყდა“ მხოლოდ იმის დამატება, რომ დემოკრატიისა და დიქტატურის პრობლემა დაისვა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ უღალატა მარქსის რევოლიუციონურ მოძღვრებას, მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სწორედ იმ მომენტში, როცა მსოფლიო შევიდა გამძაფრებულ ომებისა და რევოლიუციების ხანაში. ბაუერს „დაავიწყდა“ იმის თქმა, რასაც არასოდეს არ დაივიწყებენ რევოლიუციონური მუშები, რომ „საერთაშორისო სოციალიზმის“ უდიდესი პრობლემა განსაკუთრებული გარკვეულობით და სიმწვავით დასმული იყო ლენინის მიერ მანამდე, სანამ პროლეტარული დიქტატურის განხორციელების ცდა მოხდებოდა ჩვენში. სწორედ ამ თვეში სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა ვლადიმერ ილიჩის აპრილის ცნობილი თეზისები, რომლებშიაც რევოლიუციის ეს გენიალური ოსტატი განსაცვიფრებელი გამჭრიახობით წინასწარმეტყველობს მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას რუსეთში და სახავს პროლეტარული ბრძოლის ძირითად პრობლემას მთელი ეპოქისათვის. აპრილის თეზისებმა ლენინი გახადა მთელი მშრომელი კაცობრიობის აზროვნების ბრძანებელად და ისინი დღემდე რჩებიან ქვაკუთხედად ყოველგვარ დავაში და მთელს ბრძოლაში საერთაშორისო მუშათა მასსებზე ხელმძღვანელობისათვის.

ათი წელი ჩვენს ეპოქაში—დიდი ისტორიული ხანაა. ის საკმაო ვადაა ბურჟუაზიული დემოკრატიის და პროლეტარული დიქტატურის პრინციპების ემპირიულად შემოწმებისათვის, იმისათვის, რომ თვით ცხოვრებას შეემოწმებია ეს პრინციპები. მოვუსმინოთ თვით ოტო ბაუერს.

„მაშ შემდეგ, რაც ათეულ წლების ბრძოლებით მოპოვებულ იქნა დემოკრატია, მუშათა კლასმა გაიგო, რომ თვით დემოკრატიაც ბურჟუაზიის ბატონობის ფორმად იქცა. იმ სახელმწიფოების ბრძოლა რომლებიც გამოდიოდენ, რომ „უზრუნველეყოთ მსოფლიოსათვის დემოკრატია“, დამთავრდა ვერსალით და სენ-ჟერმენით. დემოკრატიული რევოლიუციები შუა ევროპაში დამთავრდენ გერმანიაში 8 საათის სამუშაო დღის მოსპობით, რეიხსვერის მიერ მუშათა მთავრობაზე შურისძიებით, ჰინდენბურგითა და ბურჟუაზიული ბლოკით; ისინი დამთავრდენ ჩეხო-სლოვაკიაში ბურჟუაზიის აშკარა კლასიური გაბატონებით, პოლონეთში და სამხრეთ სლავიაში—ღიად ნიღაბ აფარებული სამხედრო დიქტატურით, ჩვენში (ავსტრიაში. რედ.) მუშათა კლასის თანადათანობით შევიწროებით“.

„და იმ წლებში—განაგრძობს ბაუერი—როცა მუშათა კლასი ხედავდა როგორ ისწავლა ბურჟუაზიამ პროლეტარიატის მიერ მისთვის თავზე მოხვეულ დემოკრატიის თავის ბატონობის იარაღათ გამოყენება, აი სწორედ ამ წლებში, პროლეტარიატი ხედავდა როგორ მოიგერია ძლევამოსილად წითელმა დიქტატურამ ვეებერთელა რუსეთში ყველა დენიკინები, კოლჩაკები, იუდენიჩები, როგორ გაიმარჯვა მან უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენციის ყოველგვარ ცდებზე, როგორ გაარღვია მან ბლოკადა, გადალახა სამოქალაქო ომის დაუსრულებელი სიძნელეები და საფრთხეები და როგორ თანდათანობით აღდგენს ის თავის დანგრეულ მეურნეობას“.

გვეგონა, ასეთ წინასწარ პირობებს უნდა მოჰყოლოდათ დასკვნები, არასახელო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის არქიელებისათვის. გვეგონა, რომ ეს ელემენტარული, ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტები საკითხს გადასწყვეტდენ არა ბურჟუაზიული დემოკრატიის სასარგებლოდ.

მაგრამ ასეთი როდია ოტო ბაუერი. ოტო ბაუერი ეს ოტო ბაუერია. ის ყოველთვის, უკუნითი უკუნისამდე დემოკრატიის მომხრეა და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგი. ის თავგამოდებით იცავს ბურჟუაზიულ დემოკრატიას (ვინაიდან ყოველი, თვით უაღრესად „სრულყოფილი“ დემოკრატია, რომლის დროს საწარმოო საშუალებები ექსპლოატატორების ხელშია—არის სწორედ ბურჟუაზიული დემოკრატია). ბაუერი წინააღმდეგია კომუნისტური—„რომანტიკის“. თუ დემოკრატია არ არსებობს, თუ დემოკრატია „ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია“, მით უფრო მედგრად იცავს ბაუერი დემოკრატიას. დემოკრატია მას ხელიდან უსხლტება, როგორც ოცნება, როგორც ფატამორგანა, მაგრამ ის მით უფრო ძლიერათ ებღაუჭება მას, მით უფრო გააფთრებით ებრძვის კომუნისტებს, დიქტატურის პრინციპებს. თუ ფაქტები მწარეთ დასცინიან ბაუერს, მით უარესი ფაქტებისათვის.

ცნობილ „ავსტრომარქსიზმის“ ანუ, სწორად რომ ვსთქვათ, ავსტრიელ ცრუ მარქსიზმის მთელი საიდუმლოება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარ ფაქტებისა და გარემოებებიდან, ყოველგვარ მყვირალა ფრაზებიდან უკიდურესი ოპორტიუნისტული დასკვნები გამოიყვანონ. რა ვუყოთ რომ „დიქტატურის პრინციპი“ გამართლდა საბჭოთა კავშირში მომხდარ ცდით. რომ პროლეტარიატის დიქტატურა გამოსადეგი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისათვის, ეს ბაუერს თუ მოვუსმენთ, რუსეთის „თავისებური“ ისტორიული განვითარების უბრალო შედეგია—ეს მხოლოდ ბებერი ისტორიის კაპრიზია. ამასთანავე ბაუერის სქემის მიხედვით, ჩვენი პროლეტარული დიქტატურა „გადაგვარებას განიცდის“ და უნდა გადაგვარდეს. დანარჩენ ქვეყნებისათვის პროლეტარულ დიქტატურას ავსტრომარქსიზმი სასტიკად კრძალავს.

ბაუერს მასედი სიმართლეც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია. ბაუერს არ უთქვამს, როგორია „დემოკრატია“ „საუკუნოებრივ დემოკრატიულ თავისუფლების ქვეყანაში“, ინგლისში, როგორ სახეს ატარებდა ის იქ საყოველთაო გაფიცვის დროს. ბაუერს არაფერი უთქვამს ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ სასტიკ გალაშქრებაზე და იმაზე, რომ ამჟამად ტრედიუნიონებს ელემენტარულ უფლებებს ართმევენ. ბაუერს არაფერი უთქვამს აგრეთვე ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკაზე, რომელსაც აწარმოებს „ინგლისის დემოკრატია“. ბაუერს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ერთა ლიგაზე, ბურჟუაზიულ დემოკრატიის ამ სახელგანთქმულ საკრებულოზე, რომელშიაც გერმანიის შესვლას გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა უწოდეს „უდიდესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში“. ბაუერმა არაფერი სთქვა იმაზე, რომ „დემოკრატიული“ ერთა ლიგა არა თუ პროტესტს არ აცხადებს, არამედ პირდაპირ ხელს აფარებს ჩემბერლენის ბნელ საქმეს. განა ლიგა არ ემყარება სოციალ-დემოკრატიას? ბაუერს კრინტიც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ამჟამად მისი გერმანელი „დემოკრატი“ მეგობრები. ბაუერი არც ერთს სიტყვას არ ამბობს იმის შესახებ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია უფასოდ ავრცელებს მილიონობით ბროშურებს „საბჭოთა გრანატების“ შესახებ, რომელთა მიზანია წაქეზება და საზიზღარი ცილის წამება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის სოციალ-დემოკრატ. ბელადები ასეთ ბროშურებს ავრცელებენ უფასოდ, რადგან იციან, რომ ამისათვის კარგ სასყიდელს მიიღებენ. ისინი ხომ გამოდიან როგორც ჩემბერლენის დამქაშები, როგორც რგოლი ბრიტანეთის იმპერიალიზმის ანტისაბჭოთა დიდ გეგმებში. და ყოველივე ეს ხდება „დემოკრატიის“ გულისათვის.

ოტო ბაუერს ენაც არ დაუძრავს იმის შესახებ, თუ როგორია თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია, აღებული საერთაშორისო მასშტაბით. უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკა რევოლიუციონურ ჩინეთის მიმართ, ვანსიანის ხოცვა-ჟლეტა, ნანკინის სისხლის ღვრა, ჯალათ და ქურდ ჩან-ძო-ლინის საზიზღარი საქმენი—ეს მსოფლიო ბურჟუაზიული დემოკრატიის მეორე მხარეა. უამრავი ხიშტებით გარშემორტყმული, წვეტიანი მავთულებით შემოხლართული უცხოელთა უბნები შანხაიში და კანტონში, უზარმაზარი საზღვაო ზარბაზნები, ვეებერთელა დრედნოუტების ჯავშანში ჩაჭედილი, გამზადებული ჩინეთის რევოლიუციისათვის ლახვარის ჩასაცემად—ასე გამოიყურება „მისი უდიდებულესობა“ დემოკრატია ჩინეთის ოთხას მილიონ მშრომელის წინაშე. ბაუერის დიპლომატიური გამოარშიყება პროლეტარული დიქტატურის ცდასთან ჩვენში, მისი პირფერული „წუხილი“ დემოკრატიის გადაგვარების გამო განვლილ ათი წლის განმავლობაში, ჩვენს წინაშე ვერ ფარავს მისი მანევრის მიზანს..

ბაუერი რამოდენიმედ უფრო ეშმაკია, ვინემ მისი შუბლმაგარი კოლეგები სოციალ-დემოკრატიულ ბანაკიდან, ველსები და ტომასები. უკანასკნელები მზად არიან ბურჟუაზიის ყოველგვარი საზიზღრობა „დემოკრატიული სამოსელში“ გახვიონ. ბაუერი უკმაყოფილოა ბურჟუაზიული დემოკრატიით, როგორიც ის ამჟამად არის, და ის დითირამბებს უმღერის ისეთ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც დედამიწაზე არ არსებობს. მისი „ბრძოლა“ დემოკრატიისათვის არის მასსებში ილიუზიების შენარჩუნების საშუალება, პროლეტარიატის ბრძოლის ენერგიის შესუსტების საშუალება, მანევრი, რომლითაც სურთ სწორ გზას ააცდინონ მუშათა კლასი.

ვისაც სურს პროლეტარიატის ნამდვილი გამარჯვება, ვინც მოწადინებულია დააჩქაროს ეს გამარჯვება, ვისთვისაც ძვირფასია სოციალიზმის საქმე, ის ვერ უნდა შეაცდინოს ბაუერის დემოკრატიის „დაკარგულმა სამოთხემ“. მისთვის ერთი გზა არსებობს: მტკიცედ ჩადგეს კომუნისტურ ინტერნაციონალის მებრძოლ რიგებში და გასწიოს წინ ლენინიზმის გაშლილი დროშის ქვეშ.

მოსკოვი, 13 აპრილი.

## ბრძოლა კანტონის ჯარებსა და მილიტარისტების შორის

## რევოლიუციონერთა მასიური წამება ჩან-ძო-ლინის საბრძანებლოში

## პრესის გამოძახილი ანტისაბჭოთა გამოსვლების შესახებ პეკინში

## ოსმალეთი უარს აცხადებს ერთა ლიგაში შესვლაზე

## ბ რ ძ ო ლ ა ჩ ი ნ ე თ შ ი

### ბრძოლა ტანიანის რაიონში

**შანხაი**, 13 აპრილი. ინგლისური გაზეთები ამტკიცებენ, რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა გადალახეს მდინარე იანცზი. ბრძოლა სწარმოებს ტანიანის რაიონში. იმავე ცნობებით, სუნ-ჩუან-ფანის ჯარები მიიწევენ ნიუხოს მიმართულებით, შანხაის ჩრდილოეთით, ვუ-ზუნის მახლობლად. ჯერ-ჯერობით ეს ცნობები დადასტურებული არ არის. (ადს).

### ეროვნული ჯარები ჩან-ცზიანში

**ნიუ-იორკი**, 13 აპრილი. აქ მიღებულია ცნობა, რომ ეროვნულმა ჯარებმა ჩან-ცზიანში (60 კილომ. მანძილზეა ნანკინის აღმოსავლეთით, შანხაი-ნანკინის რკინის გზაზე) ალყა შემოარტყეს უცხოეთის სახლებს და აგრეთვე ამერიკული ნავთის კომპანიის „სტანდარტ ოილის“ შენობას. (ადს)

### იაპონიის კრეისერები ჩინეთში

**ტოკიო**, 12 აპრილი. „ტოკიო ასახი“-ს ცნობით, 4 კრეისერმა, რომელნიც მაიცურუში დგანან, მიიღეს ბრძანება გაემგზავრონ ჩინეთში. (ადს)

### ოთხი პოლიტიკა—ინგლისი განმარტოებულია

**პარიჟი**, 12 აპრ. მემარჯვენე ბურჟუაზიული „ომ ლიბრ“ უკეთებს რა კომენტარიებს ცნობას უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ ნაციონალური მთავრობისათვის ნანკინის ამბების გამო ნოტების გადაცემის შესახებ სწერს:

„აშკარაა, რომ ლონდონი განმარტოებული რჩება. პარიზს სურს დარჩეს ნეიტრალური, ვაშინგტონს განზრახული აქვს მხოლოდ პლატონიური პროტესტი განაცხადოს, ხოლო ტოკიოს არა სურს აწყენინოს ჩინეთის ნაციონალიტებს“.

### ტელმანის წერილი „როტე ფანე“-ში.

**ბერლინი**, 13 აპრილი. ტელმანი „როტე ფანე“-ში სწერს: „არ უნდა დარჩეს არც ერთი წარმოება, სადაც მუშები არ იქნებიან ჩინეთის რევოლიუციის მხარეზე. არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშათა ცენტრი, სადაც მშრომელები მზად არ იქნებიან მხარი დაუჭირონ განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩინეთში, საბჭოთა კავშირს, და არ დაუშვან მსოფლიო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა. არც ერთი თოფი, არავითარი სამხედრო მასალა არ უნდა გავიდეს გერმანიის ნავთსადგურებიდან ჩინეთში თეთრგვარდიელებისა და იმპერიალისტებისათვის.

ინგლისის იმპერიალისტებმა რომ მოახერხონ თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე გერმანიის ტერიტორიიდან, რათა ამით შეიმსუბუქონ თავის ყაჩაღურ გეგმების განხორციელება ჩინეთში, მაშინ გერმანიის მუშათა კლასი აღსდგება, როგორც ერთი კაცი, რომ დაამხოს იმპერიალისტები, ახალი ომის მესვეურნი“ (ადს).

### პროვოკაციული გამოსვლები გრძელდება

**ბერლინი**, 12 აპრილი. „ფოსიშე ცაიტუნგი“-ს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში ხდება მრავალი რევოლიუციონერის სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯას მასიური ხასიათი აქვს. უცხოეთის ჯარები შანხაიში გადადიან ჩინეთის ტერიტორიაზე. ინგლისის და იაპონიის ჯარები ჩხრეკას ახდენენ უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა კრებებზე. „ხუთმა სახელმწიფომ, სწერს კორესპონდენტი, ფსიქოლოგიური მომენტი—არევ-დარევა სამხრეთ ჩინეთში, გამოიყენეს იმისათვის, რომ ნაციონალური მთავრობისათვის გადაეცათ ნოტა ნანკინის ინცინდენტის შესახებ. სახელმწიფოთა მოთხოვნილებების შესრულება არსებითად ნიშნავს ხელის აღებას იმ მიზნებზე, რომლებსაც ისახავს ეროვნული მოძრაობა. შესაძლოა, რომ სახელმწიფოების შემდგომი ზომები მიმართული იქნებიან ოკუპაციისაკენ შანხაის ჩინურ ნაწილში და საზღვაო დემონსტრაციისაკენ იან-ცზიანზე; შემდეგ შეიძლება ოკუპაცია მოუხდინონ სამკუთხედს: შანხაი - ნანკინ - ხან - ჩეოუს. (ადს)

### კიდევ ერთი კრეისერი

**ნიუ-იორკი**, 13 აპრილი. „ასოშიეტიდ პრესი“-ს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანხაიში ჩავიდა იაპონიის ახალი კრეისერი, რომლის ბაქანზე იმყოფება 500 მეზღვაური და 8 საველე ზარბაზანი. (ადს).

### ლი-ტაი-ჩაოს არ დასჯიან

**პეკინი**, 12 აპრილი. გოვენის სააგენტოს ცნობით, მუკდენის წრეებში ფიქრობენ, რომ ლი-ტაი-ჩაოს არ დასჯიან სიკვდილით; მას მიუსჯიან სამუდამო დაპატიმრებას. ის სასჯელს მოიხდის მუკდენში. (ადს)

### უკან დახევა შეჩერებულია

**ნიუ-იორკი**, 13 აპრილი. „იუნიტედ პრესი“-ს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ეროვნული არმიის უკან დახევა შეჩერებულია მდ. იან-ცზის ჩრდილოეთ ნაპირზე, სადაც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ ჩრდილოელთა ჯარებს. ჩინ-ცზიანი (რომელიც 60 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ნანკინის აღმოსავლეთით) არ აუღიათ ჩრდილოელთა ჯარებს. (ადს).

### უცხოეთის გემები ჩინეთში

**ლონდონი**, 12 აპრილი. ჩინეთის წყლებში ამჟამად იმყოფება უცხოეთის 171 გემი; მათგან 76—ინგლისის, 48—იაპონიის, 30—ამერიკის, 10—საფრანგეთის, 4—იტალიის, 1—ესპანეთის, 1—ჰოლანდიის და 1—პორტუგალიის.

## საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ

### ჩემბერლენის განმარტება

**ლონდონი**, 12 აპრ. თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორი გარდნერი შეეკითხა ჩემბერლენს: განუცხადა თუ არა ინგლისის მთავრობამ რაიმე პროტესტი პეკინში საბჭოთა წარმომადგენლობის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ?

ჩემბერლენმა უპასუხა:

„რომელ უფლების დარღვევაზეა ლაპარაკი? საბჭოთა წარმომადგენლობის უფლებები არავის არ დაურღვევია“.

### პოლიცია სამხედრო ქალაქში

**პეკინი**, 12 აპრილი. პოლიციას კვლავ უჭირავს სამხედრო ქალაქი.



საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლის კანცელარია, რომელიც დაარბიეს შავრაზმელებმა.

ჩან-ძო-ლინის შტაბის პოლიტიკურმა კომისიამ გადასწყვიტა, რომ დაპატიმრებული რუსები ჩვეულებრივ სასამართლოს უნდა გადაეცეს.

საკითხი ჩან-ძო-ლინს გადაეცა განსახილველად. (ადს).

### პროვოკაციული ჭორები

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენ. დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საზღვარ-გარეთის პრესაში გავრცელებული ხმები საბჭოთა ჯარების აღმოსავლეთში გადაყვანისა, ამ ჯარების მანჯურიის საზღვარზე კონცენტრაციის და სხ. შესახებ წარმოადგენს ყალბ და პროვოკაციულ ჭორს. საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოზიცია სავსებით ნათლად არის გამოხატული პეკინის მთავრობისადმი გაგზავნილ ნოტაში, 9 აპრილის თარიღით. (ადს).

### უმსგავსოება კიდევ გრძელდება

**შანხაი**, 12 აპრილი. საბჭოთა საკონსულოში შემსვლელთა და გამომსვლელთა ჩხრეკა შესწყდა, მაგრამ მათ მისამართებს კვლავ იწერენ; ვოლონტერები საკონსულოს შენობის ირგვლივ კვლავ დგანან. (ადს)

### შეკითხვა ჰოლანდიის პარლამენტში.

**ბერლინი**, 13 აპრილი. ჰოლანდიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერმა ალბარდამ მისცა შეკითხვა პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრს ჰოლანდიის ელჩის უდენდეიკის მოქმედების შესახებ პეკინში. შეკითხვა შესდგებოდა შემდეგი მუხლებისაგან:

1) რამდენად შეეფერებიან სინამდვილეს ცნობები, თითქოს ჰოლანდიის ელჩმა პეკინში ნება დართო ჩინეთის პოლიციას შეჭრილიყო დიპლომატიური უბნის ტერიტორიაზე და მოეხდინა ჩხრეკა; ხოლო ამასთან ჩინეთის პოლიციამ ისარგებლა შემთხვევით და გადავიდა მისთვის მიცემულ ნებართვის ფარგლებს; 2) ეთანხმებოდა თუ არა ჰოლანდიის ელჩის მოქმედება მის რწმუნებას, შეუთანხმდა თუ არა დიპლომატიურ კორპუსს და აცნობა თუ არა ჰოლანდიის მთავრობას ის გართულებები, რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა ასეთი ნებართვის გაცემას; 3) რა ზომები აქვს მიღებული მთავრობას, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს ის გართულებები, რომლებიც, შესაძლებელია, მოჰყვეს პეკინის ამბებს ჰოლანდიისათვის. (ადს).

## საბჭოთა ნოტის გამოძახილი

### ჩეხო-სლოვაკიაში

### ჰკიცხავენ ინგლისს

**პრაგა**, 12 აპრილი. სავაჭრო-სამრეწველო წრეების ორგანო „პრაგერ ტაგებლატ“, უკეთებს რა კომენტარიებს საბჭოთა ნოტას პეკინის მთავრობისადმი, სწერს:

„ევგენი ჩენი კულტურული ადამიანია და უფრო მისაღებია ევროპისათვის, ვინემ ჩან-ძო-ლინი. მიუხედავათ ამისა, თუ ჩან-ძო-ლინმა გაიმარჯვა, კულტურული ევროპიელები დაუყოვნებლივ იცნობენ მას და მიიღებენ თავის საზოგადოებაში მანჯურიის ბანდების ხელმძღვანელს“.

კომუნისტური „რუდე პრავო“ სწერს:

„ინგლისს უნდა პროვოკაციით ჩაითრიოს ომში საბჭოთა კავშირი და აწყობს მის წინააღმდეგ რეაქციონურ ძალებს. მაგრამ საბჭოები იბრძვიან მშვიდობიანობისათვის საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარების იმედით. ჩვენ მას ამ დახმარებას არ მოვაკლებთ“. (ადს).

### ჩ ი ნ ე თ შ ი

### უკომენტარიოთ

**პეკინი**, 12 აპრილი. პრესა უკომენტარიოთ აქვეყნებს საბჭოთა ნოტას პეკინის მთავრობის მიმართ. (ადს).

### უ ნ გ რ ე თ შ ი

### პეკინ-საბჭოთა კონფლიქტის ირგვლივ

**ვენა**, 12 აპრილი. უნგრეთის პრესა საბჭოთა საელჩოს გაწვევას პეკინიდან ხსნის ისე, როგორც საბჭოთა კავშირის მისწრაფებას აიცილოს კონფლიქტი ჩინეთთან. სოციალ-დემოკრატიული „ნეპსავა“ სწერს:

„ჩან-ძო-ლინის შეჭრა საბჭოთა საკონსულოს შენობაში, რომელიც მოხდა დიპლომატიური კორპუსის დავალებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევაა. სახელმწიფოებს სურთ იაპონია-რუსეთის ომის გამოწვევა, მაგრამ საბჭოთა დიპლომატია მეტად გონიერია იმისათვის, რომ ასეთ ანკესზე არ წამოეგოს. (ადს)

## ოსმალეთი და ერთა ლიგა

**ანგორა**, 12 აპრილი. ანგორაში ჩამოვიდა ერთა ლიგასთან არსებულ დახმარების კომიტეტების ასოციაციის გენერალური მდივანი რეისნერი.

ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებთან კერძო საუბარში რეისნერმა სასურველად სცნო ოსმალეთის შესვლა ერთა ლიგაში. მიუხედავათ ამისა, მას განუცხადეს, რომ ოსმალეთის დამოკიდებულება ერთა ლიგისადმი უარყოფითია, ვინაიდან ერთა ლიგა დიდი სახელმწიფოების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს.

პასუხად რეისნერის გამოსვლაზე ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნების შესახებ, რომელნიც, თითქოს, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, რეისნერს მიუთითეს, რომ ერთა ლიგის ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნეს არა ოსმალეთზე, სადაც ნაციონალურ უმცირესობათა საკითხი უკვე გადაწყვეტილია, არამედ იმ ქვეყნებზედ, სადაც ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტი რჩება. (ადს).

## იმპერიალისტების პროვოკაციის წინააღმდეგ

### კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგის მოწოდება

**ბერლინი**, 12 აპრილი. კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლმა ლიგამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს:

„ინგლისმა ომის გამოუცხადებლათ ფაქტიურად დახმარება გაუწია და მხარი დაუჭირა ჩრდილოეთის კონტრ-რევოლიუციონურ არმიას“. ლიგა მოუწოდებს ყველა მუშებს და ყველა ინტელიგენტებს, რომელნიც ომისა წინააღმდეგნი არიან; საერთაშორისო გამოსვლისაკენ საბჭოთა რუსეთზე სამხედრო თავდასხმის საფრთხის და იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ჩინეთში. (ადს).

## საქართველოს მშრომელთა ხმა

### გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა პროტესტი

გუშინ, 13 აპრილს რედაქციის ბინაზე შესდგა გაზ. „კომუნისტის“ მუშკორთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ს. დოლიძის ინფორმაცია ჩინეთის ამბების და საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის შესახებ და მიიღო შემდეგი—საპროტესტო რეზოლიუცია:

გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. დოლიძის ცნობა ჩინეთის მომხდარ მხეცურ თავდასხმის შესახებ საბჭოთა კავშირის საკონსულოზე; გამოსთქვამს უაღრეს აღშფოთებას, და უცხადებს პეკინის მოძალადეებს და მათი სულის ჩამდგმელთ სასტიკ პროტესტს.

კრება აღფრთოვანებული ხვდება ამხ. ლიტვინოვის ნოტას, რომელიც გაეგზავნა პეკინის მთავრობას, სადაც ამხ. ლიტვინოვი საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით აცხადებს, რომ ჩვენ მოგვეპოვება ტეხნიკური საშუალებები და მუშათა კლასის დაცვის უნარიანობა, რათა ჩინეთში მომხდარ ამბების საწინააღმდეგოთ მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანობა ყველა ხალხთა შორის, მაგრამ თუ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მოისურვებს ოქტომბრის მონაპოვართათვის ხელის შეხებას და ჩვენი მშვიდობიანობის დარღვევას, ჩვენ მზად ვართ გავცეთ ღირსეული პასუხი.

გაუმარჯოს კანტონის ჯარებს რევოლიუციონურ ბრძოლას!

გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელ ხალხს, რომელიც იბრძვის საბოლოო გამარჯვებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ცდილობს მშვიდობიანობის დამყარებას ყველა ხალხთა შორის!

მუშკორი ჯავახიშვილი

## საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

### ესტონეთ-ლატვია-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულება

**რიგა**, 12 აპრ. გაზეთ „იაუნაკ ზინიას“-ის ცნობით, 10 აპრილს რიგაში ჩავიდა ესტონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსი ზემიტი, რომელიც ლატვიის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან აწარმოებს მოლაპარაკებას ესტონეთისა და ლატვიის მიერ საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

### ამხ. დოვგალევსკის განცხადება

**ტოკიო**, 12 აპრ. „შიმბუნ რენგო“-ს სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა იაპონიაში დოვგალევსკიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„ჩემი უმთავრესი ამოცანაა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირისა და იაპონიას შორის“.

შეეხო რა ჩინეთში არსებულ მდგომარეობას, დოვგალევსკიმ კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ იაპონია ანგარიშს უწევს ჩინეთის ხალხის ნაციონალურ უფლებებს. (ადს).

## მოქმედების კომიტეტი საფრანგეთში

**პარიზი**, 12 აპრ. მოქმედების ცენტრალური კომიტეტი, რომელიც დაარსა პარიზში კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შრომის უნიტარულმა კონფერენციამ, ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონურმა ასოციაციამ და კომკავშირმა, აწყობს მთელს საფრანგეთში მოქმედების საოლქო კომიტეტებს.

პარიზის რაიონის მოქმედების კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც შეიცავს ლოზუნგებს: ბრძოლა—ომის საკითხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად, ჩინეთში ინტერვენციის წინააღმდეგ, ჩინეთიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის სასარგებლოდ, სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ, 8 საათის სამუშაო დღისათვის. (ადს).

## ს ა ლ ა ყ ბ ო ს დ ა კ ე ტ ვ ა

**კოვნო**, 12 აპრილი. სეიმმა 12 აპრილის სხდომაზე 45 ხმის უმრავლესობით 30 ხმის წინააღმდეგ დაადგინა უარი უთხრას სასამართლო ხელისუფლებას სახალხო-გლეხურ პარტიის დეპუტატის პაიაულისის გადაცემაზე. შემდეგ სახალხო-გლეხური პარტიის ფრაქციამ შეიტანა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუცია, რომელიც იმავე ხმის უმრავლესობით (45 ხმა 30 წინააღმდეგ) იქნა მიღებული.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ წაკითხულ იქნა პრეზიდენტის აქტი სეიმის დათხოვნის შესახებ. (ადს).

## მორიგი საზიზღარი მკვლელობა

**ვენა**, 12 აპრილი. ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი ედუარდ რუბინი, რომელიც დაპატიმრებული იყო იმის გამო, რომ ბრალდებოდა შუამავლობა სანტოსა და მუშებს შორის, 13 მარტს საშინელი წამების შემდეგ პროკურატურიდან პოლიციაში დააბრუნეს. პოლიცია ამტკიცებს, რომ რუბინი წაიყვანეს, სადგურში ჩამოსული „შიკრიკის“ საცნობად. სადგურზე რუბინი გაიქცა და ხალხში მიიმალა. მაგრამ 16 მარტს რუბინი მოკლული ნახეს იმ ოთახში, სადაც პოლიტიკური პოლიციის უფროსი შვეიმიცერი ჩვეულებრივ აწამებს ხოლმე პატიმრებს. დოკუმენტები, რომელნიც შეეხებიან რუბინს, დაიკარგა სანტოსა და სხვების საქმის მასალებიდან. თუმცა რუბინი ერთ-ერთი მთავარი ბრალდებულია სანტოს საქმეში, მაგრამ იგი არ იმყოფება 30 ბრალდებულს შორის, რომელთაც ასამართლებს საგანგებო სასამართლო; ამავე დროს ამას წინედ დაპატიმრებული მისი 16 წლის ძმა კი ზის საბრალდებლო სკამზე. ყველა ცნობები ამტკიცებს, რომ რუბინი მსხვერპლი გახდა მორიგი მკვლელობისა, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი ბუდაპეშტის პოლიციის კედლებში. (ადს)

## უხაროდეს მაღაროების პატრონებს

**ლონდონი**, 13 აპრილი. ნახშირის მრეწველობის სამინისტროს გაუქმების გამო კუკმა განაცხადა: „ეს გარემოება ახალ საშუალებას მისცემს მაღაროს მეპატრონეებს, რომ მოახდინონ ნახშირის მრეწველობის უსაზღვრო ექსპლოატაცია“. (ადს).

## მენშევიკების დამარცხება

**ბერლინი**, 13 აპრილი. გუშინ ბერლინის რაიონში მოხდა დელეგატების არჩევნები სრ. გერმანიის კავშირთა ყრილობაზე. არჩევნებში ხმის უმრავლესობით გავიდა ოპოზიციის სიის კანდიდატები. ოპოზიციის პირველმა კანდიდატმა მიიღო 3.908 ხმა. სოციალ-დემოკრატების კანდიდატებისათვის მიცემული ხმების უდიდესი რაოდენობა შეადგენს 3.182-ს. (ადს)

## ჩან-ძო-ლინის ტროფეები

„თავდამსხმელები ვერ დაიტრაბახებენ თავიანთი ტროფეებით პეკინში: ოჯახური ნივთები, მოპარული ფულები, სათვალეები, საათები, გატაცებული ავეჯი, ბიბლიოთეკა—ასეთი შესანიშნავი ნაყოფი ამშვენებს იერიშს „მსოფლიო რევოლიუციის ბელზებელზე“. „პრავდა“.



## საბჭოთა პრესა

### კულტურული ძალები სოფელს

ჩვენი სოფელი რომ კულტურული ძალებით ღარიბია, ამას მტკიცება არ ესაჭიროება. ამავე დროს კი გლეხობის სამეურნეო და კულტურული მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება, სოფლად საამშენებლო მუშაობა ვითარდება, და ეს მოითხოვს სხვადასხვა დარგის მომზადებულ მუშაკებს, იქნება ეს მასწავლებელი, ექიმი, აგრონომი, მიწადმომწყობი, ბეითალი, კოოპერატორი თუ სხვა. ხაეთი მუშაკების საჭიროება მით უფრო საგრძნობი ხდება, როცა სამმართველო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით ადგილობრივ ორგანოებს მეტი სამოქმედო ასპარეზი და უფლებები მიენიჭებათ.

რით აიხსნება კულტურული ძალების სიმცირე სოფლად? ამაზე ამხ. პ. გრიგორიევი „პრავდა“-ში უპასუხებს:

„დღემდე ჩვენი სოფელი ასე ღარიბია ამ ძალებით არა მარტო იმიტომ, რომ სათანადო სასწავლებლები არ უშვებენ მათ საჭირო რაოდენობას, ან რომ ქვეყანას, მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობის გამო, არ შეუძლია სწრაფად გაშალოს ქსელი სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანოების, რომლებიც სოფელს ემსახურებიან, — არამედ აგრეთვე იმიტომაც, რომ მიყრუებულ პროვინციაში, განსაკუთრებით მცირე კულტურულ განაპირა რაიონების სოფლებში მუშაობის არსებული პირობები თავისკენ არ იზიდავენ პირებს, რომელთაც დაათავეს ესა თუ ის სპეციალური სასწავლებლები და კურსები. ის პირებიც კი, რომლებიც ამ ადგილებიდან გამოვიდნენ, მათთან დაკავშირებული არიან წარმოშობით, ნათესავური დამოკიდებულებით და სხვა., არ იჩენენ მიდრეკილებას მშობლიურ ადგილებში დაბრუნდნენ თავის მომზადების დამთავრების შემდეგ. ზოგიერთი მათგანი არჩევენ მოეწყონ, თუნდაც ნახევრად დამშეულნი, ცოტად თუ ბევრად მსხვილ ქალაქებში და სოფელთან კავშირს სწყვეტენ; მეორენი თუმცა დაიწყებენ სოფლად მუშაობას, მაგრამ ვერ შეეგუებიან ასეთ მუშაობას, ან ვერ იტანენ ამ მუშაობის მძიმე მატერიალურ და უფლებრივ პირობებს და სოფლიდან ქალაქში გარბიან.

ყველა ეს მოვლენები იწვევენ ადგილობრივ მუშაკების შემადგენლობის მეტად ხშირ ცვალებადობას, ამცირებენ სოფლად მათი მუშაობის ხანგრძლივობას და ამით რღვევენ ცენტრალურ ორგანოების გეგმებს კულტურულ მუშაკების მომზადების საქმეში. სოფელი კი, ხსენებულ გარემოებათა წყალობით, ხშირად უმუშაკებოდ რჩება ან იძულებულია დაკმაყოფილდეს დაბალი კვალიფიკაციის პირობებით, რომელნიც ქალაქში სამუშაოს ვერ შოულობენ“.

აქედან ჩვენს წინაშე, გარდა მუშაკების მომზადებისა საერთოდ, დგას ამოცანა ისეთი ღონისძიებათა გამომუშავებისა, რომელნიც უზრუნველყოფენ სოფლად მათი მუშაობის საკმაო ხანგრძლივობას. დღევანდელ მდგომარეობას კი, როცა ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქალაქისაკენ მოემართება და აქ უმუშევართა კადრს ამრავლებს, ხოლო სოფელი ცალიერდება მომზადებული პირებით, — ბოლო უნდა მოეღოს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

## საქმე ყალბი ჩერვონცების შესახებ

ა. წ. 14 თებერვალს პარიზში თავის ბინაზე, საფრანგეთის პრეფექტურის განკარგულებით, ყალბი ჩერვონცების გასაღების საქმეზე დააპატიმრეს ქართველი თავადი ჩოლოყაშვილი და ერისთავი.

როგორც ირკვევა, საქმის ვითარება შემდეგი იყო:

ერისთავი პარიზში გადაეყარა თავის ძველ ნაცნობს სიმანოვიჩს (რასპუტინის ყოფ. მდივანი) და წინადადება მისცა მას დაეხურდავებია ჩერვონცები, რომლებიც ეკუთვნოდენ „თავადს და ქართველ ხალხთა გმირს" ჩოლოყაშვილს; ამავე დროს, ერისთავმა განაცხადა, რომ ეს ფულები ჩოლოყაშვილმა მიიღო საბჭოთა კავშირიდან. ამ ოპერაციისათვის ერისთავმა სიმანოვიჩს დაპირდა ათასი ფრანკი. სიმანოვიჩმა გამოართვა ერისთავს ჩერვონცები და რამოდენიმე საათის შემდეგ წაღებულ 150 ცალი ჩერვონეცის მაგიერ გადასცა მას 22 ათასი ფრანკი.

ორი დღის შემდეგ ბანკმა, სადაც დახურდავებულ იქნა ჩერვონცები, აღმოაჩინა, რომ ჩერვონცები ყალბია, გამოიწვია სიმანოვიჩი და წინადადება მისცა მას უკან წაეღო ჩერვონცები და დაებრუნებია ფრანკები. სიმანოვიჩმა ბანკის ადმინისტრაციას განუცხადა, რომ მან არ იცოდა თუ ჩერვონცები ყალბი იყო და შეეცდება დააბრუნოს ფრანკები. სიმანოვიჩმა ორი დღის ძებნის შემდეგ იპოვა ერისთავი და ჩოლოყაშვილი და აუხსნა მათ, რომ მისთვის გადაცემული ჩერვონცები ბანკში ყალბათ იცნეს და რომ აუცილებელია ფრანკების დაუყოვნებლივ დაბრუნება ბანკისათვის, რის შემდეგ ბანკი, სიმანოვიჩთან ნაცნობობის წყალობით, ამ საქმეს არ მისცემს მსვლელობას და არ გაახმაურებს. ერისთავმა კატეგორიულად უარყო სიმანოვიჩისათვის ჩერვონცების გადაცემის ფაქტი და განაცხადა, რომ პირველად ხედავს სიმანოვიჩს. ვინაიდან საქმემ სიმანოვიჩისათვის მოულოდნელი მსვლელობა მიიღო, უკანასკნელმა დახმარებისათვის მიმართა ბანკის ადმინისტრაციას, ხოლო ბანკის ადმინისტრაციამ ამის შესახებ აცნობა პრეფექტურას, რომელმაც სიმანოვიჩის მითითებით დააპატიმრა ჩოლოყაშვილი და ერისთავი.

სასამართლოს გამომძიებლის დაკითხვაზე ჩოლოყაშვილმა მას დაწვრილებით მოუთხრო ბოლშევიკების წინააღმდეგ თავისი ბრძოლის ამბავი და დაასახელა ის მიზეზები, რომელთა გამო მან 1924 წელს დასტოვა საქართველო. პარიზში სამუშაოს ძებნის დროს ის დაუახლოვდა რასპუტინის ყოფ. მდივანს სიმანოვიჩს და სწორედ ამან დაღუპა ის.

ჩოლოყაშვილი სასამართლოს გამომძიებელს არწმუნებდა, რომ ის მსხვერპლი გახდა სიმანოვიჩის, რომელმაც გაუზიარა მას ფანტასტიური გეგმა საქართველოში განსაკუთრებულ ემისარების გაგზავნის შესახებ იმ მიზნით, რომ მათ გადმოეტანათ საფრანგეთში კავკასიის მთებში დამალული „განძეულობა", რომელიც, თითქოს, საქართველოში დასტოვეს გამოქცეულმა ემიგრანტებმა.

მეორე დაკითხვაზე ჩოლოყაშვილმა სასამართლოს გამომძიებელს განუცხადა:

—„მე მოვხვდი საგანგებო კომისიის აგენტების მიერ მოწყობილ მახეში. იცოდენ რა ჩემი როლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს ჩემი დაღუპვა, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ ეს. მე ავიღე ფულები, რომლებიც უნდა მოხმარებოდა რევოლუციონურ პროპაგანდას; სწორედ ამან დამღუპა მე".

როგორც კი მიიღო ქართულმა ემიგრაციამ ცნობა ჩოლოყაშვილის დაპატიმრების შესახებ, იმ წამსვე მოწვეულ იქნა საქართველოს „მთავრობის" საგანგებო სხდომა. „მთავრობა" ძლიერ დააფრთხო ჩოლოყაშვილის მონაწილეობამ სისხლის სამართლის საქმეში და მან **გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, დაეხსნა ჩოლოყაშვილი.**

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმისათვის, რომ „მთავრობას" მომავალშიაც თავის ხელში ყოლოდა ჩოლოყაშვილი ახალ ავანტიურებში გამოსაყენებლად და არ შელახულიყო საზოგადოებრივი აზრის თვალში „მთავრობის მიერ ცნობილი ნაციონალური „გმირი".

ჩოლოყაშვილის დაცვა საქართველოს მთავრობამ დაავალა ცნობილ ვექილს **ბატაის**, რომელიც შეეცდება დაამტკიცოს სასამართლოს წინაშე, რომ სიმანოვიჩი იყო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საიდუმლო აგენტი და ცდილობდა სახელი გაეტეხა ცნობილ ქართველ მოღვაწე—ემიგრანტისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ენერგიული ზომებისა ჩოლოყაშვილის განსანთავისუფლებლად, ეს მაინც არ მოხერხდა. ამან მეტად ცუდ ხასიათზე დააყენა მენშევიკური მთავრობა.

ვექილ ბატაის გარდა, მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა აგრეთვე ვექილ **პოლ ბონკურს.**

ჩოლოყაშვილის მოწმეთ დაასახელეს ნიკო **ნიჟარაძე**, საკმაოდ ცნობილი აფერისტი, როელიც პოპულიარობით სარგებლობს მონარქისტულ წრეებში. ნიჟარაძემ, რომლის ჩვენება მიმართულია სიმანოვიჩის წინააღმდეგ, უკანასკნელი გამომძიებელის წინაშე დაახასიათა, როგორც აფერისტი და როგორც ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენი.

ასეთია თავად ჩოლოყაშვილის და მისი სისხლის სამართლის საქმის მოკლე ისტორია და მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ამ სისხლის სამართლის საქმისადმი.

საიდან და ვინ ჩაიტანა საფრანგეთში ყალბი ჩერვონცები, ჯერ გამოურკვეველია.

# სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა

## რუსეთის მთავრობის მუშაობა

### ამხ. რიკოვის მოხსენება.

**მოსკოვი**, 13 აპრილი. „წინანდელი ყრილობა—ლაპარაკობს ამხ. რიკოვი—სწარმოებდა ორი წლის წინ, როცა ჩვენ კიდევ არ გვქონდა მიღწეული ომის წინანდელი ნორმა. ეს ყრილობა მიმდინარეობს მაშინ, როცა ჩვენ ომის წინანდელ ნორმას გაუსწარით სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში. მაშინ მხოლოდ ისახებოდენ ჩვენი მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძვლები, ეხლა კი ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ცხოვრებაში ტარდება უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე.

ძირითადი საკითხია—ინდუსტრიალიზაცია საერთო-სამეურნეო ამოცანაა, თუ მხოლოდ ქალაქის? სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა, სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება და მოჭარბებულ მუშა ხელის სავსებით გამოყენება სოფლად, ყოველივე ეს მჭიდროთ არის დაკავშირებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელებასთან. ინდუსტრიალიზაცია გლეხობას მისცემს იაფ და კარგ მანქანებს, მაშასადამე, თვითეულ დესეტინა მიწის მოსავლიანობას მრავალჯერ გაამრავლებს. ის ნიშნავს იაფ სამრეწველო საქონელს გლეხებისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასასაღებელ ბაზრის გადიდებას. ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს ქიმიურ მრეწველობის ისეთ განვითარებას, რომ რამდენჯერმე გაიაფებული და გადიდებული იქნეს ნიადაგის ხელოვნურად გასანოყიერებელ ნივთიერებათა დამზადება, უზრუნველყოფილი იქნეს მათი ფართოდ გამოყენება საგლეხო მეურნეობაში.

ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელებასთან ერთად გაიზრდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური მთლიანობა, ელექტრო-მიცემობა, გაიზრდება სავაჭრო, სამრეწველო, საფინანსო დასხ. კავშირი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ამ კავშირის განმტკიცებამ თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს საერთოდ მთელი მეურნეობის გეგმიანობის გაძლიერებაში. გეგმიანობა საერთოდ მთელი მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში უნდა განვითარებული იქნეს. მაგრამ გეგმიანი საფუძვლების გაძლიერებასთან ერთად საჭიროა განხორციელებული იქნეს დეცენტრალიზაცია მეურნეობის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. რ.ს.ფ.ს. რ-ის მრეწველობა შეადგენს მთელი საკავშირო მრეწველობის დაახლოვებით 30 პროცენტს. მასში ადგილობრივი მრეწველობა შეადგენს 74 პროცენტს, რესპუბლიკანური—26 პროცენტს. მიმდინარე წელს რ.ს.ფ.ს. რ-ის მრეწველობის ზრდა გათვალისწინებულია 22,6 პროცენტით, საკავშირო მრეწველობისა კი—20—21 პროცენტით.

ჩვენ გაუმკლავდებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სიძნელეებს, თუ არც ერთ კაპეიკს ამაოდ არ დავხარჯავთ. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გავატარებთ გეგმიან საფუძვლებს, რათა თავიდან ავიცილოთ თანხების მიზანშეუწონლად დაბანდება. რ.ს.ფ.ს. რ-ის მრეწველობას, როგორც რესპუბლიკანურის, ისე ადგილობრივის, კაპიტალური ხარჯები 1926—27 წელს აღწევს დიდ თანხას—190.500.000 მანეთს, ხოლო 1925—26 წ. აღწევდა—158.700.000 მანეთს აქედან ადგილობრივ მრეწველობაში განზრახულია დაბანდებულ იქნეს 118.400.000 მანეთი, რესპუბლიკანურ მრეწველობაში—56,400.000 მანეთი.

წელს კავშირი იწყებს ისეთი დიდი ქარხნების აგებას, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ვეებერთელა ქარხანა როსტოვში, სატრაქტორო ქარხანა სტალინგრადში და ლითონის ქარხანა—კერჩში. განზრახულია ქარხნის აგება ურალზე „ანდომატის მთაზე". შენდება ნავთის საწმენდი ქარხანა ტუაპსეში, ნავთსადენი გროზნო-ტუაპსეს შუა. სულ საკავშირო და რესპუბლიკანურ მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობისათვის წელს გადადებულია მილიარდ მანეთზე მეტი. მეტად დიდი საქმე, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ,—ეს არის სემირეჩიეს რკინის გზის გაყვანა. მეორე დიდი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში დგას, ეს არის ვოლგა-დონის არხი.

იქედან, რაც მე ვსთქვი არ უნდა იქნეს გამოტანილი დასკვნა, რომ მე მოვითხოვ ახალი ფაბრიკების და ქარხნების აგებას, დიდი თანხების დახარჯვას სოფლის მეურნეობის ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის, ისე, რომ სავსებით უყურადღებოთ იქნეს მიტოვებული მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ჯანმრთელობის დაცვის და კულტურულ საჭიროებათა მხრივ. უმთავრესია, რომ თანხების დახარჯვა ხდებოდეს თანაზომიერად, როგორც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ისე მოსახლეობის მიმდინარე კულტურულ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

ეხება რა სოფლის მეურნეობას ამხ. რიკოვი ლაპარაკობს:

„ორი წლის განმავლობაში გაიზარდა ნათესების სივრცე. ჩვენ გვაქვს საგრძნობი მიღწევები გლეხობისათვის მანქანების მიწოდების საქმეში. გაიზარდა სპეციალურ კულტურების ხვედრი წონა. მაგრამ მეურნეობათა პირდაპირი რეკონსტრუქციის და შეცვლის პროცესი, ისეთი პროცესი, რომ ერთ და იმავე სივრცეზე მივიღოთ გაცილებით მეტი პური, სელი და სხვა კულტურები, სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ეხლა დაიწყო. სოფლისადმი პოლიტიკაში მთავრობა გამოდის იქიდან, რომ გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანების გაძლიერება უმთავრეს გზას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. გლეხობისადმი, ისევე, როგორც მრეწველობისადმი, აუცილებელია სისტემატიური გეგმიანი ზომები, სისტემატიური დახმარება საგლეხო მეურნეობისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ძირითადი ცვლილება საგლეხო მეურნეობის მდგომარეობაში და მართლაც გადავიდეთ დასამუშავებელ მიწების რაოდენობიდან მათ ხარისხზე, მათ მოსავლიანობის გამრავლებაზე. გადასახადის საერთო რაოდენობა რამდენიმეთ შემცირებულია იმასთან შედარებით, რაც იქნებოდა, რომ ძველი კანონი უცვლელად ყოფილიყო დატოვებული. დაწესებულ ია სპეციალური შეღავათები სელის და სხვა, ე. წ. ძვირფას სპეციალურ კულტურების განვითარებაზე, აგრეთვე მესაქონლეობაზე.

ახალი დებულება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეღავათს აძლევს 20—30 პროცენტის რაოდენობით იმ მეურნეობას, რომლებშიაც მჭამელთა რაოდენობა მცირეა (ერთი თუ ორი).

### ამხ. მილიუტინის მოხსენება.

**მოსკოვი**, 13 აპრილი. 13 აპრილს ამხ. ლობოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ რეზოლიუციის გამოსატანად მოხსენების გამო არჩეულ იქნა კომისია 42 კაცის შემადგენლობით.

ყრილობის 13 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. **მილიუტინის** მოხსენება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ.

— მიმდინარე წელს, — სთქვა ამხ. მილიუტინმა, — სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივ ბიუჯეტებში გადარიცხულ თანხებთან ერთად, შეადგენს 861.000.000 მანეთს, — 213 მილიონი მანეთით მეტი შარშანდელ ბიუჯეტზე.

ადგილობრივი ბიუჯეტები მიმდინარე წელს გადააჭარბებენ 1,250.000.000 მანეთს, წრევანდელი ბიუჯეტი უდეფიციტოა. წელს ბიუჯეტში გაიზარდა არა საგადასახადო შემოსავალი, მიუხედავათ გადასახადების მნიშვნელოვანი გადიდებისა არა მშრომელ ელემენტებზე, რამოდენიმეთ შემცირებულია გლეხობაზე შეწერილი გადასახადი. დღეს ქალაქი ერთნახევარჯერ მეტ პირდაპირ გადასახადს იძლევა, ვიდრე სოფელი.

ახალ ბიუჯეტში შეკვეცილია დაწესებულებათა შესანახი ხარჯები, ხოლო მნიშვნელოვნად არის გადიდებული სამეურნეო კულტურულ და სოციალურ საჭიროებებთან დაკავშირებული ხარჯები. სასოფლო მეურნეობისათვის გადადებულ იქნება 117 მილიონი მანეთი, მრეწველობის განვითარებაზე — 113 მილიონი მანეთი, სახალხო განათლებაზე — 437 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე—182 მილიონი მანეთი. მნიშვნელოვნად განმტკიცდა რუსეთის საფინანსო მეურნეობა.

შემდეგისათვის საჭიროა სასტიკი ეკონომიის დაცვა ადგილობრივი ბიუჯეტების მოწესრიგების მიზნით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი (ადს).

# ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა

**მინსკი**, 13 აპრილი. დაიხურა სრ. ბელორუსიის საბჭოთა მე-8 ყრილობა. ახალი ცაკი არჩეულ იქნა 230 წევრის და 74 კანდიდატის შემადგენლობით. ცაკში არჩეულ იქნა 33 პროცენტი დაზგის მუშა და გლეხი, რომელთა შორის ბევრია გლეხი-ქალები, მოჯამაგირენი და მოჯამაგირე-ქალები.

ყრილობის დახურვის შემდეგ შესდგა ბელორუსიის ს. ს. რ. ახლად არჩეული ცაკის პირველი სესია.

ცაკის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **ჩერვიაკოვი**, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ—ამხ. **ადამოვიჩი** (ადს).

# პარტიული ცხოვრება

## დაზგის მუშათა პარტთათბირის მოწვევის შესახებ

ყველა რესპუბლიკანურ ცეკას, დიდ. ქალაქების და საოლქო კომიტეტებს

დაზგის მუშათა პარტთათბირი თავის ამოცანად ისახავს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების უშუალო დაახლოვებას ფაბრიკებსა და ქარხნებში დაზგაზე მომუშავე პარტწევრებთან და კანდიდატებთან. მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ასეთი თათბირების მოწვევამ სავსებით და მთლიანად გაამართლა მათზე დამყარებული იმედები. ასეთი თათბირები ხელს უწყობდენ მუშა-პარტიულთა აქტივობის ზრდას და ხელმძღვანელ პარტორგანიზაციებს აძლევდა მდიდარ მასალას პრაქტიკულ ხელმძღვანელობისათვის. დაზგის მუშა-პარტიულებთან უშუალოდ გამართული საუბრები, ამ მუშების კრიტიკა ნათლად გამოხატავდა როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშათა ფართო მასების სულიერ განწყობილებას. მეორე მხრივ, ხელმძღვანელი პარტორგანიზაციები, მნიშვნელოვან და კონკრეტიულ საკითხების დასმით თათბირზე, დაზგის მუშა-პარტიულთა კადრებს უშუალოდ უმარტავდენ პარტიის დირექტივებს.

თათბირები უნდა იწვეოდეს გეგმითი წესით, წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით (დღის წესრიგი არ უნდა იყოს ზედმეტად გადატვირთული), თათბირების დელეგატების არჩევნები არ ხდება, არამედ რაიკომები იწვევენ მათ უჯრედთა ბიუროების საშუალებით. საერთო საქალაქო თათბირებზე დელეგატებს რაიკომები გზავნიან. მიზანშეწონილი არ იქნება, რომ მორიგ თათბირზე იწვევდენ ერთ და იგივე მუშებს. რაიკომები იწვევენ თათბირს არა ნაკლებ 2-3 თვეში ერთხელ, ხოლო საქალაქო კომიტეტები არა ნაკლებ 5-6 თვეში ერთხელ. დაზგის მუშათა მოწვევა პარტთათბირებზე არ ანთავისუფლებს მათ ყველა იმ დანარჩენ თათბირებზე მონაწილეობისაგან, რომელსაც კი იწვევენ ხელმძღვანელი პარტორგანოები.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ ცეკას და დიდ ქალაქების კომიტეტებს, რომ მორიგ ანგარიშებში და ცნობებში გააშუქონ შესრულებული მუშაობა ამ ცირკულიარში აღნიშნული დირექტივის თანახმად.

საკ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტ. მდივანი **ნაზარეტიანი.**

## როგორ უნდა ჩატარდეს პირველი მაისი

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სათემო კომიტეტებს, პროფბიუროების ყველა ფრაქციებს და სამაზრო პროფბიუროებს

საპირველმაისო დღესასწაული წელს უნდა ჩატარდეს ჩინეთის ამბებისადმი გაძლიერებული ყურადღების, ჩინეთის მშრომელებთან საერთაშორისო სოლიდარობის, საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის შედეგებისა და მიღწევების აღნუსხვის და ამ მშენებლობის შემდგომი განვითარების გზების დასახვის ნიშნის ქვეშ; ევროპაში სამხედრო შეტაკებათა შესაძლებლობის ნიშნის ქვეშ, რომელთაც აქეზებენ და ამზადებენ იმპერიალისტები, მენშევიკური მე-2 ინტერნაციონალის კურთხევითა და მფარველობით, თეთრი ტერორის მრავალ მსხვერპლთათვის დახმარების გაძლიერების ნიშნის ქვეშ.

1-ლი მაისის დღე უნდა გადაიქცეს მებრძოლ პროლეტარულ დღესასწაულად, ძლიერებისა და ინტერნაციონალური მოვალეობისა და სოლიდარობის შეგნების დემონსტრაციად, ამავე დროს ეს დღე უნდა გახდეს ჩვენს მშრომელთა გამარჯვებისა და სიხარულის დღედ, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად. პირველი მაისის დღესასწაულმა არ უნდა დაკარგოს რევოლიუციონური, მებრძოლი ხასიათის პირველი მაისის სახე (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რაიონებში შარშან და შარშანწინ—ქეიფი, ჩხუბი და სხ.).

დღესასწაულის ჩატარების დროს, პროლეტარიატისა და გლეხობის ფართე მასებმა და ქვედა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და თვითმოქმედება, მასებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო თვით დღესასწაულის ჩატარებაში, არამედ მის წინასწარ მომზადებაშიც.

კამპანიის მომზადება უნდა ატარებდეს ხანგრძლივ და სისტემატიურ ხასიათს. კამპანიის ჩატარებას უნდა უხელმძღვანელონ კომისიებმა—ოლქში, მაზრაში, წარმოებებში, თემებში, სოფლებში. კომისიებში შედიან პარტიული, ახ. ლენ. კომ. კავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციები, ჯარის ნაწილები, ქალორგანიზატორები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები (რემედია, საშეფო საზოგადოებები) და სხ. პროფკავშირის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. სოფლად კომისიას ხელმძღვანელობს პარტორგანიზაციის წარმომადგენელი, ახ. ლენ. კომკავშირის წარმომადგენლის, ქოხ-სამკითხველოს გამგის, მასწავლებლის, უპარტიო გლეხების, საზოგადო ორგანიზაციების, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლის მონაწილეობით და სხ.

პირველ მაისამდე წინასწარი საგიტაციო მუშაობა წარმოებებში—შესვენების დროს, კლუბებში, წითელ კუთხეებში, მუშათა საერთო საცხოვრებელ ბინებში, ქოხ-სამკითხველოებში, სკოლებში, გლეხთა თავშესაკრებ ადგილებში უნდა გამოიხატებოდეს მთელ რიგ საუბრების გამართვაში (საუბრების თემა: 1-ლი მაისის ისტორია, დღესასწაულის ხასიათი ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, ჩინეთის რევოლიუცია და ჩვენი ამოცანები, თეთრი ტერორი). გაზეთებისა და წიგნის მასალების კითხვაში, ჯგუფურ აგიტაციაში, ბიბლიოთეკების, პლაკატების, ლოზუნგების გამოფენაში და კედლის გაზეთების გამოშვებაში.

1-ლ მაისს დღეს ქალაქებში დემონსტრაციები ხანმოკლე მიტინგებით, მუშების, წითელარმიელების, გლეხების გამოსვლა, კარნავალები, ცოცხალი სურათები, მასიური სცენები თემაზე „იმპერიალიზმი და ჩინეთი"; საღამოთი: კინო, წარმოდგენები, მხატვრული დადგმები და სხ.—კლუბებში, მთავარი ყურადღების დათმობით ჩინეთის ამბებისადმი. დღისით—ფიზკულტურა, თამაში. სოფლებში—მიტინგები, მსვლელობა და საბჭოების საზეიმო სხდომები, საღამოს — ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლებში მხატვრული დადგმები (წარმოდგენები, რევოლიუციონური დეკლამაცია, ცოცხალი გაზეთები და სხ. მთავარი ყურადღების მიქცევით ჩინეთის ამბებისადმი—ამას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩინეთის რევოლიუციის საკმაოდ გაუშუქებლობის გამო სოფლად).

დღისით მასიური ხალხური გასართობი—ლელო, ჯირითი, ჭიდაობა, ხალხური გუნდების გამოსვლა, ცალკე მომღერალთა გამოსვლა, დაკვრა ადგილობრივ მუსიკალურ საკრავებზე, განსაკუთრებული ინიციატივა ამ მასიურ კულტურულ გასართობების მოწყობაში უნდა გამოიჩინონ კომკავშირის ორგანიზაციებმა.

საპირველმაისო კამპანიის ჩატარების დროს სკოლის კედლებში უნდა გაიმართოს მთელი რიგი საუბრები და მოხსენებები—მასწავლებლებისა და მოსწავლეების ძალებით, და იგივე სკოლის გარეთ—მოზრდილ მოსახლეობაში—საპირველმაისო კომისიასთან შეთანხმებით; სკოლებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ დემონსტრაციებში ქალაქად და მსვლელობაში სოფლად, უფროსმა ჯგუფებმა უნდა მოაწყონ სპეციალური დილა 3 მაისს (ბავშვთა 1 მაისი) ძირითადი შინაარსით—1-ლი მაისი, ჩინეთის ამბები, თეთრი ტერორი,—მოხსენებები, ინსცენირებები, დეკლამაცია, ცოცხალი გაზეთი, კედლის გაზეთი და სხ.

**გლეხის სახლებში**—უნდა ჩატარდეს სისტემატიური მოხსენებები და საუბრები, შეძლებისდაგვარად მხატვრული დადგმები; 1-ლ მაისს გლეხის სახლში მყოფნი ჩაბმულ უნდა იქნენ დემონსტრაციებში, ხოლო საღამოთი მუშათა კლუბებში.

ნებაყოფლობითი საზოგადოებებმა (რემედიასი, საშეფო საზოგადოება) მონაწილეობა უნდა მიიღონ კომისიის მუშაობაში, შეადგინონ კამპანიაში მონაწილეობის გეგმა, ჩაატარონ თავის უჯრედებში მოხსენებები და დანიშნონ მომხსენებლები მუშებისა და გლეხების კრებებისათვის შემდეგ თემებზე: ბურჟუაზიის თეთრი ტერორი, დახმარება ჩინეთის რევოლიუციას, მუშებისა და გლეხების დახმარება, 1-ლი მაისი და გლეხობა; დახმარება აღმოუჩინონ კლუბებს და ქოხ-სამკითხველოებს, პლაკატების, დიაგრამების და ლოზუნგების შედგენაში ზემოაღნიშნულ თემებზე, ჩაატარონ აგიტაცია თავის წევრებს შორის და მათი საშუალებით მასაში—დემონსტრაციებში და მსვლელობაში მონაწილეობისათვის. საშეფო საზოგადოებებმა და საშეფო კომისიებმა უნდა გაგზავნონ დელეგაციები სოფლად და დაეხმარონ ამ უკანასკნელს 1-ლი მაისის ჩატარებაში, აგრეთვე შეეცადონ, რომ გლეხობის დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღონ ქალაქის დღესასწაულში.

დაწვრილებითი დირექტივებს უგზავნიან ადგილებს საქ. ახ. ლენ. კომ. კავშირის ცეკა, საქართველოს პროფსაბჭო, განათლების სახალხო კომისარიატი და ბავშვთა კომორგანიზაციების ცენტრალური ბიურო.

საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას მდივანი
**ლოლოგერიძე.**
აგიტპროპგანყ. გამგე **თათარიშვილი.**

—:—

## უჯრედების მდივანთა მოადგილეების გამოყოფის შესახებ

მარტო უჯრედის მდივანს ხშირად უძნელდება მასზე დაკისრებულ ყველა მოვალეობათა შესრულება; ამასთანავე ხშირია შემთხვევა, როდესაც უჯრედის მდივანი მიდის მივლინებაში, შვებულებაში ან ავად ხდება და მის ნაცვლად უჯრედში არ რჩება ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს მდივნის მოვალეობის შესრულება. მართალია, ასეთ შემთხვევებში მდივნის თანამდებობის დროებითი ასრულება ეკისრება უჯრედის ბიუროს ერთ-ერთ წევრს, მაგრამ სანამ ეს ასე მოხდებოდეს უჯრედის მუშაობა მაინც საგრძნობლად ფერხდება. გარდა ამისა გადარჩევის დროს ხშირად უჯრედებში ძნელი ხდება მდივნობისათვის სათანადოთ მომზადებული ამხანაგის გამოძებნა. სწორეთ ამ გარემოებებმა დაბადა აზრი უჯრედების მდივანთა მოადგილეების გამოყოფის შესახებ. თბილისის ორგანიზაციაში ასეთ ცდას უკვე ჰქონდა ადგილი. ქალაქის და არსენალის რაიონებში რამოდენიმე უჯრედში უკვე გამოყოფილია მდივნის მოადგილე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა: მოადგილე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უჯრედის მდივანთა საუჯრედო მუშაობის ყველა დარგებში. რის დროსაც თვითონაც იწვრთნება და მისი სახით მზადდება უჯრედის მუშაობის ახალი ხელმძღვანელი.

თბილისის კომიტეტთან მოწვეული საორგანიზაციო თათბირი (ა. წ. მარტში) გაეცნო მე-4 და მე-2 რაიონების ცდათა დადებით შედეგებს და მიზანშეწონილად სცნო უჯრედების მდივანთა მოადგილეების გამოყოფა. მაგრამ ვინაიდან ჩვენს ორგანიზაციას ჯერ კიდევ არა აქვს საკმარისი გამოცდილება ამ საქმეში, მოადგილეების გამოყოფა, თათბირის აზრით, საჭიროა პირველად ცდის სახით გატარდეს მსხვილი უჯრედების განსაზღვრულ რიცხვში.

მდივნის მოადგილე აუცილებლად უნდა წამოყენებულ იქნეს ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან. მან თავის ამოცანად უნდა დაისახოს მდივნისათვის დახმარების გაწევა შინა საუჯრედო მუშაობის სხვა და სხვა დარგებში, როგორიცაა, მაგალითად: საუჯრედო კომისიებისა და პარტორგებისადმი ხელმძღვანელობა, უჯრედის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შემოწმება და სხვა. ბიუროებმა უნდა შეისწავლონ მდივანთა მოადგილეების საქმიანობა და ჩაატარონ მათი მუშაობის გამოცდილებათა გამოკვლევა და განსაზღვრება.

ქ. სურმუშელი.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### საზღვრითი ზედნართი პურზე.

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დააწესა საზღვრითი ზედნართები საცალო ფასებზე პურის ვაჭრობაში. საზღვრითი ნორმები ზედნართი ხარჯებისათვის არ უნდა აღემატებოდეს 16 კაპ. ფუთ პურზე. შინავაჭრობის ორგანოებმა უნდა დაავალონ კერძო საცალო, საარტელო და კერძო პურის მცხობელთ, რომელთაც ფქვილს აწვდიან სახელმწიფო ორგანიზაციები, რომ ფქვილი და გამოცხობილი პური გაჰყიდონ შინავაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში (ადს).

### 10.000 ამერიკელი ექსკურსანტი

**მოსკოვი**, 13 აპრილი. მიმდინარე წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირს, კერძოთ, ლენინგრადს, მოსკოვს, ყირიმს, კავკასიას და ურალს ინახულებს 10.000 ამერიკელი ექსკურსანტი.

### ყინულის დაძვრა მოსკოვ-მდინარეზე

**მოსკოვი**, 12 აპრილი. გუშინ დღის 3 საათზე ქალაქში მოსკოვ-მდინარეზე დაიძრა ყინული. წელს წყალდიდობა არ არის მოსალოდნელი. (ადს).

### ახალი სესხის პირველი ტირაჟი

**მოსკოვი**, 13 აპრილი. 1927 წლის მომგებიანი სესხის პირველი ტირაჟი შესდგება მოსკოვში 15 მაისს (ადს).

### ჩვენი ფლოტი

**სევასტოპოლი**, 13 აპრილი. შავი ზღვის ფლოტის პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით—ჩვენი ფლოტის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მუკლევიჩი, რომელმაც სთქვა: წლიდან წლამდე ძლიერდება და მტკიცდება ჩვენი ფლოტი. ამჟამად ის წარმოადგენს ბრძოლის სრულ უნარის მქონე ძალას".

### პრაქტიკული ბოტანიკის ინსტიტუტის მასიური ცდები

**მოსკოვი**, 13 აპრილი. პრაქტიკული ბოტანიკის სრულიად საკავშირო ინსტიტუტმა დაუგზავნა გლეხებს საცდელი თესლეულის რამდენიმე ასი ამანათი. 5 ათასი გლეხი სცდის ამ თესლეულის ნაყოფიერებას. 170 სოფელში ჯიშების გამოცდა სწარმოებს კოლექტიურად. ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში უფასოდ გზავნის ხორბალს, ქერს, შვრიას, სიმინდს და სუდანის ბალახს, გარდა ამისა,—ინსტრუქციას, თუ როგორ მოუარონ თესლეულს (ადს).

### დიუამელი გაემგზავრა საზღვარ-გარეთ

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საბჭოთა კავშირში მყოფი ფრანგი მწერლები დიუამელი და დიურტენი გაემგზავრენ საზღვარგარეთ. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დიუამელს სთხოვეს თანამშრომლობა სხვადასხვა საბჭოთა ჟურნალებში. აგრეთვე „მეჟრაბპომ რუსი"-ს კინოფაბრიკამ შეუკვეთა სცენარის დაწერა კინოსურათისათვის. დიუამელმა დასდო ხელშეკრულება სახელმწიფო გამომცემლობასთან მთელ რიგ მის ახალ ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ, ვიდრე ეს ნაწარმოებნი დაიბეჭდება საფრანგეთში (ადს).

### გადასახადი ზემოგებაზე

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ახალი კანონპროექტი ზემოგებაზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ ამ კანონპროექტის მიხედვით, გადასახადი ზემოგებაზე გადახდება კერძო, წმინდა სავაჭრო წარმოებებს, რომელთა მოგება აღემატება ოთხმაგი, საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს, და იმ პირებს, რომელნიც საშუამავლო ბირჟის ოპერაციებს ეწევიან და რომელთა შემოსავალი 400 მან. აღემატება. კანონპროექტი უმაღლეს ორგანოებს გადაეცა დასამტკიცებლად (ადს).

### 300.000 მ. ა.-კ. სას.-მეურნ. ელექტრიფიკაციისათვის

**მოსკოვი**, 13 აპრილი. შესასრულებლათ საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ელექტროსტროი"-ს ძირითადი კაპიტალის გადიდების შესახებ, შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიმდინარე წლის ბიუჯეტით ელექტროფიკაციისათვის გადადებულ თანხიდან ამიერ-კავკასიისათვის გადასდო 300.000 მანეთი. ეს თანხა საზოგადოება „ელექტროსტროის" საქციონერო კაპიტალის სახით უნდა მოხმარდეს ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობის ელექტროფიკაციას. (ადს).

### პურის მიწოდების გეგმა

**მოსკოვი**, 13 აპრილი. 12 აპრილს ცეკავშირმა შუამდგომლობა აღძრა ცენტროსოიუზის გამგეობის წინაშე, რათა საქართველოს კოოპერაციაც შეტანილი იქნეს მომავალ წლის პურის მიწოდების გეგმაში. ცეკავშირის განცხადებაში ნათქვამია, რომ წელს საქართველო არ იყო საკმაო მომარაგებული პურით და პურის მიღების წყაროებიც შემთხვევით ხასიათს ატარებდენ. მხოლოდ ცენტროსოიუზთან გენერალური ხელშეკრულების დადება მოაწესრიგებს სამომხმარებლო კოოპერაციის ნორმალურ მუშაობას საქართველოს პურის ბაზარზე. ცენტროსოიუზის პურის სამმართველომ დაადგინა გაითვალისწინოს ცეკავშირის შუამდგომლობა მომავალი წლის მომარაგების გეგმის შედგენის დროს. (ადს).

### წყალდიდობა

**ორენბურგი**, 13 აპრილი. არაჩვეულებრივი წყალდიდობით წალეკილია ტაშკენტის რკინის გზის... (გამოტოვებულია) გზა, კილომეტრის მანძილზე. მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. (ადს)

**სარატოვი**, 13 აპრილი. მდინარეების ადიდებით წალეკილია რკინის გზის ხაზი. ნოვოუდინსკში წყალმა დაფარა ხიდი და ქალაქის დაბლობი ნაწილი.

### ჩაი ამიერ-კავკასიისათვის

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა „ცენტროსოიუზის" მიერ მიმდინარე წლის მესამე მეოთხედში (აპრილი-ივნისი) შავი ჩაის შემოზიდვის გეგმა. ამიერ-კავკასიაში შემოზიდულ იქნება 180.000 კილოგ. ჩაი. ჩაი დანაწილებულ იქნება ასორტიმენტებათ: 70 პროც. უმაღლესი ხარისხის, 20 პროცენტი საშუალო და 10 პროცენტი დაბალი ხარისხის. (ადს).

### ჩაის გაშენების საცდელი ინსტიტუტი აჭარისტანში

**მოსკოვი**, 13 აპრილი. საკავშირო ს.მ.უ. საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკურმა სამმართველომ საჭიროთ სცნო ჩაის გაშენების სპეციალურ სამეცნიერო-გამომკვლევ ინსტიტუტის მოწყობა აჭარისტანში. ს.მ.უ. საბჭოს სასოფლო მრეწველობის მთავარი სამმართველო ამ მიზნისათვის სდებს 100.000 მანეთს. ინსტიტუტს მატერიალური დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე „ცენტროსოიუზმა" და ჩაის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. (ადს).

# ა.-კ. ფედერაციაში

## აზერბეიჯანი

### დახვრეტის შეცვლა.

**ბაქო**, 13 აპრილი. აზერბეიჯანის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ბაქოს საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი ტყავტრესტის დირექტორის დუბლინსკის საქმეზე. დუბლინსკისთან ერთად, რომელსაც ჰქონდა გაფლანგული 6.000 მანეთი, მისჯილი ჰქონდა დახვრეტა ტეხნიკური მომარაგების განყოფილების მოლარეს ტერ-ზახაროვს, რომელმაც გაფლანგა 8.000 მანეთი. დახვრეტა ორივეს შეეცვალა ათი წლით თავისუფლების აღკვეთით (ადს).

### ახალი გამოგონება.

**ბაქო**, 13 აპრილი. კასპიის ზღვის სანაოსნო საზოგადოება ცდის სახით სდგამს გემ „ირანსა" და „გუბანოვზე" მაკეევის სისტემის ახალი ტიპის ხრახნილებს. მაკეევის ხრახნილებს აქვთ ფრინველის ფრთისებური ფორმა და სისწრაფესთან ერთად იძლევიან საწვავი მასალის ეკონომიას 10 პროცენტით (ადს).

## სომხეთი

### ფასების დაკლება

**ლენინაკანი**, 13 აპრილი. ლენინაკანის მუშათა კოოპერატივში ზედნადები ფასის ნორმად ბამბის ფართლეულზე გატარებულია 22 პროცენტი, ხოლო შალეულ და სელის ფართლეულზე 21 პროცენტი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იანვრის ზედნადებ ფასებთან შედარებით (30 პროცენტი) დაკლება უდრის 8-9 პროცენტს: თებერვლის ზედნადებ ფასებთან შედარებით (28 პროცენტი), დაკლება მარტში შეადგენს 6-7 პროცენტს. სულ ფართლეულზე მარტში დაკლებულ იქნა ფასი. 8.487 მანეთის რაოდენობით, ე. ი. 9,3 პროცენტი. თებერვლის და 11,3 პროცენტი, იანვრის ზედნადებ ფასებთან შედარებით. ნატეხ შაქარზე ფასი დაკლებულ იქნა—6,45 პროც., ფქვილზე—3,55 პროც., ლითონის ნაწარმოებზე —10,40 პროც., ნავთზე — 5,50 პროც., ფეხსაცმელზე—4,65 პროც., მზა ტანისამოსზე — 23,38 პროც., თამბაქოს ნაწარმოებზე — 14.94 პროც. და სხვ. (ადს)

# კასპიის ზღვის

## ახალი ფლოტი

**ბაქო**, 12 აპრილი. ტვირთმზიდველობის ზრდის გამო, კასპიის ზღვის სანაოსნო საზოგადოება აფართოებს თავის ფლოტს. ლენინგრადის გემთ-სააღმშენებლო ტრესტსა, სახელმწიფო მექანიკურ სახელოსნოსა და კასპიის ზღვის სანაოსნო საზოგადოების შორის დაიდო ხელშეკრულება სამი ახალი მძლავრი თბომავლის (თვითეული 7 ათასი ტონის ტვირთ მწეობით) ექვსი ბუქსირის (თვითეული 800 ცხენის ძალოვანი) და 8 მსხვილი ბარჟის (3.500 ტონით ტვირთმწეობით) აგების შესახებ. პირველი თბომავლის აგება უნდა დასრულდეს 1928 წლის ზაფხულს.

გოროხოვეცში თავდება ორი ბარჟის აგება, აგრეთვე მზადდება ორი რკინაბეტონის პლაშკოუტი. დღემდე კასპიის ზღვაზე უდიდეს გემად ითვლებოდა თბომავალი „ვოლგა" 5.250 ტონის ტვირთმწეობით. (ადს)

# ფასების დაკლებისათვის

## ფასების სიჭრელე

ფასების დაკლების კამპანიამ არ უნდა მიიღოს ვიწრო ხასიათი. ის უნდა გამოიხატოს არა მარტო იმაში, რომ განსაზღვრული პროცენტით ჩატარდეს შემცირება, არამედ ამ კამპანიის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს ფასების ის სიჭრელე, რომელიც ამჟამად სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებში არსებობს.

როგორ ტარდება ფასების დაკლების კამპანია? ფასების შემცირება ხდება მექანიკური განსაზღვრული პროცენტით და შემცირების დროს მხედველობაში არ არის მიღებული ფასების ის სიმაღლე, რომელიც სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებში არსებობს. ვთქვათ, ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სახელმწიფო ან კოოპერატიულ ორგანიზაციაში ღირს—ერთგან 50 კ. და მეორეგან 80 კ., ფასების ამ განსხვავებას მხედველობაში არ ღებულობენ და ორივეგან შემცირება ხდება დაახლოვებით ერთნაირ ფარგლებში. შემცირების შემდეგ ერთგან ეს საგანი შეიძლება ღირდეს 45 კ.; მეორეგან 75 კ. ამრიგათ შემცირება მოხდა და დირექტივაც „შესრულებულად" ითვლება.

ფასების შემცირების ასეთი წესით გატარება არ იქნება სწორი. შემცირების დასახული პროცენტი, თუ მას დამახინჯებულათ გავიგებთ, ეხება საქონელზე არსებულ საშუალო ფასებს. ამ სახელმწიფო და საკოოპერაციო სავაჭრო ორგანიზაციებში, სადაც ფასები შედარებით სხვებთან მაღლა იდგა, შემცირების პროცენტი სათანადოთ უნდა იქნეს გაზრდილი.

რომ ასეთი მიდგომა ფასების შემცირების დროს აუცილებლათ საჭიროა, ამას გვიმოწმებს ფასების სიჭრელე სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებში. მოვიყვან აქ ცნობებს, რომელიც შეგროვილი იყო საქ. პროფკავშირების საბჭოს მიერ.

ჩვეულებრივი უბრალო საპნის ფასები სხვადასხვა ორგანიზაციებში ასეთია—მუშკოოპში 4 მ. 20 კ.; „მეომარში" („ბოეც")—3 მ. 60 კ.; კერძო ბაზარზე—2 მ. 40 კაპ.—3 მანეთამდე.

მაგიდების გადასაფარებელი კლიონკები ერთი მეტრი ღირს რკინისგზელთა კოოპერატივში („ზაკტპო") 2 მ. 50 კ.; რეზინოტრესტში კი 2 მ. 5 კ.; განსხვავება 45 კაპ. გამოიხატება.

შეკერილი საცვლები (მამაკაცის) ერთი და იგივე ხარისხი მუშკოოპში 6 მ. 45 კ.; „მეომარში" 5 მანეთიდან 7 მანეთამდე; რკინისგზელთა კოოპერატივში—5 მ. 95 კ.; თბილისის სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში („გოსტორგი") 5 მანეთი და 10 კაპეიკი.

სტოლსაფარი საშუალო სიდიდის „მეომარში" 3 მან. 26 კ.—4 მან. 03 კაპ., რკინისგზელთა კოოპერატივში 3 მან. 81 კაპ.—5 მ. 51 კაპ.

სავარცხელი, ეგრეთ წოდებული „შალიაპინი" პირველი ხარისხის, მუშკოოპში ღირს 1 მ. 15 კაპეიკი; „მეომარში"—1 მ. 20 კაპეიკი; რკინისგზელთა კოოპერატივში—1 მანეთი 20 კ.; რეზინოტრესტში კი—1 მან.

მამაკაცის ფეხსაცმელები ხრომისაგან ერთი და იგივე ხარისხი ღირს მუშკოოპში—12 მ. 90 კაპეიკი; „მეომარში"—12 მ. 50 კაპეიკი, რკინისგზელთა კოოპერატივში—11 მ. 05 კ.; სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიაში („გოსტორგი") 18 მანეთი და 75 კაპეიკი.

ალიუმინის ქურქელი ღირს მუშკოოპში—3 მან. 65 კ.; რკინისგზელთა კოოპერატივში 3 მანეთი და 60 კაპეიკი, ფერად ლითონების ტრესტის მაღაზიაში 3 მანეთი 15 კაპ.

თუჯის ქარხნის თვითმადუღებელი (სამოვარი) ოც ჭიქიანი მუშკოოპში ღირს 44 მანეთი, და 50 კაპეიკი, „მეომარში"—42 მანეთი, რკინისგზელთა კოოპერატივში—38 მ., ფერად ლითონების ტრესტის მაღაზიაში—34 მ. 90 კაპ.

უთო ღირს მუშკოოპში 5 მან. 25 კაპეიკი, „მეომარში" 5 მანეთი; კერძო ბაზარზე—4 მანეთი და 50 კაპეიკი.

მეორე ხარისხის თამბაქო ღირს მუშკოოპში—5 მან. 11 კაპ.; „მეომარში" კი 4 მანეთი და 40 კაპეიკი.

წითელი ლობიო ღირს მუშკოოპში 16 კაპეიკი; „მეომარში" 14 კაპეიკი; რკინისგზელთა კოოპერატივში 12 კაპეიკი.

კომბოსტო მუშკოოპში ღირს 27 კაპეიკი; რკინისგზელთა კოოპერატივში 36 ნახ. კაპ. ხახვი მუშკოოპში ღირს 20 კაპეიკი, კერძო ბაზარზე კი 18 კაპეიკი.

აქ შეუძლებელია ყველა პირველ მოხმარების საგნებზე ფასების მოყვანა. ზევით მოყვანილი საკმაოთ ახასიათებს ფასების იმ სიჭრელეს, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფო და საკოოპერაციო ვაჭრობაში. ფასების სხვადასხვაობა სხვადასხვა ორგანიზაციებში არსებულ პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენათ. ფასების გათანასწორება ჯერჯერობით შეუძლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ფასების ისეთი დიდი განსხვავება იქნეს, რომელიც ახლა არსებობს. ნორმალური განსხვავებათ შეიძლება ჩაითვალოს 2 ან 3 პროცენტი. არსებული განსხვავება კი ზოგიერთ შემთხვევაში 20 და 30 პროცენტს უდრის.

საუკეთესო საშუალება ფასებში ამ დიდი განსხვავების შენელებისათვის არის თვით მომხმარებელთა კონტროლი. პროფესიონალური ორგანიზაციების საშუალებით უნდა ხდებოდეს დრო გამოშვებით პირველ მოხმარების საგნების ფასების სიმაღლის გამოკვლევა სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებში. ამ გამოკვლევის შედეგები უნდა ქვეყნდებოდეს, რომ ფართო მომხმარებელმა მასამ გაიგოს, თუ სად რა იყიდება ძვირათ და იაფად. ეს უეჭველად აიძულებს სათანადო ორგანიზაციებს მოაწესრიგონ ფასების სიმაღლე.

ფასების შემცირების საქმეში მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ორგანიზაციების შეჯიბრებას. არსებულ პირობებში ერთგვარ, საღ ნიადაგზე დამყარებული კონკურენცია ხელს შეუწყობს ფასების დაკლებას. ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად რომელიმე ორგანიზაციის ხელში განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვაჭრობის მონოპოლიის შემოღება. მონოპოლიის დროს სად კონკურენციას ადგილი არ ექნება და ფასების დაკლებაც სუსტად გატარდება. ახლაც, როცა რამდენიმე სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები ეწევიან ვაჭრობას, ადგილი აქვს ფასების დიდ განსხვავებას. თუ ვაჭრობა ერთ რომელიმე ორგანიზაციას გადაეცა, ეს განსხვავება უფრო გაიზრდება. ამიტომ ჯერ-ჯერობით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციების არსებობა. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი აპარატი ისე გამოსწორდება, რომ უწყებრივი თვალსაზრისით არ იმოქმედებს და საკითხებს ჯანსაღათ მიუდგება, შესაძლებელი იქნება ვაჭრობაში პარალელიზმის მოსპობა.

ტომელი.

## ფასების დაკლება სატრანსპორტო კოოპერაციაში

სატრანსპორტო კოოპერაციაში ფასების დაკლების კამპანია 15 თებერვლიდან გაძლიერებულ ტემპით სწარმოებს და პირველი მარტისათვის საბიუჯეტო ნაკრების ღირებულება შემცირებულ იქნა 10,3 პროცენტით. პირველ აპრილისათვის კი საბიუჯეტო ნაკრები პირველ მარტთან შედარებით შემცირდა 10,57 პროცენტით. 5 მარტს გატარდა ფასების დაკლება მთელ ფართლეულზე. ამავე დროისათვის გატარებულ იქნა ფასების შემცირება საქონლის მთელ მასაზე.

ასეთი შემცირება ფასებისა, გატარდა აპარატის რაციონალიზაციის და ხარჯების შემცირების ხარჯზე. კერძოთ, აპარატის რაციონალიზაციამ და ხარჯების შემცირებამ საზოგადოების პირველ აპრილისათვის 28.000 მანეთის ეკონომია მისცა, რაც ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 4,6 პროც. შეადგენს.

მომავალში გათვალისწინებულია ამ მუშაობის უფრო გაძლიერება. ამასთანავე აღებულია გეზი საქონლის ბრუნვის გადიდებაზე.

რათა მომხმარებელმა თავის თვალით გასინჯოს, თუ რა საქონელზე რამდენად არის შემცირებული ფასები და იგი შეცდომაში არავინ შეიყვანოს, ამისათვის „ზაკტპო"-ს ყველა საჭაპროებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებულია პრეისკურანტები ყველა ჯგუფის საქონელზე, ძველი და ახალი (დაკლებული) ფასების აღნიშვნით.

## პრესა ფასების დაკლების შესახებ

### ფასების დაკლება და სასამართლოს ამოცანები

როგორც საკავშირო კომპარტიის ცეკას, ისე რესპუბლიკანურ კომპარტიათა ცენტრალურ ორგანოების დადგენილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად ფასების დაკლების კამპანიაში უნდა გამოყენებულ იქნას ადმინისტრატიულ-რეპრესიული ხასიათის საშუალებებიც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო ორგანოების წინაშე ისმება მთელი რიგი ახალ და საპასუხისმგებლო ამოცანებისა. ამ საკითხს ეხება გაზ. „პრავდა"-ში ამხ. ა. როზენბერგი, რომელიც სწერს:

„სასამართლოს რეპრესია უნდა ეთანაბრებოდეს თვითეულ ცალკე შემთხვევების გარემოებას და უნდა უკავშირდებოდეს ფასების დაკლებისათვის მიღებულ საერთო საშუალებათა სისტემას. ეს რეპრესია უნდა ტარდებოდეს საქმის ცოდნით, მტკიცეთ და სისტემატიურად. ამოცანა უთუოდ ძნელია, მაგრამ არა დაუძლეველი".

შემდეგ ამხ. როზენბერგი ჩამოთვლის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში. ასეთი მუხლები, როგორც ამას ავტორი კოდექსიდან ამოღებულ ციტატებით ამტკიცებს, საკმაოთ მოიპოვება.

„გარდა სისხლის სამართლის ხასიათის რეპრესიებისა, განაგრძობს ავტორი, სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა წარმოების დარგშიაც აქვს მრავალი კანონიერი შესაძლებლობანი და საშუალებანი ხელი შეუწყოს ფასების დაკლების პოლიტიკის წარმატებით გატარებას. იმ მრავალ შემთხვევებში, როცა სასამართლოს უხდება კონტრაგენტთა დავის გადაწყვეტა, მან უნდა მხედველობაში მიიღოს საქონლის ესა თუ ის ფასი. მომჩივანნი საზოგადოთ აზვიადებენ თავიანთ „ზარალს" ზედმეტად დიდ და ზოგჯერ სპეკულიანტურ ფასების დადებით საქონელზე. ისინი გვერდს უხვევენ საქონლის ნორმალური ტრიალის პირობებს და ყოველგვარ წესებს საზღვრით ზედნადები ხარჯების შესახებ.

ასეთ საქმეების გარჩევის დროს სასამართლოებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ მტაცებლურ სტიქიის წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს ფასების დაკლების და ბაზრის გაჯანსაღების საქმეს".

ამხ. როზენბერგის მიერ წამოყენებული საკითხი უთუოდ დროული და საჭირბოროტოა. ვფიქრობთ, რომ სასამართლოს ხელმძღვანელმა ორგანოებმა ჩვენში ამ მიმართულებით უნდა გადადგან სათანადო ნაბიჯები.

რო—ლი

# მიწათმოწყობის საქმე ჩვენში *)

გასულ 1926 წელს მიწათმოწყობა დამთავრდა 204 სოფელში 14.725 კომლით, ხოლო 69 სოფელში, სადაც მიწათმოწყობილია 12422 კომლი, მუშაობა შეწყვეტილი იქნა დეკემბერში ზამთრის გამო. 80 პროცენტი მთელი ამ მუშაობისა შესრულებულია კომლეური მიწათმოწყობის წესით და მხოლოდ რამდენიმე ათეული სოფელი მთიულეთში და სვანეთში მოეწყო სოფელთაშორისო დავების გადაჭრით კომლეური მიწათსარგებლობის გეგმაზე აუნიშნავათ, რასაც აქვს წინასწარი მუშაობის ხასიათი.

სივრცე მოწყობილ და აგეგმილ მიწებისა უდრის 93.941 ჰექტარს. მუშაობა შესრულებულ იქნა 80 მიწისმზომლის მიერ.

მუშაობა სწარმოებდა 10 მაზრაში 9—9 თვე, ორ მაზრაში 8—8, ერთში—7, ორში 6—6 და ერთში—4 თვე. შესრულებულ იქნა საოპერაციო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს მხოლოდ 42,7 პროცენტი, ხოლო მთელი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მიწების 7,4 პროცენტი, რაც წინა წლებში შესრულებულ ნამუშევართან ერთად შეადგენს მთელი რესპუბლიკის კომლეური მიწათმოწყობის სამუშაოს 12,9 პროცენტს.

დაიხარჯა ამ სამუშაოზე 275.182 მან., რომლიდანაც 210.182 მან. სახელმწიფო სალაროდან და 65.000 მან. მიწათმოწყობილ სოფლების მიერ, ასე რომ თვითეულ კომლის მიწათმოწყობა ორთაშუა დაჯდა 10 მან. და 14 კაპ., ხოლო თვითეული ჰექტარისა—2 მან. და 98 კაპ.

საძოვრების მოწყობის დარგში 9 სპეციალისტის მიერ შესრულებულია შემდეგი: მოწყობილია 82.840 ჰექტარი საზამთრო და 8.209 საზაფხულო საძოვრები, მოხდენილია ბოტანიკური აღწერა და ახალ მოსარგებლეთა შორის გადაჯგუფება 27.250 ჰექტარი საზამთრო და 70,850 საზაფხულო საძოვრებისა. ეს ნამუშევარიც შეადგენს მხოლოდ 31,7 პროცენტს საოპერაციო გეგმით გათვალისწინებული მუშაობისას. საძოვრების ერთი ჰექტარის მოწყობა დაჯდა 42 კაპ.

როგორც სამიწათმოწყობო, ისე საძოვრების მოწყობის საქმეში საოპერაციო გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საოპერაციო გეგმა შედგენილი იყო საპერსპექტივო გეგმასთან შეთანხმებით და სამუშაო ნავარაუდევი იყო 200 მიწისმზომელზე, სინამდვილეში კი ხარჯთ-აღრიცხვით მიღებულ იქნა ისეთი მცირედი თანხა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მხოლოდ 80 მიწისმზომლის მუშაობა.

მუშაობა წარმოებდა აგრეთვე სახალშენო საქმეზეც, სადაც შესრულებულია შემდეგი: მიწათმოწყობა ჩატარდა ახალშენში 390 კომლით 1.623 ჰექტარზე, 29 სოფელში გამოკვლეულია მეურნეობა 1586 კომლისა სესხის მიცემის მიზნით მეურნეობის გასაჯანსაღებლად, აქედან სესხი მიეცა 857 კომლს, 100-დან 200 მანეთამდე თითოს, როცა ამოწურულ იქნა მთელი ამ საქმისათვის გადადებული საბანკო კრედიტი, სულ 101.365 მანეთი. ეს მუშაობა შესრულეს მიწათმოწყობის შტატიდან გამოყოფილმა სამმა მიწისმზომელმა და სახალშენო საქმის ორმა თანამშრომელმა.

ზემოხსენებულ სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო შეიქნა ზოგ ალაგას ტრიანგულიაციის ქსელის წერტილების აღდგენა და ზოგან კი ახალი ქსელის შედგენა, ან არსებულის გამჭიდროება გადიდებულ მასშტაბისათვის, რაც შესრულებულ იქნა შვიდი ტრიანგულიატორის მიერ 249610 ჰექტარის ფართობზე.

1926 წლის გამოცდილებამ იძულებული ჰყო მიწათმოქმედების კომისარიატი 1927 წლის მიწათმოწყობის გეგმა შეადგინა მეტის სიფრთხილით, რადგან საპერსპექტივო გეგმის განხორციელება სავსებით დამოკიდებული აღმოჩნდა საკავშირო ბიუჯეტის მდგომარეობაზე. ამის გამო 1927 წლის საოპერაციო გეგმა შედგენილია 100 მიწისმზომელზე, ამათგან 4 ტრიანგულიატორია, 9 მიწისმზომელთა გუნდის ხელმძღვანელი, 12 სამაზრო მიწისმზომელი, რომლებსაც დავალებული აქვთ არა მიწათმოწყობის საქმე, და 9 საძოვრებზე მომუშავე სპეციალისტი, ასე რომ სოფლების მოწყობისთვის სახალშენო საქმის ჩათვლით რჩება მხოლოდ 66 მიწისმზომელი, განაწილებული მაზრებზე შემდეგნაირად: თბილისის მაზრაში—19 მიწისმზომელი, ახალქალაქისაში—10, გორის, თელავის და სიღნაღისაში—შვიდ-შვიდი კაცი, ახალციხეში—4, დუშეთის, ბორჩალოს და შორაპნის მაზრებში—3—3 ტეხნიკი, ქუთაისის მაზრაში—2 და ოზურგეთის და ლეჩხუმის მაზრებში—თითო მიწისმზომელი. აქედან თბილისის მაზრა თავის ხარჯზე ამუშავებს 16 მიწისმზომელს და ახალქალაქის მაზრა—3-ს.

თვით სამუშაო განაწილებულია ხუთ დარგათ: **ტრიანგულიაცია** უნდა შესრულდეს 174 პლანშეტზე ე. ი. 281.656 ჰექტარის ფართობზე; **მიწათმოწყობა** უნდა გაგრძელებულ იქნას 69 სოფელში 16.015 კომლით და 81.540 ჰექტარი მიწით და ახლად შესრულებული—149 სოფელში—15.635 კომლით 121.042 ჰექტარზე; **სახალშენო საქმე**, მიწათმოწყობის, სახალშენო მიწის ფონდის დამზადების, დასახლების და მოახალშენეთა მეურნეობის გამოკვლევის სახით, უნდა შესრულდეს 36 სოფელში 1614 კომლით 11.515 ჰექტარზე; **საძოვრები**, როგორც სანორმო (დასახლებული საძოვრები), ისე საიჯარო, უნდა მოეწყოს სიღნაღის, თბილისის, ბორჩალოს, თელავის, შორაპნის, ოზურგეთის, სვანეთის და გორის მაზრებში 115.320 ჰექტარი საზაფხულო და 14.740 ჰექტარი საზამთრო; უნდა გადაჯგუფებულ იქნას სიღნაღის მაზრაში 40.930 ჰექტარი საზამთრო საძოვარი და აღწერილი და შეფასებულ იქნეს სიღნაღის, თბილისის და გორის მაზრებში 17.250 ჰექტარი საზამთრო და 10.900 საზაფხულო საძოვარი; **ძირითადი სადგილ-მამულო რეგისტრაციაზე** უნდა წარმოებულ იქნას მუშაობა დასავლეთ საქართველოს 25 სოფელში 7399 კომლით.

გარდა ამ მთავარ სამუშაოთა, გეგმაში შეტანილია რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყველა საბჭოთა მეურნეობის აგეგმვა და შეფასება, რკინის გზის და სამხედრო უწყების მიწების რეგისტრაცია და საქმეების მომზადება მიწათმოწყობის თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველოს 99 სოფელში 8.850 კომლით.

ამ გეგმის შესასრულებლად უკვე გაგზავნილია მიწისმზომლები 4 აპრილიდან ყველა მაზრებში, გარდა ახალქალაქის და ახალციხისა, სადაც მუშაობა დაიწყება არა უგვიანეს 1-ლ მაისისა.

პირობები, რომლებშიაც უხდება მიწისმზომელებს მუშაობის წარმოება, მეტად უხერხულია. უსახსრობის გამო კომისარიატი იძულებულია ტრიანგულიაციაზე, ახალშენებში და საძოვრებზე მომუშავე მიწისმზომელებს მისცეს ფული მხოლოდ ორი მუშის დასაქირავებლად; განა ნაყოფიერი იქნება მიწისმზომელის მუშაობა ორი მუშის ამარა? კომისარიატი ვერ აძლევს მიწისმზომელებს აგრეთვე მუდმივი მუშის დასაქირავებელ ფულს, რაც ძლიერ საჭიროა საქმისათვის და რასაც დღემდე ყოველთვის აძლევდა, წელს კი ასეთი მუშა დაეკისრა სოფელს. მართალია, ეს მოთხოვნა დამყარებულია მიწის კოდექსის 127 მუხლის 1926 წ. ც. ა. კ.-ის მიერ დამტკიცებულ დამატებაზე, მაგრამ ისიც მართალია, რომ მიწათმოწყობის მუშაობის სისუსტე ნაწილობრივ აწევება იმ კანონს, რომლითაც სოფელი ვალდებულია თავისი ხარჯით მისცეს მიწისმზომელს მუშები და სხვა დახმარება. ბევრ სოფელში შეძლებული გლეხები, გასაგები მიზეზის გამო, ყოველ ღონეს ხმარობენ არ დაუშვან მიწათმოწყობა. და აი სწორედ ისინი ძალიან მოხერხებულად სარგებლობენ ამ გარემოებით,—არ უწყობენ მიწისმზომელს ხელს და აფერხებენ მუშაობას.

თუ მიწათმოწყობის საქმე და მისი ხარჯები მთლიანად არ აიღო თავისთავზე სახელმწიფომ, ისე მიწათმოწყობა მიზანს ვერ მიაღწევს და იბოგინებს დაუსრულებლად, რაზედაც მითითებული იქნა, სხვათა შორის, რ. ს. ფ. ს. რ.-ის მესამე სამიწათმოწყობო ყრილობაზე მიმდინარე წლის იანვარში, სადაც ისიც გამოირკვა, რომ 1919-დან 1925 წლის პირველ ოქტომბრამდე რუსეთის ფედერაციაში კომლეური მიწათმოწყობა შეუსრულებიათ ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 3 პროცენტზე (235 მილიონი დესეტინიდან გათავებულა 7 მილიონი). დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ზოგ მათგანში კი ბევრათ უფრო უნუგეშო.

მიწათმოწყობა მიწის ნაციონალიზაციის პირობებში მეტად რთული საქმეა და სრულიად ბუნებრივია, თუ მას, დაინტერესებულ სოფლების სურვილებზე მიტოვებულს, ჯერ კიდევ ფეხი ვერ აუდგამს.

პ. გ—ძე.

---

*) წერილის ნაწილი, სადაც ლაპარაკია მიწათმოწყობის ხარჯების მთლიანად სახელმწიფოსათვის დაკისრების შესახებ, მიდის კამათის წესით. რედ.

## ჩვენი ვაჭრების ოინები

(ცაიშის თემი, ზუგ. მაზ.)

ცაიშელი ვაჭრები გარდა იმისა, რომ საქონელს მამა-სისხლად ჰყიდიან—გლეხებს წონაშიაც ატყუებენ.

მაგალითად ვაჭარი ქირია. მას გირები არ მოეპოვება და მის ნაცვლად დახლ-ქვეშ რიყის ქვები ულაგია. გარდა ამისა თუ ქირიას ეახლა ვინმე კარგ ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი მუშტარი, საქონელს ჩვეულებრივ ფასებში აძლევს, მაგრამ თუ კი მუშტარი ცუდათ გამოწყობილი გლეხია, საქონელში სამ-კეც ფასს ახდევინებს.

მეორე ვაჭარი ა. თუთბერიძეა; მეტად უცნაურია მისი სადუქნე სასწორი—ერთ გირვანქიანს—ხუთ გირვანქით სწონის და მუშტარსაც საქონლის ფასს ამის კვალობაზე ახდევინებს. გარდა ამისა აღნიშნული პირი ეწევა ვაჭრობას მაგარი სასმელებით; სამამო ნებართვა კი აღებული არა აქვს.

მესამე ვაჭარი—„ჩვენი" ალიოშა ილმასიანი კაცი „ინტელიგენტი"—პოლიტიკის მცოდნე, რომელიც ჩინეთისა და საერთაშორისო ამბებში „თავისუფლად" ერკვევა—ვეჭვობ, რომ საქართველოში მეორე ასეთი მოიპოვებოდეს.

მაგრამ ჩინეთზე უფრო თქვენს ყურადღებას მისი სასწორი მიიპყრობს, რომელიც მეტად რთული აგებულებისა და 100 ფუთამდე სწონის ტვირთს.

ამ სასწორით აწონილ საქონელს, ყოველთვის აკლდება ფუთიდან 10—15 გირვანქა.

დღე ისე არ გავა, რომ აღნიშნული სასწორით ჩარჩ-სპეკულიანტებმა და ან ბოგლა გლეხებმა არ აწონონ გლეხებიდან ნაყიდი საქონელი: სიმინდი, ლობიო, ღორი და სხვა.

სასწორის ამ ღირსებას კარგად იცნობენ ჩარჩ-სპეკულიანტები და კულაკები, რომელთაც ვაჭარ ალიოშასთან უშუალო კავშირი აქვთ გაბმული.

ჩარჩ-სპეკულიანტების, ვაჭრებისა და კულაკების გაერთიანებულ თარეშს ჩვენს თემში ბოლო უნდა მოეღოს.

რო—ლი.

# საბჭოთა საქართველო

## დ ე პ ე შ ე ბ ი

### გაფლანგვა

**ახალსენაკი,** 12 აპრილი. ა. კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების სენაკის განყოფილების მოლარემ გაიტაცა სალაროდან 1.500 მანეთი და მიიმალა. მიღებულია ზომები გამფლანგველის დასაპატიმრებლად. (ადს)

### „ახალი კახეთი".

**თელავი,** 13 აპრილი. კახელ მევენახეთა გაუქმებულ ფირმის „კახეთი"-ს მაგიერ თელავში დაარსდა ახალი საზოგადოება „ახალი კახეთი", რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება. საზოგადოებამ გამოუშვა თავის წევრებისაგან შესყიდული ღვინოები. საზოგადოებას აქვს 300.000 ნამყენის სამყოფი შესახვევი მასალა (ამერიკული ნერგი). სადგურის მახლობლად საზოგადოებამ თელავის აღმასკომისაგან შეიძინა სათბური, რომელშიაც მზადდება ნამყენი (ადს).

## აჭარისტანი

### გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის განყოფილება

**ბათომი,** 12 აპრილი. გამოყენებითი ბოტანიკის საკავშირო ინსტიტუტი ციხისძირში ხსნის თავის განყოფილებას. განყოფილების განკარგულებაში გადადის რეზინოტრესტის ყოფილი საცდელი მინდვრები, რომლებზედაც გაშენებული იქნება სხვადასხვა ტეხნიკური და სამკურნალო მცენარეობა და მოეწყობა ფართო ლაბორატორია. (ადს)

### მუშათა უბნების კეთილმოწყობა

**ბათომი,** 12 აპრილი. ქალაქის აღმასკომი აწარმოებს მუშაობას მუშათა უბნების და გარეუბნის რაიონების კეთილმოსაწყობად. პირველ რიგში ამოშრობილი იქნება ჭაობიანი ადგილები, რისთვისაც გადადებულია 15 ათასი მანეთი. პარალელურად იწარმოებს მუშაობა ქუჩების მოსაკირწყლავად და ფილაქნების მოსაწყობად. ამ სამუშაოებისათვის გადადებულია 23.000 მანეთი. (ადს)

## ა ფ ხ ა ზ ე თ ი

### რკინის გზა ტყვარჩელის მაღაროებამდე

**სოხუმი,** 12 აპრილი. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით, ახლო მომავალში დაიწყება მიდამოების გამოკვლევა ოჩემჩირესა და ტყვარჩელს შორის. გამოკვლევის მიზანია რკინის გზის გაყვანა ქვანახშირის ახალ მაღაროებამდე. ზაფხულში დაიწყება ტყვარჩელის რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა. მანამდე მოელიან ინჟენერ მოკრინსკის ჩამოსვლას, რომელიც იმუშავებს ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციის პროექტს. (ადს)

### პრემიები უკეთეს თამბაქოზე

**სოხუმი,** 12 აპრილი. მეთამბაქოე პლანტატორების წაქეზების მიზნით აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობამ შემოიღო პრემიები უკეთეს თამბაქოს დამზადებაზე. ამ დღეებში პრემიების სახით ვერცხლის სათუთუნე მიეცა სამ გლეხს, რომლებმაც კარგი თამბაქოს პარტიები წარმოადგინეს. (ადს)

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

### გამოსათხოვარ სადილებისა და ვახშმების შესახებ

სასწავლო წლის დასასრული ახლოვდება. ბევრი მოწაფე მოუთმენლად შეხვდება იმ დროს, როცა სწავლის კურსს დაამთავრებს, „ფრთას ფრთას შემოჰკრავს" და ახალ უფრო საპასუხისმგებლო და მძიმე სწავლის გზას დაადგება ან პირდაპირ მოჰკიდებს ხელს პრაქტიკულ მუშაობას.

ამ თავისთავად სანეტარო ფაქტს აქვს უარყოფითი მხარეებიც. ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ ჯერ კიდევ არ ვვისწავლია მხიარულების კულტურულად აღნიშვნა. ასე მაგალითად, ბევრგან უკვე ჩვეულებათ გადაიქცა, რომ ახლად კურსდამთავრებული მოწაფეები გამოსათხოვარ სადილებს ან ვახშმებს უმართავენ თავიანთ მასწავლებლებს. ცუდი ამ ჩვეულებაში არაფერია, რომ ზოგჯერ ეს გამოსათხოვარი ზეიმი ბინძურ სახეს არ ღებულობდეს.

ხშირად ასეთი ზეიმი განზრახ იმართება რამდენიმე თვით ადრე სწავლის დასრულებამდე. აქ ადგილი აქვს მოწაფეების მხრივ ყოველგვარ ცდას მასწავლებელთა გულის მოსაგებათ, იმ მიზნით, რომ ამით თავიანთი გამოცდების საქმეები მოაჰახრაკონ. არ შეიძლება ითქვას, რომ მოწაფეთა ამგვარი ხერხი ყოველთვის არ ჭრის.

გარდა ამისა გამოსათხოვარი ვახშმები და სადილები მიუღებელია ჩვენთვის, რამდენათაც ისინი ხშირად თავდაიწყებამდე მისულ ქეიფისა და ლოთობის სურათს წარმოადგენენ.

წარსული წლის გამოცდილებით ვიცით, რომ ზეიმებმა, ზოგიერთი მასწავლებელი იძულებული გახადა მართლაც გამოთხოვებოდა თავის სამსახურს. აბა, ჩხუბი და აყალ - მაყალი ასეთ „გამოთხოვების" დროს, რაღა საკითხავია.

ნუ თუ გაცილებით უმჯობესი არაა, რომ სწავლის კურსის დამთავრება აღინიშნოს ლიტერატურული საღამოებით, წარმოდგენებით, საინტერესო ექსკურსიებით და სხვა? ეს საქმისათვისაც კარგია და მოწაფეთა მშობლებსაც არ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში, როგორც ამას ეხლა ხშირად აქვს ადგილი.

ზოგჯერ მშობელი, რომ „შვილს გული არ დასწყვიტოს", უკანასკნელ სალარს იკრებს და აძლევს მას გამოსათხოვარ საღამოს გასამართავ „პაის" შესატანათ.

ეს საკითხი უნდა დასვან თავიანთ კრებებზე როგორც პედაგოგიურ საბჭოებმა, ისე მოწაფეთა კომიტეტებმა და უნდა გადასწყვიტონ ის ისე, როგორც ეს ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს შეეფერება, სკოლა კულტურის უძლიერესი კერაა. მან უნდა მისცეს მშრომელ მასებს კულტურულად დროის გატარების მაგალითი.

**მცოდნე.**

### მეტი თვითმოქმედება

(ლეჩხუმი)

სკოლების რიცხვი თუმცა საკმაოა, მაგრამ მათი მდგომარეობა უნუგეშოა.

სრულებით არვარგა შენობები. არც სასწავლო ნივთები აქვთ შეძენილი.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ გლეხობას არ სურდეს სკოლების შეკეთება? არა.

სკოლების კეთილ მოწყობისათვის ჩვენი ინტელიგენცია ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავს. თუ გლეხს არ აჩვენე ინიციატივა, მას გული უცრუვდება საქმეზე.

სოფელ სურმუშის 4 წლედში სკამს ფეხი ქონია დაძრობილი. დიდი შრომა არ იყო საჭირო, რომ სკამისთვის ფეხი გაეკეთებიათ. იმდენად გაუკადრისებულა მასწავლებელი, რომ ეს მცირე საქმეც კი შეზარებია, რომ თავისივე ჯადდომი სკამი გაეკეთებინა. ჯ

ინტელიგენციის მუშაობას სუსტი მხარეები სამაზრო საბჭოთა ყრილობამაც აღნიშნა.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორებისაკენ მიმართული უნდა იქნეს ადგილობრივი პარტორგანიზაციის და სხვა ორგანოების მუშაობა.

ლეჩხუმს ყავს სათანადო კადრი ინტელიგენციისა, მხოლოდ საჭიროა მისი აქტიურად ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**პ. ფრუიძე.**

## წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

### ხ. სომინო, (რაჭა)

**ძველებური მოხელე.** ონის სამხედრო კომისარიატში მსახურებს ერთი ნაზნაურიშვილარი ტიპიშა ბაქრაძე. ამას წინად მასთან მივიდა აღრიცხვაზე ასაყვანად სომინოველი გლეხი პარ. იაშვილი. გაკადნიერებულმა მოხელემ ისეთი ყვირილი დაუწყო მას, რომ ამხ. იაშვილს შიშით კინაღამ გული გაუსკდა. ასეთი მაგალითები პირველი არაა ბაქრაძის მუშაობაში. დროა გათავხედებულ ბიუროკრატს პასუხი მოსთხოვონ სათანადო ორგანოებმა.

**მიწის მუშა.**

### უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტი"-ს № 60-ში მოთავსებული იყო წერილი ნაგომრიდან (ფურია), სადაც ვინმე „ერთი მეც" აჰაურ ფერშალ ამხ. შელიძეს უსაყვედურებდა საქმისადმი გულგრილობას და მაჰბაკლობას. როგორც საგანგებოთ გამოყოფილ კომისიის კვლევა - ძიებამ გამოარკვია, ეს ბრალდება აგებულია პირად ინტერესებზე. ამხ. შელიძე ერთგული და კეთილ სინდისიერი საბჭოთა მუშაკია. მას კარგათ იცნობს მთელი თემი და სათანადოთაც აფასებს, როგორც დაუზარელ სოფლის მუშაკს.

**ნაგომრის საბჭოთა მუშაკების ადგილკომი.**

# მუშათა ცხოვრება

### მცხეთის კერამიკული ქარხანა

მცხეთის კერამიკულ ქარხანას საქართველოს კერამიკული ქარხნებში მეორე ადგილი უჭირავს. გასული წლის გაზაფხულზე შეკეთებული იქნა ქარხნის კორპუსი, რომელიც დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო ძლიერ დაზიანებული იყო.

ამასთანავე ერთად აშენებული იქნა ერთი ახალი გამოსაწვავი ქურა. ქარხანაში მუშაობას აწარმოებს შინამრეწველთა არტელი, რომელთა რიცხვი უდრის 10-მდე მუშა ხელს. მათ შორის კერამიკის ხელოსნები არიან სამი. არტელს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი. ქარხანა მოწყობილია სხვადასხვა გვარი ხის დაზგებით, რომლებიც მოძრაობენ ფეხის ან ხელის საშუალებით. ქარხანაში მზადდება სხვადასხვანაირი თიხის ჭურჭლეულობა. უნდა ითქვას, რომ პროდუქტის ხარისხი კარგია და ამასთანავე ერთად მისი მოთხოვნილება ბაზარზე დიდია. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის არტელს არავითარი საბრუნავი თანხა არ მოეპოვება., რისთვისაც ის ვერ აკმაყოფილებს პროდუქციით ბაზრის მოთხოვნილებას. მაგალითად, არტელი იძულებული იყო უსახსრობისა გამო უარი ეთქვა „ზაჰეს"-ისათვის დაემზადებია კერამიკული სახურავები დიდი რაოდენობით. და ეს შეკვეთა ამ რიგათ ჩაუვარდა ხელში თბილისის კერამიკული ქარხნების კერძო მეპატრონეებს. დიდი ხანია, რაც მცხეთის კერამიკული ქარხნის არტელს აღუთქვა მატერიალური დახმარების აღმოჩენა სესხის მიცემის სახით შინა-მრეწველების ცენტრალური გამგეობამ, მაგრამ დაპირება დაპირებათ დარჩა და დღემდის მას არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია მცხეთის კერამიკული ქარხნისათვის, რითაც დაბრკოლებულია ქარხნის ნორმალური მუშაობა. რამდენიმე თვეა რაც, რომ არტელი აწარმოებს სხვადასხვა ჭურჭლეულობის დამზადებას მხოლოდ სამამ დამზადებული პროდუქციის რეალიზაცია მოხდებოდეს საჭიროა, რათა შინა - მრეწველების ცენტრალური გამგეობამ მცხეთის კერამიკულ ქარხანას აღმოუჩინოს დახმარება სესხის სახით.

**გ. სუფხელი.**

### განკარგულება უნდა გატარდეს

ყველასათვის ცხადია, თუ რა ძნელია ტელეგრაფისტის მოვალეობა და ისიც რკინისგზაზე. დღიან - ღამიანით ეწევიან განუწყვეტლივ მუშაობას. ელმწერალთა ხელფასი არ შეედრება მათ შრომას. და ეს ნაკლოვანობა დიდად ამწვავებს მათ ყოფა - ცხოვრებას და ამისათვის ბევრი მათგანი 80—90 პრ. დაავადმყოფებულია.

ამას ყოველივეს ხელისუფლებამ ადრე მიაქცია ყურადღება, გააუმჯობესა მდგომარეობა და თან კიდევ ამ ბოლო ხანებში უმაღლესმა ორგანომ, რ.-გზის ც. კ-მ დაადგინა თითო თანრიგი ჯამაგირების მომატება, რომელიც ამ წლის პირველ იანვრიდან უნდა გატარებიათ ცხოვრებაში. მაგრამ ადმინისტრაციამ დადგენილებას გვერდი აუხვია და ვინც პრემიას ღებულობს მასზე არ გაავრცელა დადგენილება ჯამაგირების მომატების შესახებ. რას ვღებულობთ პრემიად, საშუალოდ არა უმეტეს 14—15 მანეთისა. თანაც არაა ბრძანებაში აღნიშნული, რომ ვინც პრემიას იღებს ჯამაგირი არ მოემატებათ.

რ.-გ. პროფესიონალურ ორგანომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები დეფექტების აღმოსაფხვრელად და ბრძანება № 2—324 უნდა გატარდეს თანახმად მისი შინაარსისა.

**ლაშისპირელი.**

### დაპირებას ასრულებაც უნდა

ზაქტპეის სამმართველომ დაპირდა რკინისგზელებს გრძელვადიანი კრედიტის გახსნა. მას აქეთ გადის თვეზე მეტი და ჯერაც არ ისმის რა. ამის შესახებ ზოგიერთ რკინისგზელებმა პირადად მიმართეს ზაქტპეის თავმჯდომარეს, რომ რაც შეიძლება დაეჩქარებიათ კრედიტის გახსნა. თავმჯდომარემაც დაპირდა ნუ ჩქარობთ, მალე გაგიხსნითო. ანდაზაა: დაპირებას შვიდწლეულობით ელოდებიანო, იქნება ჩვენი ზაქტპეოც ამ ანდაზის მომხრე იყოს. ან იქნება გრძელვადიანი კრედიტი მიტომ დაარქვეს, რომ დიდხანს ველოდოთ. დეე, მოკლე ვადიანი იყოს და რაც შეიძლება მალე გაგვიხსნან. კრედიტი უმჯობესია ჩვენთვის, ვიდრე 7 წლის ლოდინის ილუზიებში ყოფნა.

**მუშკორი — ლიპარიტი.**

### ჩვენი საოჯახო საღამო

კვირას, 3 აპრილს მუშათა ახალ კლუბში აღმასკომის № 1 სტამბის კულტკომისიამ გამართა საოჯახო საღამო.

საღამოს დაესწრნენ მთელი მუშა - მოსამსახურეები თავისი ოჯახობით. პროგრამა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

სხვა ნომრებთან ერთად შთაბეჭდილება დასტოვა მუშებში ძმ. ბილიბულებმა და დებმა თარხნიშვილებმა, რომელთაც დიდ მადლობას უცხადებთ, როგორც მუშები, აგრეთვე მომწყობი კომისია.

**დამსწრე.**

### აქაც მოსპეთ ხულიგნები

ლენინის უბანი ზაქტპეო № 3 კუთხეში არ არის ისეთი დღე, რომ არამზადა ხულიგნებმა არ მიაყენონ პატიოსან მოქალაქეს შეურაცყოფა. მით უმეტეს არ შეუძლია ქალებს გავლა, მოიმთვრალებენ თავს. და ხანდახან მთვრალებიც არიან ხოლმე, ასტეხენ ჟივილს, დაეტაკებიან გამვლელ გამომვლელებს.

საჭიროა ყოველივე ასეთ ხულიგნობის და უწმაწურ ქუჩურ მოქცევების წინააღმდეგ ბრძოლა.

**მუშკორი ლანტკურელი.**

### მუშები გამოეხმაურნენ

ამ დღეებში ხელზე მომუშავეთა ადგილკომის წითელ კუთხეში შესდგა მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება მეორე სახელმწიფო სესხის მნიშვნელობაზე. მოხსენების შემდეგ დაიწყო ხელის მოწერა. პირველ დღესვე ჩაეწერნენ მუშები 400 მანეთის სესხზე. ასე გამოეხმაურნენ მუშები სახელმწიფო სესხის ხელის მოწერას.

**აზრუმანოვი.**

### საუტილიზაციო ქარხნის აგება

დიდი ხანია, რაც იყო მსჯელობა საუტილიზაციო ქარხნის აგების შესახებ, რომელსაც კავშირი აქვს ადგილობრივად ძვლების დაგროვების საქმესთან, როგორც ინჟენერი ვოშტა აღნიშნავს, ამ ქარხნის აგება დაჯდება დაახლოვებით ათასი მან. ამ კოლექტივში იმუშავებს 80 კაცი, რომელიც მომავლისათვის მიაღწევს 300 კაცამდე. ამ ქარხანაში უმთავრესად გამოყენებული იქნება არა კვალიფიციური მუშები.

ამხ. ვოშტას წინასწარი ცნობით დღეში შეიძლება 200 ფუთი ძვლების დაგროვება, რითაც ყოველთვიურად შეიძლება ცენტრს მიაწოდონ ათი ვაგონი დახარისხებული ძვლები, რომელიც ყოველ თვიურად ქარხნისათვის დატოვებს 1800 მან. მოგებას. საჭიროა ასეთ მომგებიან კოლექტივების დაარსების საქმეში მეტი ინიციატივობა გამოიჩინონ სათანადო ორგანოებმა, რაც ჩვენში თანდათანობით შეამცირებს უმუშევართა რიცხვს.

**ა. სულაქველიძე.**

### მ უ შ ა თ ა ქ რ ო ნ ი კ ა

— **სანიტარული კურსები.** მედსანშრომის კავშირის ც. გ. მიერ მოწყობილ სანიტარულ გადასამზადებელ კურსებზე პრაქტიკული მეცადინეობა უკვე დაამთავრა 44 კაცმა.

— **კომისიების დაარსება.** საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ფაბქარხადგილკომებთან კოოპერატიულ კომისიების დასაარსებლად გამოყოფილია კომისია ამხ. ამხ. ყურულაშვილის, ერისთავის და გოდაბრელიძის შემადგენლობით.

— **ქიმიკოსთა კავშირში.** ქიმიკოსთა კავშირის ც. გ. გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა ამჟამად უდრის 1500 კაცს.

— **კავშირის წევრად აღდგენა.** საქ. კომ. მეურნეობის კავშირის ც. გ. აღადგინა თავის უფლებებში კავშირიდან მექანიკურად გამორიცხული მოქ. ტანკურინი და აკოპოვი.

— **იურიდიული დახმარება.** საქ. პროფსაბჭოს იურიდბიუროს ა.-წ. მარტის თვის განმავლობაში გაწეული აქვს იურიდიული დახმარება 1.883 კავშირის წევრთათვის და უმუშევართა არა კავშირის წევრთათვის.

— **რადიო - კურსები.** საქპროფსაბჭოს მიერ მოწყობილ რადიო - კურსებზე ამჟამად ირიცხება 32 რადიო მსმენელი.

— **ბორჯომი.** კალინინის სახელობის ბორჯომის მინის ქარხანაში ამჟამად მუშაობს 484 მუშა მოსამსახურე.

# საქართველოს ცაკში

### გლეხის სასახლეში

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით თბილისში გლეხის ცენტრალურ სასახლეში მარტში საქართველოს სხვადასხვა მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა 1.272 გლეხი, რომლებმაც გლეხის სასახლეში გაატარეს 3.979 ღამე. მარტში გლეხის სასახლეში ჩამოსული—1.272 გლეხების ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: 953 ქართველი, 39 სომეხი, 61 მუსულმანი, 107 რუსი და 12 გლეხი სხვადასხვა ეროვნების. აღნიშნულ თვეში ჩამოსული იყვნენ გლეხები: 180—ავადმყოფობის გამო, 102 იყვნენ დელეგატები, წარმოგზავნილი გლეხებისაგან, 340—სოფლის ორგანიზაციების და დაწესებულებებიდან თბილისში სხვადასხვა საქმეებზე გამოგზავნილი დელეგატები, 600 ჩამოსული იყვნენ პირად საქმეებზე და 50 უკვე აღირიცხულ, ანდა ეხლად ასაძრელ სხვადასხვა სახის საჩივრების გამო.

გლეხის სასახლეში ჩამოსულ გლეხებიდან უფასო სადილი მიეცა 131 გლეხს, დაკლებულ ფასებში მიეცათ სადილი—166 გლეხს. სამგზავრო ფულადი დახმარება გაეწია—4 გლეხს, უფასოთ აღმოეჩინა საექიმო დახმარება—110. აბანოში და სადეზინფექციო კამერაში გატარებული იქნა უფასოთ—887 გლეხი, აღმოეჩინა იურიდიული დახმარება—109 გლეხს. გლეხის სასახლემ სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების წინაშე გლეხებს 62 შუამდგომლობა აღუძრა.

ამავე თვეში ბაკში თავი შეაფარა 704 სულმა საქონელმა, აქვე გაჩერებული იქნა გლეხების 234 ურემი. ამ დროის განმავლობაში გლეხის სასახლეში გლეხებისათვის მოწყობილი იყო სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე: ლექციები 9 ჯერ, ამ თვეში შეძენილი იქნა სამკითხველოსათვის—14 ახალი წიგნი სხვადასხვა შინაარსის. (სულ ამჟამად გლეხის სასახლის სამკითხველოს აქვს 884 წიგნი). მარტში სამკითხველოსათვის გამოწერილი იყო—24 ცალი ჟურნალ-გაზეთი.

### გლეხის სახლი ახალ სენაკში

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით, სენაკის სამაზრო გლეხკომმა ამ დღეებში დაამთავრა იმ შენობის რემონტი, რომელშიაც გლეხის სახლი უნდა მოეწყოს. სახლი შესდგება ათი ოთახისაგან. გლეხის სახლისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენათ ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ამხ. კ. ხომერიკის განკარგულებით სამაზრო გლეხკომს მიცა დახმარებათ ხუთასი (500) მანეთი.

# საკურორტო სეზონისათვის

### სეზონის გახსნა

მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობებით წელს საკურორტო სეზონი ცალკე კურორტებზე სხვადასხვა დროს გაიხსნება.

აბასთუმანში, ბორჯომში, წაღვერში და პატარა ცემში სეზონი დაიწყება 15 ივნისიდან, წყალტუბოში—1-ლი მაისიდან, ბახმაროზე 1-ლი ივლისიდან და ახტალაზე—15 ივნისიდან.

იმ მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ აღნიშნულ კურორტებზე ბინების დაქირავება, სათანადო განცხადებებით უნდა მიმართონ საკურორტო სამმართველოს. კურორტებზე ბინების ტარიფიკაცია ჯერ-ჯერობით არაა გამომუშავებული.

### აღმშენებლობა კურორტებზე

საკურორტო სამმართველო შეუდგა მუშაობას ზოგიერთი კურორტების კეთილმოსაწყობათ. წყალტუბოში დაწყებულია 50 ოთახიანი სასტუმროს აგება. იქვე აგებენ ე. წ. ჰიგიენურ აბანოს შენობას, 25 ცხ. ძალიან ელექტრო სადგურს და კოდის წყალთან სამკურნალო აბანოს შენობას.

### რამდენი კაცი გაიგზავნება კურორტებზე

მთავარ საკურორტო სამმართველოში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

— ამჟამად თავდება წინასწარი მუშაობა საქართველოს კურორტებზე ავათმყოფების მიღების სეზონის გასახსნელად. 1925—26 წელთან შედარებით მიმდინარე სეზონში კურორტებზე გაცილებით მეტი ავათმყოფები იქნება მიღებული. თუ შარშან კურორტებზე გაგზავნილი იქნა 39.000 ავათმყოფი (ბახმარო—14.000, წყალტუბო—12.000, ახტალა—3.000, ბორჯომი—7.000 და აბასთუმანი—3.000), წელს საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს გაგზავნოს კურორტებზე 60.000-დე ავათმყოფი, ამასთანავე ზოგიერთ კურორტებზე, როგორიცაა არის, მაგალითად, ბორჯომი ავათმყოფების რიცხვი გაიზრდება 200 პროცენტით.

# პური ამიერ-კავკასიას

საკავშ. ვაჭრ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა გეგმა, რომლის თანახმად აპრილში ა.-კავკასიაში გადმოტვირთული უნდა იქნეს 1 მილ. ფუთ. პური. პურის დამმზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეავსონ პურის დანაკლისი ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონებში, რასაც ადგილი ჰქონდა წინა თვეებში. (ადს).

# საქართველოს ჩაი

## ი ნ გ ლ ი ს შ ი

მიმდინარე წლის იანვარში სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-მ გაგზავნა ინგლისში საკუთარ პლანტაციებზე შეგროვილი უმაღლესი ხარისხის ჩაი. ჩაი გაიგზავნა ორი ინგლისური საექსპორტო ფირმის სახელზე.

ჩაის გაგზავნის მიზანი იყო, რომ აღნიშნულ ინგლისურ ფირმებს („ბრომ ბროდებს" და „ტონის"-ის ფირმებს) გამოეკვლიათ ჩვეებური ჩაის ღირსება და შეეფასებიათ ისე, რომ მათ არ სცოდნოდათ მისი წარმოშობის ადგილი. ამიტომ გაგზავნილ ჩაის ყუთებზე არ იყო აღნიშნული, რომ პროდუქცია ეკუთვნოდა „საქართველოს ჩაის".

აღნიშნულმა ფირმებმა ეს სცნეს უმაღლესი ღირსების ჩაით და შეაფასეს იგი გირ. 2 შილინგი და 5 პენსიდან — 2 შილ. და 6 პენსამდე. ინდოეთისა და ცეილონის ჩაის აღნიშნული ფირმები აფასებენ 1 შილ. 9 პენსიდან 2 შილ. და 8 პენსამდე, ხოლო თავის ჩაის ფასობს 1 შილინგ-ნახევრიდან 2 შილინგამდე.

თავის სარეკომენდაციო საბუთებში ფირმები აღიარებენ, რომ საქართველოდან გაგზავნილი ჩაი მოყვანილია ე. წ. დარჯალინგის თესლიდან, რაც იძლევა უმაღლეს ხარისხის ინდოეთისა და ცეილონის ჩაის ნიმუშებს. ჩაის წარმოშობის ადგილათ კი ფირმებმა ივარაუდეს ნიასალანდი (აფრიკაშია), სადაც მათის აზრით არის ერთად-ერთი კლიმატიური შესაძლებლობა ამგვარი იშვიათი ღირსების ჩაის მოსაყვანათ.

# სად უნდა შესდგეს

## „მწყემსი"-ს ყრილობა

(პასუხათ ამხ. ნავთლუღელს)

ამხ. ნავთლუღელის წინადადება („კომ." 13 13 აპრ.) „მწყემსი"-ს წლიური ყრილობის თბილისში მოწვევის შესახებ ყოვლათ ყოვლად მიუღებელია და შეუსრულებელი.

აი რატომ: ყრილობაზე მოწვეულია 110 მეცხვარე დელეგატი, ამათში ხუთ მეექვსედს შეადგენენ თელავ-სიღნაღის და თბილისის მაზრის მეცხვარეები, რომლებიც ბინადრობენ შირაქის და იორის საძოვრებზე—თბილისიდან 100—150 ვერსის მანძილზე.

ამ სიშორიდან თბილისში არავინ წამოვა, რადგან ცხვარს დიდი ხნით ვერ მიატოვებენ და ღარიბი მეცხვარეები სამგზავრო საშუალებასაც ვერ იშოვიან. ლაპარაკი ბინისა და კომფორტის შესახებ ერთი ან ორი ღამით მეცხვარესათვის ღაჟის გასთევეთ, აბა რა მოსატანია.

რაც შეეხება თბ. რაიონის მეც. დელეგატებს და სტუმრებს (სულ 20—25 კაცი) ამათი შირაქში წაყვანა გაცილებით ადვილია და ნაკლებ ხარჯს გამოიწვევს, ვიდრე 90—100 კაცის შირაქიდან თბილისში ჩამოყვანა.

სწორეთ ამის გამო და მეცხვარეთათვის ყრილობაზე მოსვლის გასაადვილებლად, საბჭოს 2 აპრ. სხდომამ გადასწყვიტა ყრილობა მოიწვიოს არა მარხაანში, არამედ კიდევ უფრო ახლო მეცხვარეების ბინებთან შირაქის გულში—წითელ წყაროზე.

ასეთი გადაწყვეტილება ყოველ მხრივ გონივრული და მისაღებია.

**ს. თავდიშვილი**

# ქრონიკა

### ახალი დანიშვნა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დანიშნა სახალხო კომისრების მოადგილეებად. ფინანსთა კომისარის — ამხ. ი. ფანცხავა, განათლების — ამხ. მარიამ ორახელაშვილი, მიწათ მოქმედების ამხ.—ძამანაშვილი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის — ამხ. აკირტავა და კვარაცხელია, ჯანმრთელობის — ამხ. მამალაძე, იუსტიციის — ამხ. ტალახაძე, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — ამხ. ხტანსკი და ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილეთ ამხ. ავაქოვი.

### ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა, თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჟულელი, წევრები: ამხ. ქართველიშვილი, კახიანი, ჭიჭინაძე, ავაქოვი, მგალობლიშვილი, ყურულაშვილი და გოგია.

### რკინის გზა ზუგდიდამდე

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ცენტრალური ორგანოების წინაშე, რათა ზუგდიდამდე გაყვანილ იქნეს შავი ზღვის რკინის გზის მაგისტრალი.

### მოხსენებები რადიოთი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროგრამა მოხსენებებისა სოფლის მეურნეობაზე, რომლებიც გადაცემული იქნება რადიოთი თბილისის რადიო-სადგურიდან (რადიო-სტუდია საქართველოს პროფსაბჭოსთან მუშათა სასახლეში).

პირველი ლექცია გადაცემული იქნება 16 აპრილს ტყეების მნიშვნელობაზე; ლექციას წაიკითხავს ამხ. ბერიშვილი; მეორე ლექცია გადაცემული იქნება 18 აპრილს მეხილეობის და მისი პერსპექტივების შესახებ.

### თბილისის აღმასკომში

◆ **სამკურნალოს გაფართოება.** პუშკინის ქუჩაზე მდებარე კბილის სამკურნალო შენობაზე მესამე სართულის დასაშენებლად გადადებულია 28.454 მან.

◆ **გადასახადი.** დღემდე თბილისის მაზრაში აკრეფილია მთელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 95 პროცენტი.

◆ **ახალი ქარხნები.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება თბილისში ხსნის ქუჩების მოსაკირწყლავ ქვების დამამზადებელ ქარხანას, ხოლო მაზრაში ყველის ორ ქარხანას.

◆ **თიანეთის ხე-ტყის ქარხნის** ასამუშავებლად თბ. აღმასკომმა დამატებით გადასდო 3.000 მანეთი.

◆ **სასკოლო კოოპერატივებში.** განათლების განყოფილების თაოსნობით მუშკოოპი შეუდგა შრომის სკოლებში სასკოლო კოოპერატივების მოწყობას.

◆ **სანიტ-განათლების სექცია** გადაკეთებული იქნა სანიტგანათლების ქვე-განყოფილებათ, ამ დარგში მუშაობის გაძლიერების მიზნით.

◆ **სანიმუშო კვება.** საადგილ-მამულო განყოფილება ამჟამად მაზრაში აწარმოებს ძროხის სანიმუშო კვებასჭარხალით. ზოგ ადგილებში უკვე ჩატარდა სანიმუშო კვების კამპანია, სადაც ძროხის წველა აქ 17 გირვ. გაიზარდა 30 გირვანქამდე.

### სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება: ჟ. „პროლეტარული მწერლობა" № 3, ფასი 70 კ. 170 გვ. ჟ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი" № 1, ფასი 40 კ., პ. ტარასოვ-რადიონოვი—„შეკოლადი" (მოთხრობა) თარგმანი ჟ. ლოლობერიძის, 120 გვერდი, ფასი 70 კ. მ. ჩორდიშვილი „ჩემი თავგადასავალი" (მემუარები) მიხა ცხაკაიას წინასიტყვაობით, 180 გვერდი, ფასი 1 მან. 20 კაპ. ნ. ახლამაზაშვილი—„ნაძალადევის არწივნი" (მოთხრობები), პლ. ქიქოძის წინასიტყვაობით, 120 გვ. ფასი 1 მან.

### სხვადასხვა

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე პროფ. ასათიანი წაიკითხავს მოხსენებას: „პიროვნება, ტემპერამენტი და ხასიათი".

◆ **ბეჭდვითი სიტყვის** დღეს 5 მაისს გაიმართება გაზ. „პრავდა"-ს დაარსებიდან 15 წლის აღსანიშნავათ დღესასწაული.

### ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები; **პირველ სექციიდან:** ბ. ბეკიტნიცკი, ს. მეტრეველი, ი. სრალადსკი, ა. მაისურაძე, ნ. სარაული, რ. სალამატანი, ე. ვანიანი, გ. ალხაზიშვილი, ა. კორიძე, ნ. მარუნიძე, ა. სმირნოვი, ს. სარიუდინუკი, **მესამე სექციიდან:** პ. ჩიქოვანი, ე. მონონელიძე, ს. ბერძენიშვილი. ნ. მგელაძე, ა. მარკაროვი, ჯ. ჯაჯუა, ა. ნაზარიანიდა, ს. ზარიქაშვილი.

### ჭიდაობა

ოთხშაბათი, 13 აპრილი

გუშინდელ ჭიდაობის დროს ზოტმა დასცა კრილოვი, ბულმა დეში, კანდელაკმა ბორისოვი; წითელი ნიღაბის და როშჩინის ჭიდაობა 20 წუთის განმავლობაში უშედეგოდ დამთავრდა.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 12 აპრილის ნომერში მოთავსებულ „რადიოგადაცემაში" შეცდომით არის აღნიშნული, რომ 12 აპრილს მოხდება რადიოგადაცემა საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ სტუდიიდან; უნდა იყოს „სახელმწიფო ოპერასთან არსებულ სტუდიიდან, ტრანსლიაცია ოპერა „პიკოვაია დამა"-დან სმირნოვის მონაწილეობით.

12 აპრილის პროგრამა დანიშნულია 17 აპრილისათვის, ხოლო 17 აპრილის—18 აპრილისათვის.

# შემთხვევები

◆ **მძარცველების შეპყრობა.** ა. წ. 6 აპრილს დაპატიმრებულ იქნენ სოფ. გურჯაანის მცხოვრები ალექსი გიორგისძე ნაცვლიშვილები, ვარდო ფარემუზისძე ჯალალოვი და ალექსანდრე იოსებისძე ზარდიაშვილი. ამ პირებმა ა. წ. 9 დეკემბერს გურჯაანის სადგურის მახლობლად გაძარცვეს მოვაჭრე ებრაელები, რიცხვით 10 კაცი. ნაძარცვ ნივთების ნაწილი აღმოჩენილია. ბოროტმოქმედნი გამოტყდენ თავის დანაშაულში.

◆ **თვითმკვლელობა.** 2 აპრილს დღის 12 საათზე სოფ. გორგეთში მცხ. თამარა თედორეს ასული მეტრეველისამ მოიკლა თავი ფრანგული სისტემის საშხანიანი თოფით მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მძარცველების შეპყრობა.** ა. წ. 1 აპრილს ალაზნის გაღმა ყვარელის ბორანთან ვილაც ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს სოფ. ველისციხეს მცხ. ნასყიდა ივანეს ძე ოგანოვი, რომელსაც წაართვეს 220 მანეთი ფულად და სხვა წვრილმანი ნივთები. მიღებული ზომებით შეპყრობილი არიან ბოროტმოქმედნი სოფ. ვანთის მცხოვრ. შაქრო საბაძე, არჩილ ფრიდონიძე, გიორგი ილიასძე მკერვალიძეები.

◆ **საბარგო საწყობის გაძარცვა.** დილით 11 აპრილს სადგურ თელავის ღამის დარაჯმა შენიშნა, რომ გარღვეული იყო საბარგო საწყობის კედელი. საწყობიდან წაღებული აღმოჩნდა 1500 მან. ღირებული სხვადასხვა ძვირფასი საქონელი (ტყავი, ფართლეული). მალე და რაჯმა შენიშნა ტომრით ქალაქისაკენ მიმავალი კაცი, რომელსაც დაედევნა. ტომარაში აღმოჩნდა ნაქურდალი ნივთები. ქურდი გამოტყდა და გასცა დანარჩენი ბოროტმოქმედნიც, რომელნიც აღმოჩნდნენ ადგილობრივი ტრანსპორტის მუშები. ყველა მძარცველები შეპყრობილი არიან. ნაქურდალი ნივთები დაბრუნებულია.

◆ **მკვლელის შეპყრობა.** 12 აპრილს სოფ. ყარატაფეში დააპატიმრეს ყურბან მუსტაფაოღლის მკვლელი ბარამ მაჰმად ალი-ოღლი.

◆ **ქალის გატაცება.** დააპატიმრეს ყარაიაზის მცხოვრებნი სოიუნ კიაზიმ-ოღლი, იბრაგიმ ალიალ-ოღლი და სალი ვერდი კულუ-ოღლი, რომლებმაც 23 მარტს მოიტაცეს ქვრივი ქალი ალმა სულთან მაშადი ორუჯი-კიზი.

◆ **კომვოლ ტრესტის მაღაზიაში** სისტემატიური ქურდობისათვის დააპატიმრეს იოსებ აბრამის ძე ბრენლერი.

◆ **ფულის მითვისებისათვის** შეიპყრეს დავით გრიგოლის ძე მგალობლიშვილი.

◆ **ხანძარი.** 12 აპრილს, ლენინის ქ., № 14, გამოურკვეველ მიზეზების გამო მე-57 შრომის სკოლის შენობას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

◆ ამავე დღეს პლეხანოვის ქ., № 6, მოქ. ლიდღურის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატიდან** ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ალექსანდრე იაკობის ძე თინოვსკი.

◆ **კარის ბოქლომის** აგლეჯის საშუალებით გაქურდეს სარქის პოლოსიანცის ბინა (თათრის მოედნის კუთხე, № 42). ეჭვით დაპატიმრებულია ვინმე ახმედ ვიაზიმ-ოღლი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით ამავე დღეს გოგოლევის ქ., № 48, გაქურდეს სირანუშა აგაჯანის ბინა.

◆ **დაჭრა.** 12 აპრილს თედორე მოიშენკომ დანით დასჭრა ნიკოლოზ ბეტკურაშვილი. დამნაშავე შეპყრობილია.

◆ **მებამბეთა ამხ-ბის კოოპერატივის** ფართლის მაღაზიიდან (სოფ. ყარაიაზი) ფანჯრების გამომტვრევის საშუალებით 12 აპრილს მოიპარეს 800 მ. ფართალი.

# ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

### განაჩენი „არტოს" მოიჯარადრეთა საქმეზე

სასამართლომ „არტოს" ყოფილ მოიჯარადრე ალექსანდრე ჩხეიძეს და პავლე ქამჯარაძეს და ყოფილ ბუღალტერის ლეონ მარკოზოვის საქმე მოსპო—სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო.

აღმასკომის ყოფილი თანამშრომელი **ნოე ქინქლაძე** დამნაშავედ იქნა ცნობილი ხელისუფლებისათვის სახელის გატეხვაში, რისთვისაც მიესაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადათ დაუნიშნა სამი წელი.

### ბოროტმოქმედება ცეკავშირში

(დ. ლორთქიფანიძის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

დღეს გაიმართება მხარეების კამათი და მოსალოდნელია განაჩენის გამოტანა.

### ქალის გატაცება

**ოზურგეთი,** 12 აპრილი. ოზურგეთის სახალხო სასამართლოში გაიმართა საჩვენებელი პროცესი გლეხ თომა სიმონიშვილის საქმეზე. თომა სიმონიშვილს ბრალად ედება ობოლი ქალის ნინა სკუპჩენკოს გატაცება, მისი ცოლად შერთვის მიზნით. სიმონიშვილს გატაცებული ქალი სამი დღედაღამე ტყეში ჰყავდა. სასამართლომ სიმონიშვილს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ხოლო მის სამ თანამონაწილეს—ექვს-ექვსი თვე თვითეულს.

### ცოლის მკვლელი

(ლ. მურადხანოვის საქმე)

**პირველი დღე**

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. სიჭინავას** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **გრიქუროვის** და **გავრილენკოს, პროკურორ გაბუნიას** და მდივნის **ბეთანელის** მონაწ-ბით დაიწყო გარჩევა **ლეონ მურადხანოვის** საქმის, რომლის შინაარსი მოთავსებული გვქონდა გუშინდელ ნომერში.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ამირაგოვი.**

პროკურორმა და დამცველმა შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე დამატებითი მოწმეების გამოწვევის შესახებ.

სასამართლომ მხარეების შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული მურადხანოვი. მან სამი საათი ილაპარაკა.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის ამ საქმეში დამნაშავე არ არის.

ბრალდებულის სიტყვით, ცოლთან მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. გადაჭრით უარჰყოფს საბრალმდებლო დასკვნის იმ ნაწილს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრალდებული სცემდა ცოლს და სახლიდან აგდებდა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე — უპასუხებს, რომ მან არ იცის ვის მიერ არის მოკლული მისი ცოლი და არც ეჭვი აქვს ვისმეზე.

დაიწყო მოწმეების დაკითხვა.

# ხელოვნება

### დიდი მუსიკალური მოვლენა.

(ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია თბილისში).

ის, რაც წინეთ საოცნებო საგანს წარმოადგენდა მუსიკალური საქმის მესვეურთათვის თბილისში და რაც მთელ რიგ გარემოებათა გამო ვერ განხორციელდა ცხოვრებაში, შესრულდა ბეთჰოვენის იუბილეზე. თბილისის კონსერვატორიასთან შედგენილ ბეთჰოვენის იუბილეს ჩამტარებელი კომისიის ენერგიის წყალობით, უმთავრესად ამ კომისიის მდივნის ლ. ქუთათელაძის ენერგიის წყალობით, რომელმაც იკისრა ამ გენიალური ნაწარმოების შესრულების ორგანიზაციული ნაწილი, სახალხო მსახიობის ივანე ფალიაშვილის ენერგიისა და მუსიკალური ცოდნის წყალობით, რომელმაც ამდენი სიყვარულით მუშაობა ჩააქსოვა ბეთჰოვენის გენიალურ ნაწარმოებს, ორკესტრის ახალგაზრდა მონაწილეთა და, აგრეთვე, კორმეისტერ ფალიაშვილის და ბელსკის წყალობით, რომლებმაც სიმფონიისათვის მოამზადეს კონსერვატორიისა და ოპერის ხოროები,—საზოგადოებას საშუალება მიეცა მოესმინა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია.

თავის მუსიკალური ღირსებით მე-9 სიმფონია განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, აგრეთვე, თავისი იდეით, რომელიც აღებულია, შილლერის ოდიდან „სიხარულისაკენ". მძლავრ აკორდებში, გენიალურ მუსიკაში ბეთჰოვენი ატარებს ყველა ერთა ძმობის აზრს.

სიმფონია მშვენიერად იქნა შესრულებული, განსაკუთრებით მისი საორკესტრო და საგუნდო ნაწილი. სოლისტებიდან საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა გილბერტმა, რომელიც თავისუფლად გაუმკლავდა პარტიის მაღალ ტესსიტურას, და ქარცივაძემ, რომლის ხმაც შეეფერება ბარიტონის პარტიის მუსიკალურ მოთხოვნილებებს. მეცცო-სოპრანოს პარტია შეასრულა მაყაშვილმა, ხოლო ტენორის პარტია—ქუმსიაშვილმა. აქ საჭირო საგმირო და არა ლირიული ტენორი. სიმფონიის გარდა, ორკესტრმა მშვენივრად შეასრულა, აგრეთვე, უვერტიურა ფიდელიოს ოპერა „ლეონორა"-სადმი.

კონცერტში გამოვიდა პიანისტი-ქალი ვირსალაძე, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა მე-5 კონცერტი.

**მუსიკოსი**

## ხელოვნების ქრონიკა

### პროლეტარული მწერლები ზაჰესში

სამშაბათს, 12 აპრილს ზაჰესის მუშათა კლუბში გაიმართა ეგნატე ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, რომელზედაც მოწვეული იყვნენ პროლეტარული მწერლები. საღამოს პირველ ნაწილში ვრცელი და საინტერესო მოხსენება ეგნატე ნინოშვილის შესახებ წაიკითხა ამხ. რაჟდენ კალაძემ. საკუთარი ლექსები ზაჰესზე წაიკითხეს პროლეტარულმა პოეტებმა: ამხ. ალ. მაშაშვილმა, კ. კალაძემ, გ. ქუჩიშვილმა, სირაძემ და სხვებმა, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე მუშებზე. საღამოს დაესწრო 500 კაცამდე.

**დამსწრე.**

### აღმოსავლეთის ხალხურ სიმღერათა საღამო ბათომში

ბათომის აკადემიურ თეატრში შესდგა აღმოსავლეთის ხალხურ სიმღერების ცნობილ აღმასრულებლის ასლი-ხანუმის კონცერტი ქიამანჩაზე დამკვრელის ლ. ვარახანის მონაწილეობით. ასლი ხანუმმა შეასრულა ხალხური სიმღერები უზბეკურ, თურქულ, სომხურ, სპარსულ, ფარსიულ, ებრაულ და ქართულ ენებზე. შვიდ სხვადასხვა ენაზე საკვირველი სისწორით გამოსთქვამდა სიტყვებს. მკაფიო დიქცია საერთო ყურადღებას იპყრობდა. მომღერალ ქალს აქვს საკმაოდ ძლიერი მეცო-სოპრანო. ასლი-ხანუმმა შესძლო აღმოსავლეთის სიმღერათა ისეთი ხელოვნური შესრულება, რომ დამსწრე საზოგადოება, რომელთაგან უმთავრეს ნაწილს სიტყვები არ ესმოდა, აღფრთოვანებული უსმენდა მსახიობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასლი-ხანუმის მიერ შესრულებული უზბეკური „ლატიფა", ქართული „16 წლის ქალი ვარ", სომხური „ნასპარ", ებრაული „ცენბრიდერ" და სხ.

**თეატრალი**

### კომუნისტ და კომკავშირელ პროლეტარულ მწერალთა თათბირი.

დღეს, ხუთშაბათს, 14 აპრილს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. კომპარტიის ცეკაში, ამხ. **ლ. ლოლობერიძის** კაბინეტში მოწვეულია საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის — კომუნისტ და კომკავშირელ—წევრთა თათბირი

◆ **გუნდების შეჯიბრი.** 15 მაისს ქუთაისში გაიმართება ქართულ გუნდების შეჯიბრი, რომელზედაც მოწვეული არიან მომღერალთა გუნდები საქართველოს ყოველი კუთხიდან: დანიშნულია ოთხი ჯილდო: 500 მან., 300 მან., 200 მან. და 100 მან. მსაჯებად მოწვეული არიან კომპოზიტორები **მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ი. კარგარეთელი** და **დირიჟორი ივ. ფალიაშვილი.**

◆ **სეზონის დახურვა.** ხუთშაბათს, 14 აპრილს იხურება ბათომის სახ. აკად. ქართული დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია" (2 და 4 აქტი), „მეფე-არლეკინი" (2 აქტი) და „იღრიალე ჩინეთო". (რამდენიმე ნაწილი). დასასრულ მოხსენება აკ. ფაღავასი: „თანამედროვე თეატრი და ჩვენი სეზონი", რომლის გარშემო გაიმართულ კამათში მონაწილეობას მიიღებენ: **თ. სიხარულიძე, დ. ქუთათელაძე, გ. გორგაძე, გ. ლადიძე, ლ. ქორქაშვილი, დ. დიასამიძე** და **გ. ნუცუბიძე.**

◆ **სანდრო ინაშვილის საღამო.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება სანდრო ინაშვილის საღამო. მიდის „ევგენი ონეგინი". ტატიანას პარტიას შეასრულებს მირა ელიავა.

◆ **„რომანოვების დინასტიის დამხობა".** წითელ ჯარის ნაწილებში ახლო ხანში დაიწყება ახალი სურათის „რომანოვების დინასტიის დამხობა"-ს ჩვენება.

◆ **„ამერიკელი ძია".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ამერიკელი ძია".

## კ ი ნ ო

### „გ ი უ ლ ი"

შ. არაგვისპირელის მოთხრობით.

დადგმა პუჩისა და კ. შენგელაიასი ოპერ. კალატოზიშვილი

ნაციონალური კინო - ორგანიზაციების ერთერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ სივრცეზე გაშლილ მრავალ რიცხოვან ერების ყოფა-ცხოვრების ასახვა.

აქ სიძნელე თემის მოძებნაში კი არ არის, არამედ მის სცენარულ გაფორმებაში, წმინდა კინემატოგრაფიულის მიდგომით გადამუშავებაში რეჟისორის მიერ და არა შიშველი ფაქტის ფიქსაციაში.

სურათის აგებისათვის ახალგაზრდა რეჟისორებს საფუძვლად დაუდვიათ საწარმოვო პრინციპი. მათ მხატვრულის ალღოთი შეუგრძვნიათ, ბორჩალოს ცხოვრების მაჯისცემა. ძირითად ფონად, რომელზედაც იშლება ფილმის ინტრიგა, აღებულია მეცხვარეობა, მთავარი საქმიანობა ბორჩალოს მოსახლეობის. და ეს ვაშუქება თემის თანამედროვეობის თვალსაზრისით გაუხრელად არის გატარებული მთელს სურათში. ეს არ არის სექსუალ სანელებლით უხვად შეზავებული აღმოსავლური ეგზოტიკა, მწვადების, ხანჯლების, ლეკურის და ჭრელ აღმოსავლურ დრაპიროვკაში მოცემული ყოფა - ცხოვრების ზედაპირი. აქ ჩახედვა სინამდვილეში უფრო ძირეული და სწორია.

წმინდა მხატვრულ მიღწევად სურათისა ჩაითვლება ლაკონიურობა, მოკვეთილობა თემის გაშლისა, მოქმედების განვითარება „დეპეშე" სტილით. აქ არსად არ არის დაყოვნება ინტრიგის განვითარების უმნიშვნელო საფეხურზე, კადრების დამძიმება ზედმეტი დეტალებით, მოქმედების სწორხაზოვან განვითარების შეფერხება ეთნოგრაფიულ წვრილმანებით, რაც ასე დამახასიათებელია ყოფა - ცხოვრების ამსახველ სურათებისათვის.

ტიპაჟი თუმცა არა მთელი შემადგენლობით, მაგრამ მაინც ნიჭიერად არის შერჩეული. ზნე-ჩვეულებით და მშობლების ნებით შებოჭილი, დაბეჩავებულ ბორჩალოელ თათრის ქალის სახე ადგილობრივ ყოფა - ცხოვრებრივ კოლორიტთან შეთანხმებით ნიჭიერად არის მოცემული ნატა ვაჩნაძის შესრულებაში. ცალკე კადრებში აღსანიშნავია გაქცევის სცენა. კარგია ცეცილია წუწუნავას მიერ შექმნილი სახე გულქვა და დესპოტი, დედინაცვლის. მშვენიერია პატარა ყიფიანი.

მიტროს სცენარიულადაც მკრთალად მოხაზული ფიგურა სრულებით ვერ იქნა გამართლებული მსახ. მელიავას შესრულებაში. ძლიერი, თუმცა არა დამახასიათებელი და ტიპიური ალი შექმნა მსახ. ა. იმედაშვილმა. ძალიან კარგია ქერბალაი - ყარალაშვილი. დამახასიათებელია ოვანეს - თაყაიშვილი.

საუცხოვოა ფოტო. ამ მხრივ ახალ. ოპერატორმა კალატოზიშვილმა ბევრი შეჰმატა სურათს.

**შზეფი.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 15 აპრილს, დღის 4 საათზე, აღმასკომის პირველ სტამბაში შესდგება მე-13 კომუჯრედის ღია სხდომა. დღის წესრიგი: ამხ. მჟავიას მოხსენება ფასების დაკლების შესახებ. ბის შესახებ.

---

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის და ქიმიო-ფარმაცევტიული დარგის უჯრედის ბიურო აცხადებს თავის წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ პარასკევს, 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ამავე უჯრედის მორიგი კრება, რომელზედაც სავალდებულოა ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

---

დღეს, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოწვეულია საქართველოს პროლეტარული ასოციაციის კომფრაქციის (პარტიის წევრთა და კომკავშირელების) თათბირი

სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება.

---

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში მოწვეულია კომპარტიის უჯრედთა მდივნების თათბირი, კომპარ. არსრაიონის სამხედრო უჯრედების მდივნებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა უჯრედთა მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

---

ქ. მუშფაკის ახ. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივი აცხადებს მუშფაკის ყველა ახ. ლ. კ. კ. წევრ-კანდიდატების საყურადღებოთ, რომ 14 აპრილს მოწვეულია კომკავშირის უჯრედის გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა ყველა წევრ-კანდიდატების.

იწარმოებს აღრიცხვა.

**ბიურო კოლექტივი.**

---

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს, 15 აპრილს, უჯრედთა კრებებზე მომხსენებლებათ დანიშნული არიან შემდეგი ამხანაგები:

თბილისის აღმასკომის 1-ლი სტამბა—მომხ. კ. აკირტავა, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა—კვიცარიძე, პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა—ბოლოტნიკოვი, პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა—ჩხენკელი, თბილისის აღმასკომის მე-2 სტამბა—სტეპანიანი ს., ლიტოგრაფია—იონოვი, ლენინის ფაბრიკა—სუტირინი, „წითელ არმიელი"-ს სტამბა—ანჩარსკი, პოლიგრაფტრესტის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა—ელიბეკოვი, პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა—სნეგირევი, გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა—ვეინგერი, თემქას ქარხანა—მირზაბეკიანი, მეტყავეები და სახლის მუშები—მანუცკიანი, მეხანძრეთა რაზმი—კუდრიავცევი, სამხ. მომხმარ. საზოგადოება „ბოეც"-ი—ბოკოვი, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კავშირის სამმართველო—ბუდილევი, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და კოოპერატიული კურსები—ათაბეკოვი, სახელპოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშფაკი—პიასეცკი, კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა—გოგლიძე, სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი—სმირნოვი, სახელმწიფო უნივერსიტეტი—ირქომაიშვილი, ამიერ-კავკასიის მთავარ პოლიტსამმართველო—ვალიკი, ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო—ონგრიევსკაია, განათლების სახალხო კომისარიატი და მასწავლებელთა უჯრედი—ქაცარავა, მილიციის კოლექტივი—შუშანია, სახელმწიფო ოპერა და რუსთაველის თეატრი—სოლოვიევი, სახალხო და გემოკვების კავშირი—გოზალიშვილი, საქ. ფინსახკომი—მგალობლიშვილი, ამიერ-კავკ. ფინსახკომი—ალამალოვი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი—ბედია, ქალაქის აღმასკომი — მამულია, სახკომსაბჭო — ვართაპეტიანი, საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირი—პიჩიკიანი, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო—შეფტელი, მშენებელთა კავშირი—ვართანოვი, (ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი), საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო—ნ. ლეჟავა, სოფლის კავშირი—ჯაფარიძე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი—ყურულიშვილი, ქართული მუშფაკი—ტალახაძე, საბჭოთა პარტსკოლა — მთვარელიძე, ამიერ-კავკასიის დამზღვევი სამმართველო და „ხლებოპროდუქტი"—დავიდოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და სახ. კონსერვატორია—ასმაროვი, ცეკავშირის სტამბა—სტიოპა ვარდანიანი, სომხური მუშფაკი—ა. თუმანიანი, სახ. ელექტროტეხნიკური ტრესტი—რახმანი, ტელეგრაფი—კალატოზოვი, ტელეფონი—ოსეჩკო, აგურის ქარხნები—მინასიანი (ა.-კ. კომ. უნივ.), სოცუზრუნველყოფისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები—ხომერიკი.

უჯრედებს ევალებათ შეუთანხმდენ მომხსენებლებს კრებების დროისა და ადგილის შესახებ.

**ქალაქის რაიკომი.**

# იურიდიული რჩევა-დახმარება

### სიღ-ის მაზ. მცხ. გლეხს გ. მოდაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ სიღნაღის მაზრაში ცხოვრობს თქვენი ცოლის მოხუცი, შრომის უნარმოკლებული დაი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი მზრუნველი და პატრონი თქვენს გარდა. თქვენ კი მას ეხმარებით რითაც კი შეგიძლიათ, უხნავთ, უთესავთ მიწას, და სხვა. სოფელი კი, სადაც თქვენ ცხოვრობთ ამის უფლებას არ გაძლევთ და გიკრძალავთ თქვენი პირადი შრომით ასეთი დახმარების გაწევას. ამის გამო გვეკითხებით კანონერია თუ არა სოფლის ასეთი მოთხოვნა.

**გიპასუხებთ**

თუ ყველაფერი ისე არის, როგორც თქვენ ამბობთ, სოფლის მოთხოვნა უკანონოა. თქვენ გაქვთ სრული უფლება და ზნეობრივადაც ვალდებული ხართ გაუწიოთ თქვენი საკუთარი შრომით და საშუალებით ყოველგვარი დახმარება თქვენს ნათესავთ, რომელნიც საჭიროებენ ასეთ დახმარებას. თქვენი უანგარო შრომა და გაჭირვებულ, უმწეო, უპატრონო, შრომის უნარ მოკლებული მოხუცი ნათესავისათვის დახმარება, პირიქით, მისაბაძი მაგალითია სხვებისათვისაც.

### სამხედრო ინსტრუქტორს ამხ. გურგენიძეს

**პ ა ს უ ხ ი**

ბინის ქირათ თანახმად საბინაო ტარიფის მუხ. 6-ისა გადაიხდით 15 პროც. დაკლების შეღავათით (ე. ი. თვითეულ კვადრ. მეტრზე გადაიხდით თვიურად თოთხმეტ კაპ.)

### კალინიკე არომელაძეს

**პ ა ს უ ხ ი**

თქვენი არტელი იურიდიული პირის სახეს და უფლებებს მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი თავის წესდებას სათანადო რეგისტრაციაში გაატარებს შრომის სახალხო კომისარიატში.

### სოფ. ფუთის (შორაპანის მაზრა) მცხოვრებს ლეონტი მშვენიერიძეს

**პ ა ს უ ხ ი**

არა გაქვთ უფლება თქვენ მეზობელ მიწის მუშას გადაუკეტოთ გზა თქვენ ეზოში, თუ კი ამის შესახებ არ იქნება სათანადო დადგენილება და ნებართვა საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიისაგან და თქვენს მეზობელს არ მიეცემა გზა სხვა მიმართულებით.

### ამიერ-კავკ. რკინის გზის კავშირის წევრს (წიგნ. № 2 17556) ივლიანე ცანავას

**პ ა ს უ ხ ი**

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენ მიერ შესრულებული რემონტი კაპიტალური ხასიათისაა, (მაგ. კედელში ახალი ფანჯრის გამოჭრა და ჩამონგრეული ჭერის შეკეთება); კაპიტალური (ძირითადი) შეკეთება კი შეადგენს სახლის პატრონის მოვალეობას. (იხ. სამოქ. სამართლის კოდ. მუხ. 159). ამიტომ თქვენ გაქვთ უფლება რემონტზე დახარჯული 40 მან. აანაზღაუროთ ბინის ქირიდან სასამართლოს წესით.

---

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 12 აპრილს გარდაიცვალა პროლეტმწერალთა ასოციაციის წევრი

**ლიზა მესხიშვილი**

გამოსვენება მოხდება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოდან 15 აპრილს, საღამოს 4 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

გაზეთ „კომუნისტის" მუშკორთა წრე ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 12 აპრილს გარდაიცვალა ამხ.

**ლიზა მესხიშვილი**

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 15 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

---

წყალსადენის იუშა მოსამსახურეები აუწყებენ ნაცნობთ და ამხანაგებს თავისი დაუვიწყარი თანამოსამსახურე

**ელისაბედ პეტრეს ასული მესხიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება პირველ ქალაქის (ყოფ. არამიანცის) საავადმყოფოდან პარასკევს 15 ამა აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე 240

---

გულდათუთქული მშობლები—ნინო სოლომონ ცაგარელის ასული მდინარაძისა, გრიშა (გიორგი) მდინარაძე და ბებია—ფედოსი პავლეს ასული ცაგარელისა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 13 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და ერთად-ერთი ნუგეში, პატარა

**მეორე თენგიზი**

რომლის გამოსვენება მოხდება, პარასკევს ა. წ. აპრილის 15-ს, ნაშუადღევის 5 საათზე, საკუთარ ბინიდან—ელისაბედის ქ. № 63, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 2—1 2405

---

მწუხარებით გულმოკლულნი მშობლები მართა გრიგოლის ასული და ანტონ მაქსიმესძე მუჯირები შვილებით: ნათელა, სილვია და გიგათი, ელენე ჯანაშიასი და მარიამ გორდელაძისა, სვიმონ ნიკოსძე ჯანაშია, ვანო, საშა, და ნინო ჩიგოგიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, და ნაცნობთ რომ კვირას 17 აპრილს ქ. ქუთაისში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი პირველთა უდროოდ დაკარგული დაუვიწყარი შვილის, მეორეთა მეხსიერებიდან წარუხოცელი საყვარელი დის, მესამეთა ძმის შვილის, ხოლო მეოთხეთა ბიძის შვილის

**ანიკო ანტონის ასული მუჯირი-თავართქილაძის**

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად 2408

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ვალოდია, ლენა, კლარა, ერიკო, და ძართა (შვილებით) თავართქილაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 17 აპრილს, ქ. ქუთაისში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, პირველის უსაყვარლესი მეუღლის, უძვირფასესი ამხანაგის და მეგობრის, მეორეთა უძვირფასესი, ტკბილად მოსაგონარი დედიკოსი. ხოლო მესამეთა ძვირფასი საყვარელი რძლის

**ანიკო ანტონის ასული მუჯირი-თავართქილაძის**

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად 2399

---

სოფიო გრიგოლის ასული და პართენ ალექსანდრესძე გოთუა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ოთხშაბათს 13 აპრილს დილით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უფროსი ვაჟი თბილისის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

**არჩილ პართენისძე გოთუა**

დანიშნულია პანაშვიდი ხუთშაბათს საღამოს ექვს (6) საათზე ბინაზე — ენგელსის (ყოფ. ბებუთოვის) ქ. № 56, გამოსვენება იქიდანვე პარასკევს 15 აპრილს საღამოს ხუთ (5) საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 2403

---

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: იაშა ნიკოლაძე, ჯანსუღ ფურცელაძე, სოსო და მიტო გარსევანიშვილები, მიტო ბაქრაძე, მიტო კაციტაძე, გოგი პიპინაძე, დათიკო ქაცარავა და სერგო ჩიქვილაძე, ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 13 აპრილს, დილის 5 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი მეგობარი სახ. უნივ. ეკონომიური დარგის მე-4 კურსის სტუდენტი

**არჩილ (აჩიკო) პართენისძე გოთუა**

გამოსვენება პარასკევს 15 აპრილს საღ. 5 საათზე საკუთარ ბინიდან ბებუთოვის ქ. № 56 ვერის ახალ სასაფლაოზე. (ნ. ე.)

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე პორფირე, შვილი მარიამი და შვილიშვილი შოთა, ნესტორ ჩახავა ოჯახობით, იდლა მამულაიშვილისა, ევგრაფი და შალვა ხუნდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ უეცრად 11 ამა აპრილს ღამით გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**ნინო ივანეს ასული ხუნდაძისა**

პანაშვიდი 13 აპრილს, საღამოს 7 საათ., საკუთარ ბინაზე ელისაბედის ქუჩა № 16 დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 აპრილს, დღის 4 საათ. 2—1 2391

---

დამწუხრებულნი: შვილი მიხეილ (იაგორ), რძალი კატო აბაშიძე-ამილახვარი მინდაძისა, შვილიშვილები ვერიკა, დათიკო ცოლით ნინათი და პატარა რეზიკოთი, ქალიშვილები ელენე გოგიბერიძისა შვილებით, მარო უნგიაძისა შვილებით, სიძე ბიქტორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

**დავით ესეს-ძე მინდაძე**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან 1-ლი ნაზარეთის ქ. № 45 (ნაძალადევი), ხუთშაბათს, 14 აპრილს, 4 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—2 2378

## სახელმწიფო ოპერა

ნ. 100

დღეს, 14 აპრილს — საოპერო სეზონის დახურვა

### სანდრო ინაშვილის საღამო

ვოლ-ლევიცკაიას (მირა ელიავა) მონაწ.

### ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ ვოლჩანეცკაია, მაყაშვილი, ზვიაგინი მესნიაევი

დირიჟორი სტოლერმანი

---

## ცირკი

დამსახურებულ მსახიობების **ძმ. ტანტების** ხელმძღვანელობით

ტელ. 16—67

1—1 ნ. 990

დღეს, 1927 წ. 14 აპრილს,

საცირკო ატრაქციონების სანახაობანი მთელი დასის მონაწილეობით

გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი.

**ჭიდაობს 4 წყვილი**

ორი ბუმბერაზის პირველი შეხვედრა **სანდრო კანდელაკი—ბუმბერაზი ზოტი.** როშჩინი—პეტრე კრილოვი. იაუნზე—კლემ. ბულსკარბე—ვანდეიკ

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

---

**აპოლო** ტელ. 7—61.

**არფასტო** ტელ. № 19—22.

**სოლეი** ტელ. 20—44.

**დარბაზი** ტელ. 14—03.

0—12 ნ. 924

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

## გიული

დადგმა—ლ. პუშის და ნ. შენგელაიასი

ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი

მთავარ როლებში:

ნატა ვაჩნაძე ც. წუწუნავა ა. იმედაშვილი ა. თაყაიშვილი ქ. ყარალაშვილი, ზ. მელიავა

დასაწყისი 1-ლი სეანსის ხრულ 6 ს. 30 წ.

არფასტოში ადგილები დანომრილია

უჩინარნი პირლ უაიტი და ანტონიო მორენო მსოფლიო სურათში „ხიძულვილის სახლი" მე-2 სერია.

კვირას 17 აპრილს კინოებში: აპოლო, არფასტო დღისით საბავშო სეანსები

---

**ამ.-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ შაბათს 16 აპრილს 1927 წ.

შესდგება

## საჯარო ვაჭრობა

სამუშაოს იჯარით გაცემაზე ახალი შენობის ასაგებად ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებისათვის დ. კულაშში (ქუთაისის მაზრა).

მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყოველ-გვარი ცნობები სამმართველოში, საადმინისტრაციო-სამეურნეო განყოფილების გამგისაგან, (ოთახი № 19), ყოველ დღე დილის 11 საათიდან 15 საათამდე და ამასთან, ვაჭრობის დღეს შეიტანონ სამმართველოს სალაროში იჯარის ღირებულებით 10 პროც. 2409

---

**ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი**

**ს. გოჭორიშვილი**

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ოლქის სასამართლოს ეზოში დანიშნულია 28 აპრილს 1927 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** სიმონ უგრეხელიძის ქონების: მაგიდების, სარკის, შკაფების, სკამების, ნოხის, პირისაბნის და სხვა სახლის ავეჯეულობის, შეფასებული 315 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე—მის კრედიტორების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 4004

---

**ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი**

**შ. ს. ლაბაძე**

ამით აცხადებს, რომ 22 ამა აპრილს დღის 12 საათზე გაყიდის ჭიათურაში აგებულ დუქნის შენობას ნინოშვილის ქუჩ. № 23, მიხაკო კაციასძე გამყრელიძისას—დაფასებული 800 მან. დასაკმაყოფილებლად ვალერიან ოდილავაძის და სხვ. ვალის, თანახმად ბრძანებისა თბილისის სახ. სასამართ და ჭიათურის აღმასრულებელი ფურცლებისა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. ძე-311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1003

---

**მიხეილ გედევანიშვილის**

სახელობის

**სამკურნალო**

საწოლებით

**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

---

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა**

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

---

ექიმი **ჯალალოვი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

---

**ექიმი ნ. ა. ჯანდიერი**

**შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი**

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

---

სამშაბათს ა. წ. 28 აპრილს დღის 12 საათ. ქ. თბილისის კურორტთა მთავარ სამმართველოს შენობაში ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა ქუჩა № 30)

დანიშნულია

## შერეული საჯარო შეჯიბრება

შენობათა და მოწყობილობათა იჯარით გაცემაზე

### ბორჯომში

1. კურზალის ბუფეტი (მარტო რძეულობის და ტკბილეულობის გაყიდვის უფლებით).
2. საბილიარდო და ნარდი კურზალში.
3. მზის აბაზანებთან ბუფეტი.
4. სასწორი საექიმო პარკში.
5. ლოტოს სათამაშო ფარდული პარკში.
6. მონოპოლიური უფლება შუქმსახვაზე (ფოტოგრაფი).
7. პატარა ფარდულები პარკში.

### წაღვერში:

1. რესტორანი „სინათლე".
2. კიოსკი მინერალურ წყლებთან.
3. მონოპოლიური უფლება შუქმსახვაზე რესტორანის ეზოში და კეხობში.
4. საექიმო სასწორი პარკში.

### აბასთუმანში:

1. მონოპოლიური უფლება შუქმსახვაზე.
2. საექიმო სასწორი.

### ახტალაში:

1. საპარიკმახერო
2. უფლება შუქმსახვაზე.
3. რესტორანი.

ზემოთ ჩამოთვლილი იჯარით გაიცემა, როგორც მთლიანად ისე ცალკე, შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოტანილ განცხადებაში თითოეულ ზემოდ ჩამოთვლილ შენობის ან მოწყობილობისათვის შემოძლეული თანხა ცალ-ცალკე აღნიშნონ. განცხადებას თანდართული უნდა ჰქონდეს სათანადო სადერბო მარკები და ქვითარი ხაზინისა ან კურორტთა მთავარ სამმართველოს სალაროში შემოძლეულ თანხის 10 პროც.-ის გირაოს შეტანისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე საჯარო შეჯიბრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში 30 აპრილს მოხდება განმეორებითი სიტყვიერი შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, როგორც წერილობითი განცხადების წარმომდგენელს, ისე სხვა პირებსაც, რომელთათვისაც სავალდებულოა 10 პროც.-ის გირაოს წარდგენა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში თბილისი, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქუჩა № 30, სამეურნეო-საექსპლოატაციო, ნაწილში, ოთახი № 26 ყოველ დღე, გარდა უქმეებისა. დღის 12—2 საათამდე. ხის. 1.001

---

**ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი**

**შ. ს. ლაბაძე**

ამით აცხადებს, რომ 21 ამა აპრილს დღის 12 საათზე გაყიდის ჭიათურის სამრეწველო რაიონში მიხაკო კაციასძე გამყრელიძის 2½ პროც. ერთ სარეცხ ქარხნისას აგებულის დარკვეთში—დაფასებული 1500 მან. დასაკმაყოფილებლად ვალერიან ოდილავაძის და სხვ. ვალის, თანახმად ბრძანებისა თბილისის სახ. სასამართლოსი და ჭიათურის აღმსრულებელი ფურცლებისა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. 311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1003

---

**ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.**

**გ. ქ. ჯინჭველაშვილი**

ამით აცხადებს, რომ ის 18 აპრილს 1927 წლ., დღის 2 საათ. სახლში № 13 (დარაბაში) ნიკოლოზის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დავით ომაროვის მოძრავ ქონებას: ნალივკებს 339 | 201, კაკაოშკა 11 | 1, რომს, პურის სპირტს და მრავალ სხვადასხვა სასმელებს, შეფასებულს 700 მან., სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 18 თებ. 1927 წ. თარიღით, № 532 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. გარდა სასმელებისა გაიყიდება მაგიდა და სხვა შემოძლეულ ფასიდან. ნ. 999

---

**ცნადდება** დაინტერესებულ დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოთ

**რომ 1927 წლის 2 მაისს**

## საქართველოს სახკინმრეწვი

### ხსნის ფოტო-მაღაზიას

**რუსთველის გამზ. № 11-ში** (გაგენის ყოფილი მაღაზია)

მიღებულია დიდი პარტია ყოველგვარი ფოტო მასალებისა, როგორც მაგ.: სხვადასხვა მარკის ფოტო-ქაღალდი, ფირფიტები, ხიმიკალი, ფოტოგრაფიული აპარატები და სხვ., და აგრეთვე კინო-აპარატურები და მათი ყოველგვარი ნაწილები (ობიექტივები, ბარაბანები, სალაზკები, ნახშირი, აქცეტონი და სხვ.).

მაღაზიასთან იხსნება **სახელოსნო გამოცდილ სპეციალისტების ხელმძღვანელობით.**

სწარმოებს სხვადასხვა სისტემის კინო და ფოტო-აპარატურების სრული რემონტი.

**ფასები ხელმისაწვდომია**

**სახკინმრეწვის გამგეობა**

ნ. 1005

---

ექიმი **ა. ს. ფიონ-ირთელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").

**გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის)** სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

---

**სათვალეების მორგება**

**უფასოდ**

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—4

---

ექიმი

**მ. ო. ზანდუკელი**

**შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.**

მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. № 4—82

2381 25—1

---

ექიმი

**მეგრაბიანცი**

ფილტვების. ძლექის და გულის **სნეულებანი**

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

---

ექიმი

**ე. მ. მძინარიშვილი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი**

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

---

ქალაქ თბილისის ტუბ-დისპანსერის პროექტის

შედგენაზე გამოცხადებულ

## კონკურსის შედეგები

პროექტების დაწვრილებით განხილვისა და მათი კონკურსის პროგრამასთან შედარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ თვითეულ წარმოდგენილ პროექტში არის არსებითი გადახვევა პროგრამის პირობებისაგან, რის გამო ჟიურის გადაწყვეტილებით არც ერთ პროექტს არ ერგო პრემია.

პროექტად რომელიც სხვებზედ ნაკლებ უხვევს კონკურსის პროგრამის პირობებს ცნობილ იქნა პროექტი დევიზით „ისარი", რომლის შეძენა ჟიურიმ ურჩია თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის ტეხნიკურ განყოფილებას.

ნ. 1007 ჟიურის თავმჯდომარე ინჟინერი ლეჟავა

---

**დაიკარგა** სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 777, ალექსანდრე ბარნაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2411

**დაიკარგა** პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 201, გაცემული შორაპნის მაზრის განათლების განყოფილებიდან ანდრო (ამბროსი) ლავრენტის-ძე კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. 2408

**დაიკარგა** პასპორტი, აღრიცხვის ბარათი, კავშირის წიგნაკი, ატესტატი შოფერისა, მელიკ გრიგორის-ძე მაჯლუბოვის სახელზე, ჩ. გ. 2410

**დაიკარგა** ნებარ[illegible] მაგარი სასმელების გაყიდვის [illegible]აებ № 8322699, გაცემული რკ. გზ. სამმართველოს მიერ მელიტონ მელიავას სახელზე, ჩ. გ. 2407

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1925 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. რაფიელი ბაღდასარის-ძე კარაპეტოვმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე წინამძღვრიშვილზე.

საერთო-საად. ქ | განყ. უფროსი (ხელმოწერილია).
მმაჩის ბიუროს გამგე
2398 (ხელმოწერილია).

**დაიკარგა** უმუშევართა დამზღვევი წიგნაკი № 7387 და მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 18485, გიორგი გიორგის-ძე [illegible] სახელზე, ჩ. გ. 2401

---

**მედმუშაკთა კოლექტივი**

აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მძიმე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:

1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ქ. ზელკინის [illegible]) ქუჩაზე.
2) ყოფ. [illegible] აფთიაქი [illegible]ფულების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე

ექიმის გამოძახება—60 კ.

საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.

საფასურის გადახდა პუნქტებზე.

[illegible] ექიმების მორიგეობა ღამე[illegible] 2—15

---

**მედიცინის დოქტორი**

**გ. ა. ახვერდოვი**

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

**დაიკარგა** პარტიული ბილეთი № 488230, ვალერიან ვაშაკიძეს სახ[illegible], ჩ. გ. 2404

**დაიკარგა** საბჭოს საწევრო წიგნაკი № 368, შუშანიკა დავითის ასული ჰიჯნაძეს სახელზე, ჩ. გ. 2397

---

## საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა

## ბალანსი

აქტივი. 1925 წ. პირველი ოქტომბრისათვის. პასივი.

| აქტივი | | |
|---|---|---|
| **I. ნაღდი საშუალებანი** | | |
| 1. კასა | 659—42 | |
| 2. სახელდახელო ანგ. ბანკში | 1.048—61 | |
| 3. ვალიუტა და ჩეკები | 6—32 | 1.714—35 |
| **II. აქციები და ობლიგაციები** | 4.815— | 4.815— |
| **III. ქონება** | | |
| 1. მოძრავი ქონება | 168.446—24 | |
| 2. დამზადებული სურათები | 180.576—14 | |
| 3. ნედლი და დამხმარე მასალა | 55.724—67 | |
| 4. სესხას უზრუნველმყ. მასალ, | 29.411—98 | |
| 5. ფოტო-რეკლამა | 3.943— | 438.102—03 |
| **IV. წარმოება** | | |
| 1. საკუთ. სურათების დადგმა | 369.199—60 | |
| 2. დეკორაციების აგება | 21.251—92 | 390.451—52 |
| **V. დებიტორები** | | |
| 1. გაუსაღებელი აქციები | 78.609—74 | |
| 2, მიღებული თამასუქები | 67,250— | |
| 3. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები | 151.574—55 | |
| 4. ანგარიშვალდებული პირნი | 7.050—80 | |
| 5. გარდამავალი თანხები | 6.713—94 | |
| 6. გაპროტესტებ. თამასუქები | 100— | 311.299 03 |
| **VI. მოსკოვის წარმომადგენლობა** | 26.433—63 | 26.433—63 |
| ბალანსი | | 1.172.815—56 |

| პასივი | | |
|---|---|---|
| **I. სააქციო კაპიტალი** | 300.000— | 300.000— |
| **II. სათადარიგო „** | 6.771—12 | 6.771—12 |
| **III. საგრუნავი „** | 8·125—35 | 8·125—35 |
| **IV. საამორტიზაციო ფონდი** | 32.399—25 | 32·399 25 |
| **V. კრედიტორები** | | |
| 1. [illegible] | 141.100— | |
| 2. [illegible]ურდავებული თამასუქები | 55.000— | |
| 3. გაცემული თამასუქები | 241,063—09 | |
| 4. სხვადასხვა პირები და დაწესებულებები | 312.186—30 | |
| 5. გარდამავალი თანხები | 1·795— | 751.144—39 |
| წმინდა მოგება | | 74 375—45 |
| ბალანსი | | 1,172.815—56 |

**გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე გ. გოგიტიძე.**

**ბუღალტერი ი. ჭუონია.**

ნ. 998

---

ს.ს. ს.რ.

# სახელმწიფო გამომცემლობა

## იაფი წიგნი

### ყველა შეფკომისიას, ადგილკომებს, ქოხ-სამკითხველოებს, მუშათა კლუბებს, წიგნთსაცავებს, ყველა სკოლებს

სახელგამმა გადასწყვიტა მკითხველ მასებს მიაწოდოს იაფი წიგნი. ამის გამო მან გააიაფა მრავალი თავის გამოცემა და ა. წ. 15 **აპრილიდან ივნისის დამლევამდე** გაიყიდება **ფასდაკლებით 40—80 პროცენტამდე.** სახელგამის მიზანია ქოხ-სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებსა, სკოლებს და კლუბებს მიაწოდოს ისეთი წიგნები, როგორიცაა ლენინის, ფ. მახარაძის თხზულებანი, სახელმძღვანელონი თვითგანვითარებისათვის, სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური წიგნები, ბელეტრისტიკა და სხვა. გაყიდვა მოხდება მხოლოდ **ზემოხსენებული ორთვენახევრის განმავლობაში** სახელგამის ყველა მაღაზიაში, როგორც თბილისისა, ისე პროვინციაში: გორს, ქუთაისს, ბათომს, სენაკსა, ფოთსა და ჭრებალოში.

გაიაფებული წიგნები შეადგენს ერთს პატარა ბიბლიოთეკას, რომელშიაც შევა 83 სახელწოდების წიგნი. აქედან: პოლიტიკურია—32 სახელწოდება, ბელეტრისტიკა—20, სახელმძღვანელოები თვითგანვითარებისათვის და პოპულიარული სამეცნიერო—31. მთელი ამ ბიბლიოთეკის ძველი ფასი უდრის—103 მან. 25 კაპ., ეხლა კი იყიდება—61 მ. 50 კაპ.

აქვე მოგვყავს გაიაფებულ წიგნების სია დარგების მიხედვით და ძველი და ახალი ფასების აღნიშვნით. წიგნების შეძენა შეიძლება ერთადაც და ცალცალკეც. შეიძლება აგრეთვე გამოწერა ფასდადებით, თუ ღირებულების მეოთხედი ბე იქნება გამოგზავნილი.

**ვინც მთელ ბიბლიოთეკას, 83 წიგნს შეიძენს—დაეთმობა ნაცვლად 61 მ. 50 კ. 55 მანეთად.**

მისამართი: თბილისი, რუსთველის პროსპ. № 22, სახელგამის ცენტრალური მაღაზია. მაზრებში სახელგამის განყოფილებებს.

**საქ. სახელგამის გამგე ბ. ბიბინეიშვილი.**

### პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საკითხები

| | ძველი ფასი. მ. | ძველი ფასი. კ. | ახალი ფასი მ. | ახალი ფასი კ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ვ. ლენინის—თხზულებანი 14 ტ. | 3 | — | 1 | — |
| 2. ვ. ლენინი—წერილები და სიტყვები | — | 75 | — | 40 |
| 3. ვ. ლენინი—თხზულებანი 18 ტ. | 3 | 10 | 1 | — |
| 4. ვ. ლენინი—მემარცხენ. საყმაწვილო სენი | — | 50 | — | 25 |
| 5. ვ. ლენინი—სასურსათო გადასახადის შესახებ | — | 30 | — | 10 |
| 6. ფ. მახარაძე—თხზულებანი 1-ლი ტ. | 2 | 60 | 1 | 50 |
| 7. ფ. მახარაძე— „ 2 ტ. | 2 | 50 | 1 | 50 |
| 8. ფ. მახარაძე— „ 3 ტ. | 2 | 50 | 1 | 50 |
| 9. ფ. მახარაძე— „ 4 ტ. | 2 | 50 | 1 | 50 |
| 10. თ. კალანდაძე—1905 წ. საქართველოში | — | 30 | — | 20 |
| 11. მარქსი—კრიტიკა გოთის პროგრამისა | — | 20 | — | 10 |
| 12. კ. კაუცკი—ეთიკა. | — | 50 | — | 40 |
| 13. პლეხანოვი—ნარკვევი მატერიალიზმის ისტორიიდან | 1 | — | — | 75 |
| 14. მარქსი—რევოლიუციონური მოაზროვნე, ადამიანი. | 1 | — | — | 50 |
| 15. ს. თალაკვაძე—რევოლიუციის მედროშენი საქართველოში | — | 40 | — | 20 |
| 16. ფ. მახარაძე—1905 წ. ა.-კავკასიაში | 2 | 50 | 1 | 50 |
| 17. ლ. ტროცკი—ტერორიზმი და კომუნიზმი | 1 | 20 | — | 60 |
| 18. გ. ზინოვიევი—პროლეტარიატი და გლეხობა | — | 25 | — | 15 |
| 19. ყარიბი—მეტის ატანა შეუძლებელია | 1 | — | — | 50 |
| 20. Кариби—Нет сил больше молчать. | 1 | 35 | — | 50 |
| 21. სტეკლოვი—კ. მარქსი | — | 75 | — | 50 |
| 22. მეტრეველი და ბუხნიკაშვილი—პოლიტიკური განათლება სოფლად | 1 | 50 | — | 75 |
| 23. თ. ღლონტი—ეროვნული საკითხი და საქართვ. ფინანსები | — | 25 | — | 10 |
| 24. Т. Глонти—Национальный вопрос и финансы Грузии | — | 25 | — | 10 |
| 25. Ф. Махарадзе—Сванетия | — | 50 | — | 25 |
| 26. ფ. მახარაძე—სვანეთი | — | 50 | — | 25 |
| 27. ი. ქვანია—მიწის კოდექსის განმარტება | — | 50 | — | 25 |
| 28. კერენცევი—როგორ გავუძღვეთ კრებას | — | 15 | — | 5 |
| 29. გ. დევდარიანი—იმპერიალიზმი და პროლეტ. რევოლიუცია | 1 | 40 | 1 | — |
| 30. პ. საყვარელიძე—ძველი და ახალი ჩინეთი | — | 80 | — | 50 |
| 31. ბ. ბიბინეიშვილი—მეოთხედ საუკუნის მანძილზე | — | 60 | — | 40 |
| 32. შ. ტაბიძე—ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა | — | 60 | — | 40 |

### ბელეტრისტიკა

| | ძველი ფასი. მ. | ძველი ფასი. კ. | ახალი ფასი მ. | ახალი ფასი კ. |
|---|---|---|---|---|
| 1. კ. შკლოვსკი—სენტიმენტალური მოგზაურობა | 1 | 30 | 1 | — |
| 2. ბ. კუპრაშვილი—ამბაკო სამანიშვილი | — | 80 | — | 50 |
| 3. კ. იუტმანი—რჩეული პოემები. | 1 | — | — | 50 |
| 4. ა. ჭუმბაძე—იდუმალი ძალა | 1 | 50 | 1 | — |
| 5. დემნა შენგელაია—სანავარდო | — | 80 | — | 50 |
| 6. ვ. მალაქიაშვილი—სამნი. | 1 | 50 | 1 | — |
| 7. ჯეკ ლონდონი—რკინის ქუსლი | 1 | 50 | 1 | — |
| 8. გ. რობაქიძე—დრამები | 1 | 70 | 1 | 20 |
| 9. ნ. ზომლეთელი—ლექსები | 1 | — | — | 75 |
| 10. ანრი ბარბიუსი—ცეცხლი | 3 | — | 1 | 50 |
| 11. ს. ეული—ლექსები | 1 | — | — | 75 |
| 12. ს. მგალობლიშვილი—თხზულებანი 1 ტ. | 1 | 20 | — | 80 |
| 13. „ „ „ 2 ტ. | 1 | 20 | — | 80 |
| 14. ნ. თარიშვილი—მზეში | — | 40 | — | 20 |
| 15. კ. მაყაშვილი—ეშმაკი საქართველოში | 1 | — | — | 75 |
| 16. პ. ირეთელი—ობოლი სამარე | — | 40 | — | 20 |
| 17. გ. ქუჩიშვილი—ლექსები. | 1 | 50 | 1 | — |
| 18. ნ. ნაკაშიძე—ვინ არის დამნაშავე? | — | 40 | — | 30 |
| 19. ა. პაპავა—მეურმე ნესტორა | — | 40 | — | 30 |
| 20 პროლეტ. მწერლების კრებული—წითელი ოქტომბერი | 1 | — | — | 50 |

### სახელმძღვანელოები თვითგანვითარებისათვის და პოპულიარულ-სამეცნიერო წიგნები

| | ძველი ფასი. მ. | ძველი ფასი. კ. | ახალი ფასი მ. | ახალი ფასი კ. |
|---|---|---|---|---|
| 1. მასწავლებ. ჯგუფი—ახალი ლიტერატურული ქრესტომატია 2 ტ. | 4 | 50 | 3 | — |
| 2. მასწავლებ. ჯგუფი—ახ. ლიტერატ. ქრესტომატია 3 ტ. | 2 | 75 | 2 | 25 |
| 3. პ. ჩარექიშვილი—მათემატიკა მუშფაკელებისათვის | 1 | 50 | 1 | — |
| 4. ა. გულისაშვილი—მანქანათა ნაწილები | — | 75 | — | 60 |
| 5. ნ. უნაფქოშვილი—ბუნება საბავშო ბაღში | — | 65 | — | 50 |
| 6. ნ. კულჩიცკი—ჰისტოლოგიის სახელმძღვანელო | 3 | 50 | 2 | — |
| 7. პროფ. მაჰავარიანი—მუცლის ღრუს ქირურგია | 6 | — | 4 | — |
| 8. გეხტ[illegible]ანი—მსოფლიო ეკონომ. გეოგრაფია | 3 | 50 | 3 | — |
| 9. შ. ნუცუბიძე—ლოღიკა | 1 | 50 | 1 | — |
| 10. ე. გაბლიანი—ძველი და ახალი სვანეთი | 3 | 50 | 2 | — |
| 11. პროფ. მუსხელიშვილი და სხვ. მათემატიკური ლექსიკონი | — | 50 | — | 30 |
| 12. ქ. რაჭველიშვილი—საქ. მოკლე ისტორია | 2 | 50 | 1 | 50 |
| 13. ნ. შიუკაშვილი—დიქცია | 1 | — | — | 50 |
| 14. შ. მანაგაძე—გრიმი | 1 | — | — | 40 |
| 15. ჩხიკვაძე—მუსიკის ელემ. თეორია | 2 | — | 1 | — |
| 16. კულჩიცკი—ჰისტოლოგ. საფუძვლები | 1 | 35 | 1 | — |
| 17. გორგაძე—ფიზიკური აღზრდა | 1 | 50 | 1 | — |
| 18. თვალჭრელიძე—ციტრუსნაირთა კულტურა | — | 35 | — | 10 |
| 19. პერკინსი—პატარა იაპონელები | — | 80 | — | 50 |
| 20. პერკინსი—პატარა ჰოლანდიელები | — | 80 | — | 60 |
| 21. ექ. ჩოხელი—კეთრი | — | 30 | — | 10 |
| 22. ბუაჩიძე—ვენერ. ავადმყოფობანი | — | 20 | — | 10 |
| 23. „ ადამიანის ჩასახვა და განვითარება | — | 30 | — | 10 |
| 24. გომართელი—ტვინი და სული. | — | 75 | — | 40 |
| 25. ვ. ორჯონიკიძე—თემის ბიუჯეტი | — | 65 | — | 40 |
| 26. კ. ბურჯანაძე და ზაალიშვილი—შორეული ჩრდილო | — | 40 | — | 20 |
| 27. ვ. კანდელაკი—ს.ს. სამ. ეკონომია | — | 90 | — | 50 |
| 28. თიკანაძე—სისხლის წვეთის მოგზაურობა | — | 75 | — | 50 |
| 29. გაჩეჩილაძე—მეტეოროლოგია სოფ. ახალგაზრდ. სკოლებისათვის | 1 | 60 | 1 | — |
| 30. კუიბიშევი—მომჭირნეობისთვის | — | 30 | — | 10 |
| 31. Меликсет-Бек—Н. Марр и Яфетическая теория | — | 30 | — | 10 |

ნ. 994